DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library at New York University.

- Creator: Baramidze, M. / ბარამიძე, მ. / Барамидзе, М. Б.
- Title: მერხეულის სამაროვანი / Результаты Археологического Изучения Болнисского Района (Исследования 1969-1977 гг.)
- Publication Date: 1977
- Publisher: Georgian Academy Of Sciences
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_13179807e9

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

Rights

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: http://dcaa.hosting.nyu.edu/dscc/takedown-notice.

მალხაზ გარამიძე



ეკლესიის საკრავები

მეცნიერება 1977

IVE
3800

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
არქეოლოგიური კომისია

მ. ბარამიძე

18552

მერცხეულის სამაროვანი

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1977

902.6(c 41)
902.6(47.922)
ბ 255

ნაშრომში შესწავლილია ავტორის მიერ 1969 წ. გათხრილი ძვ. წ. VI ს. სამაროვანი სოფ. მერხეულში. განხილულია დასავლეთ საქართველოს სინქრონულ ძეგლთა მიხედვით დაკრძალვის წესების ზოგიერთი თავისებურება და მატერიალური კულტურის ნაშთების მიხედვით რიგ ნაკეთობათა გავრცელების ქრონოლოგიური და ტერიტორიული არეალი, დაზუსტებულია ადრე გათხრილი ზოგიერთი სამაროვნის დათარიღების საკითხი და სხვ.

5/78

ბ $\frac{10602}{М\ 607(03)-77}$ 205—77 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977

წინასიტყვაობა

მოცემული ნაშრომი წარმოადგენს ავტორის მიერ 1969 წ. მიკვლეული და გათხრილი სამაროვნის მონოგრაფიული შესწავლის ცდას. სამაროვანზე აღმოჩენილი ნივთიერი კულტურის ძეგლები საშუალებას იძლევა გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანების მატერიალურ კულტურაზე თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე. მრავალრიცხოვანი სინქრონული მასალის საფუძველზე შესაძლებელი ხდება მერხეულის სამაროვნის არქეოლოგიური მონაპოვრის კულტურული კუთვნილების განსაზღვრა, მისი დათარიღება და იმ ზოგიერთი ლოკალური თავისებურების გამოვლენა, რაც ახასიათებს თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიას ამ პერიოდში.

ჩვენთვის ამჟამად საინტერესო პერიოდი წარმოადგენს გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის კოლხური კულტურის განვითარების უკანასკნელ საფეხურს. კოლხური კულტურა გავრცელებული იყო თითქმის მთელი დასავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე და ძირითადად წარმოადგენდა გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურას. ამ პერიოდის ძეგლები დიდი ხანია იპყრობს მკვლევართა ყურადღებას, მაგრამ საკვლევი ჯერჯერობით კვლავ ბევრია. სათანადოდ არ არის შესწავლილი კოლხური კულტურის გენეზისი, განვითარების ცალკეული ეტაპები და მათი ქრონოლოგიური საზღვრები; ლითონის იარაღის და კერამიკული ნაწარმის ურთიერთშეფარდება და სხვა. ამ თვალსაზრისით, რამდენადმე უკეთესი მდგომარეობაა კოლხური კულტურის გვიანდელი საფეხურის შესწავლის მხრივ. გამოვლენილი და არქეოლოგიურად შესწავლილია ძეგლები (სამაროვნები, ნამოსახლარები), რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრის და შუა ხანების კულტურაზე. მაგრამ ყველაფერი ნათელი არც აქ არის. მაგალითად, ისეთი საკითხი, როგორიცაა ლოკალური რაიონების არსებობა — არ არის სათანადოდ განხილული. არ არის სათანადოდ შესწავლილი ამ კულტურის კავშირი წინარე ხანის მასალებთან; არაა შეს-

წავლილი დაკრძალვის წესები და მათი თავისებურებანი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და სხვა საკითხები.

წარმოდგენილ ნაშრომს, რასაკვირველია, არა აქვს აღნიშნული საკითხების გადაწყვეტის პრეტენზია. ჩვენს მიზანს შეადგენს მხოლოდ ერთი გარკვეული ძეგლის სრული პუბლიკაცია და მასთან დაკავშირებით ზოგიერთი კერძო საკითხის გარკვევა.

ნაშრომზე მუშაობის დროს საჭიროდ ვცანით მასში ჩაგვერთო ჩვენს მიერ სხვა სინქრონულ ძეგლებზე მოპოვებული მასალებიც, რომელთა ნაწილი პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს საკვლევი პერიოდის შესახებ სრულყოფილი სურათის წარმოდგენას.

ნაშრომში მოტანილი გრაფიკული ჩანახატები შესრულებულია ტ. ამბრიაშვილისა და ე. ჯობაძის, ხოლო საველე ფოტოგადაღებები — ჩვენს მიერ.

თავი I

გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის არქეოლოგიურ ძეგლთა შესწავლის ისტორიისათვის აფხაზეთის ტერიტორიაზე

დასავლეთ საქართველოს ტერიტორია განსაკუთრებით მდიდარია გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლებით. არ არის მისი თითქმის არც ერთი რაიონი, სადაც არ იყოს მიკვლეული ამ პერიოდის ათეულობით ძეგლი. მაგრამ დასავლეთ საქართველოს გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის კულტურის არქეოლოგიური შესწავლა, შეიძლება ითქვას, სადღეისოდ მხოლოდ დასაწყის სტადიაშია. დაგროვილია უამრავი ფაქტობრივი მასალა, გაანალიზებულია მათი ერთი ნაწილი, მათ შესახებ გამოქვეყნებულია ცალკეული მონოგრაფიები, მაგრამ ისინიც ვერ გვიქმნიან სრულ წარმოდგენას ამ კულტურის ზოგად ხასიათზე. არ არის აზრთა ერთიანობა ამ კულტურის ცალკეული არქეოლოგიური ეტაპების და მათი ქრონოლოგიური დაკავშირების საკითხებზე. ამის უპირველესი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ კოლხურ კულტურას ჩვენ ვიცნობთ ძირითადად განძებისა და ნამოსახლარი ხელოვნური ბორცვების მონაპოვრებით. ჩვენს ხელთ არ არის სამარხეული მასალები, კომპლექსები, რომელთა მიხედვით შესაძლებელი იქნებოდა დაგველაგებინა მრავალრიცხოვანი შემთხვევითი მონაპოვარი. ამის გამო ჯერჯერობით კოლხური კულტურის ეტაპებზე მსჯელობის დროს ვიფარგლებით მხოლოდ ფორმალურ-ტიპოლოგიური კვლევის შედეგებით. ამის გამო კოლხეთის ტერიტორიაზე გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის სამაროვანთა ძიება და შესწავლა ჩვენი არქეოლოგიის ერთ-ერთი სასწრაფო და გადაუდებელი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით რამდენადმე უკეთესი მდგომარეობაა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, სადაც მიკვლეული და გათხრილია აღნიშნული პერიოდის რამდენიმე სამაროვანი. სამწუხაროდ, ამ ძეგლების უმრავლესობა კოლექტიურ სამარხებს წარმოადგენს და მასალის კომპლექსური შესწავლის შესაძლებლო-

ბა ძალზე მცირეა. ჩვენს ხელთ არის მხოლოდ რამდენიმე მოგვიანო (ძვ. წ. VIII—VI სს.) სამარხეული კომპლექსი, რომლებსაც გარკვეული სინათლის შეტანა შეუძლიათ კოლხური კულტურის ბოლო ეტაპების პერიოდიზაციის საკითხში, მაგრამ ესეც მომავალი კვლევის ამოცანას წარმოადგენს.

აფხაზეთის არქეოლოგიური სიძველეები ჯერ კიდევ XIX ს. იქცევდნენ როგორც სპეციალისტთა, ისე ზოგადად სიძველეების მოყვარულთა ყურადღებას, მაგრამ ისინი ძირითადად ქრისტიანობის დროინდელი არქიტექტურული ნაგებობის აღწერით კმაყოფილდებოდნენ. საქმე იქამდეც კი იყო მისული, რომ მკვლევართა ნაწილი უარყოფდა აფხაზეთის ტერიტორიაზე ბრინჯაოს ხანის ძეგლების არსებობას. მაგ., პ. უვაროვა ჩრდილო კავკასიის დოლმენების გავრცელების სამხრეთ საზღვრად სოჭას მიიჩნევდა და აღნიშნავდა, რომ აფხაზეთში დოლმენები საერთოდ უცნობიაო[1].

პირველი, ვინც მიაქცია ყურადღება, რომ აფხაზეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთები ანალოგიურია ყობანის სამაროვნის მასალებისა, იყო ა. კომაროვი[2], მაგრამ ამ მოსაზრებამ არ პოვა მაშინვე აღიარება. უფრო მეტიც: ვ. სიზოვი, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ თხრიდა ქ. სოხუმში ძვ. წ. III—I სს. ანტიკურ ნამოსახლარს, წერდა, რომ ყობანური კულტურის ფორმები ვერ აღწევენ ზღვისპირეთის ტერიტორიასო[3].

1907 წ. აფხაზეთში სამუშაოებს აწარმოებდა ა. მილერი. ანტიკური ხანის მწერლების ცნობებზე დაყრდნობით (იხ. ქვემოთ) კოლხურ ტომებში მეორადი დაკრძალვის რიტუალის არსებობის შესახებ და ზოგიერთი ეთნოგრაფიული ცნობის გათვალისწინების მიუხედავად, იგიც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აფხაზეთში ძველი სამაროვნები არ იყო[4], თუმც იგი დასაშვებად თვლიდა გაგრის სამხრეთით დოლმენების აღმოჩენის შესაძლებლობას[5], რაც შემდგომში დადასტურდა კიდეც. საერთოდ, ამგვარი უარყოფითი დამოკიდებულება დამახასიათებელი იყო რევოლუციამდელი კავ-

---

[1] П. С. Уварова. Несколько дополнительных сведений по вопросу о кавказских дольменах, МАК, вып. № 1, М., 1904, გვ. 175.

[2] А. В. Камаров, Краткий обзор последних археологических находок в Кавказском крае, ИКОИА, т. I, Тб. 1882, გვ. 1, 2.

[3] В. И. Сизов, Восточное побережье Черного моря, МАК, вып. II, М. 1889, გვ. 173.

[4] А. А. Миллер, Из поездки по Абхазии. МЭР, т. I, СТБ, 1910, გვ. 61.

კასიის არქეოლოგიისადმი და მას ვერც დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია ასცდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. მიკვლეული და შესწავლილ იქნა ასობით ახალი ძეგლი, რომლებიც მოიცავენ ყველა არქეოლოგიურ პერიოდს, დაწყებული ქვედა პალეოლითიდან. ჩვენ არ შევუდგებით თითოეული აღმოჩენის და გამოკვლევის მიმოხილვას, რაც ძალზე შორს წაგვიყვანდა და რამდენადმე დაგვაცილებდა ჩვენთვის ამჟამად საინტერესო პერიოდს. აღნიშნულის გამო, ჩვენ მხოლოდ ზოგადად, მოკლედ მიმოვიხილავთ ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის მონაპოვარს აფხაზეთის ტერიტორიაზე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, უკვე 1924 წ. სოხუმში შედგა შავიზღვისპირეთისა და დასავლეთ კავკასიის მხარეთმცოდნეთა პირველი ყრილობა[6], რომელზეც ა. ლუკინმა წარმოადგინა გუდაუთის რაიონში აღმოჩენილი ბრინჯაოს იარაღების მოკლე მიმოხილვა. მაგრამ აფხაზეთის ბრინჯაოს ხანის კულტურის შესწავლის პირველი ცდა მოცემულია ვ. სტრაჟევის მიერ[7]. მასვე ეკუთვნის პირველი ცნობა აფხაზეთის ტერიტორიაზე დოლმენების არსებობის შესახებ[8]. 1929 წ. ა. ლუკინმა შეისწავლა ააგსტის ორმოსამარხი, რითაც საბოლოოდ იქნა უარყოფილი მოსაზრება აფხაზეთის ტერიტორიაზე სამაროვნების არარსებობის შესახებ[9]. მაგრამ აფხაზეთის რამდენადმე სისტემატური არქეოლოგიური შესწავლა დაკავშირებულია მ. ივაშჩენკოს სახელთან. მან ეშერში მიაკვლია დოლმენების ჯგუფს და 4 მათგანი შეისწავლა კიდეც. იქვე მახლობლად გათხრილი იქნა აგრეთვე გვიანი ბრინჯაოს ხანის რამდენიმე ოსუარიუმი მეორადი დაკრძალვის რიტუალით[10].

1934 წ. აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ინი-

---

[5] А. А. Миллер, Разведка на Черноморском побережье Кавказа в 1907 г. ИАК № 35, сз. 72—83.

[6] В. И. Стражев, Руинная Абхазия, ИАНО, вып. № 11, 1926, 133.

[7] В. И. Стражев, Бронзовая культура в Абхазии, ИАНО, вып. № 11, 1926.

[8] В. И. Стражев, К Азантскому дольмену, Тб. ИАНО, вып. 11, 1926.

[9] А. А. Лукин, Материалы по археологии Бзыбской Абхазии. ТОИПКГЕ, т. I, 1941.

[10] М. М. Иващенко. Исследование архаических памятников материальной культуры в Абхазии, Тб., 1935.

ციატივით და დაფინანსებით აფხაზეთში მუშაობა დაიწყო საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი აკად. ი. მეშჩანინოვი, მონაწილენი: ბ. კუფტინი, მ. ივაშჩენკო, ა. ლუკინი, ლ. სოლოვიოვი). ექსპედიციამ ფართოდ გაშალა საძიებო თუ გათხრითი სამუშაოები, გათხრილი იქნა ეშერის დოლმენების ერთი ნაწილი; ვერეშჩაგინის ბორცვის მახლობლად გამოვლინდა ქვევრსამარხთა ჯგუფი; იქვე გაითხარა ადრეანტიკური ხანის სამარხები და გვიანი ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი[11].

დაახლოებით ამავე დროს აფხაზეთში მუშაობა დაიწყო მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ექსპედიციამ (ხელ-ლი ა. იესენი), რომელმაც შეისწავლა მდ. გუმისთის ზედა წელის რაიონი, წითელი შუქურას ნამოსახლარი, ვერეშჩაგინის ბორცვი, აზანტის ტერიტორია და სხვ[12].

ბრინჯაოს ხანის სამაროვნების შესწავლის თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დოლმენური კულტურის ძეგლების შესწავლას, ვინაიდან ამიერკავკასიის ტერიტორიაზე დოლმენები მხოლოდ აფხაზეთშია დადასტურებული. სწორედ ამის გამო თითქმის ყველა ექსპედიცია, რომელიც კი მუშაობდა საკვლევ რაიონში, ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, სწორედ დოლმენებს აქცევდა. 1937 წ. ეშერის დოლმენების შესწავლა გააგრძელა ბ. კუფტინმა, ლ. სოლოვიოვმა და ა. ლუკინმა[13], ხოლო 1955—56 წწ. ო. ჯაფარიძემ[14]. ამ უკანასკნელმა, ეშერის გარდა, ორი დოლმენი შეისწავლა სოფ. აჭანდარაშიც. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთში უკანასკნელ ხანებში გამოვლენილ იქნა დოლმენური მასალების შემცველი კრომლეხები ქვემო ეშერაში[15], გაითხარა ერთი ბრტყელი ქვებით იატაკმოფენილი სამარხი მიხაილოვსკის გამოქვაბულში[16] და ერთი დოლმენი სოფ. ოთხარას ტერიტორიაზე[17]. ამასთანავე, 1964 წ. სოფ. ხობიუში ბოლომდე გაიწ-

---

[11] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. I. Тб. 1949.

[12] А. А. Иессен, Сухумская экспедиция ГАИМК, СА, № 3, 1937.

[13] Л. Н. Соловьев, Погребения дольменной культуры в Абхазии и прилегающей части Адлерского района, ТАН, вып. XXXI, 1960.

[14] ო. ჯაფარიძე, დოლმენური კულტურა საქართველოში, თსუ შრომები, ტ. 77.

[15] Г. К. Шамба, Эшерские кромлехи, Сухуми, 1974.

[16] Л. Н. Соловьев, დასახელ. ნაშრომი, 81—96.

[17] აფხაზეთის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უმც. მეცნ. თანამშრომლის ი. ჭეინარიას ცნობა.

მინდა ადრე გათხრილი ორი დოლმენი[18]. ყველა ეს შესწავლილი ძეგლი ხასიათდება ერთგვაროვანი დაკრძალვის წესით და არქეოლოგიური ინვენტარით; მაგრამ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კოლექტიურ სამარხებში აღმოჩენის გამო მასალის კომპლექსური შესწავლის შესაძლებლობა ნაკლებია.

აფხაზეთის სიძველეთა შესწავლის საკითხში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პირველი აფხაზი არქეოლოგი აწ განსვენებული მ. ტრაპში. მისი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ნამუშევრებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა რამდენიმე.

1948—51 წწ. მ. ტრაპშის ხელმძღვანელობით დაიწყო ყულანურხვას ძვ. წ. VIII—VI სს. სამაროვნის შესწავლა. სულ გაითხარა 12 სამარხი, რომელმაც მოგვცა ამ პერიოდის საყურადღებო მასალა[19].

1951 წ. მ. ტრაპში ალ. კალანდაძესთან ერთად სწავლობდა ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარს, სპილენძსადნობ სახელოსნოს და გვიანბრინჯაოს და ადრეანტიკური ხანის სამარხებს სოხუმის მთაზე[20].

1952—54 წწ. მ. ტრაპშის მიერ ითხრებოდა გუადიხუს სამაროვანი, რომელზეც სულ 91 სამარხი გაიწმინდა. აქედან ჩვენთვის ამჟამად საინტერესო პერიოდს განეკუთვნება სულ 32 სამარხი, ყველა დანარჩენი კი ექცევა ძვ. წ. V—II სს. ფარგლებში[21].

1956—59 წწ. მ. ტრაპში სწავლობდა ძალზე საყურადღებო სამაროვანს წითელი შუქურას ტერიტორიაზე. სულ გათხრილი იყო 152 სამარხი. მათგან ძვ. წ. VIII—VI სს. განეკუთვნება 104 სამარხი, ხოლო ძვ. წ. V—II სს. — 48.

უდავოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თითქმის მთელი ეს მრავალრიცხოვანი მასალა გამოქვეყნებული იყო ჯერ კიდევ გამთხრელის სიცოცხლეში და მკვლევარს შესაძლებლობა ეძლევა დეტალურად განიხილოს ყოველი მათგანი.

60—70-იან წლებში რამდენადმე შეფერხდა გვიან ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლების შესწავლა აფხაზეთის ტერიტორიაზე და ძირითადი აქცენტი გადატანილი იქნა უფრო ადრეულ, ქვის ხანი-

---

[18] В. В. Бжания, Древнейшая культура Абхазии, автореферат кандидатской диссертации, М., 1966.

[19] М. М. Трапш, Труды, т. I, Сухуми, 1970, 87—168.

[20] ალ. კალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1954.

[21] М. М. Трапш, Труды, т. II, Сухуми, 1969, 1—18.

სა და ენეოლითი-ადრებრინჯაოს ხანის კულტურების, აგრეთვე ანტიკური და მომდევნო პერიოდების ძეგლების შესწავლაზე. მაგრამ ცალკეული აღმოჩენები ან მცირე გათხრები მაინც გრძელდებოდა. ამ მხრივ ზემოთ ნახსენები ეშერის კრომლეხები და ოადხარის დოლმენის შესწავლაც არის საყურადღებო.

უდავოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აფხაზეთის გვიანი ბრინჯაო — ადრერკინის ხანის ძეგლები მოკლედ მიმოხილულია თითქმის ყველა ნაშრომში, რომელიც კი დასავლეთ საქართველოს შეხებია. ამ ზოგად გამოკვლევებში აფხაზეთის მასალებს საკმაოდ დიდი ადგილი უკავიათ და ფართოდაც არიან განხილულნი[22]. ჩვენ არ შევუდგებით თითოეული მათგანის განხილვას, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ისინი სათანადოდ დადასტურებულია ნაშრომის ძირითად ნაწილში. აქ კი გვინდა მოვიყვანოთ მხოლოდ ერთი ნაშრომი, რომელიც უშუალოდ აფხაზეთის არქეოლოგიურ ძეგლებს ეხება.

სადღეისოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე ასობით არქეოლოგიური ობიექტია დაფიქსირებული. სწორედ მის საფუძველზე შესაძლებელი გახდა აფხაზეთის არქეოლოგიური რუკის შედგენა[23]. მიუხედავად იმისა, რომ რუკას მრავალი ნაკლი აქვს და არ არის სრული[24], ეს მაინც, ჩვენი აზრით, წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოად-

---

[22] А. А. Нессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Известия ГАИМК-120, М., 1939, Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, Тб. 1950, т. I. Тб. 1949.

ო. ჯაფარიძე, კოლხური ცული, სსმმ-XVI — თბ., 1950; მისივე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961; საქართველოს არქეოლოგია, ავტორთა კოლექტივი, თბ., 1959; დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ. 1965; თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ. 1974; ნ. ოქროპირიძე, მ. ბარამიძე, „პალურის საძვლე" (1968 წ. გათხრების შედეგები), მსკა, VI, ი.ბ., 1974, ალ. რამიშვილი, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი, 1974 და სხვა.

[23] Ю. Н. Воронов, Археологическая карта Абхазии, Сухуми, 1969.

[24] ჩვენ აქ არ შევუდგებით ნაშრომის ყველა ნაკლის განხილვას, მხოლოდ გვინდა აღვნიშნოთ ზოგიერთი მათგანი. უპირველეს ყოვლისა, ნაშრომში თითქმის სრულიად უგულვებელყოფილია შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ბერძენიშვილი) მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მონაპოვარი და შემოფარგლულია მხოლოდ ორი-სამი ძეგლის ხსენებით. ამასთანავე შეინიშნება პუნქტების რაოდენობის ხელოვნურად გაზრდის სურვილი. მაგალითად, რიგ შემთხვევაში ფაქტიურად ერთი ძეგლი,

გენს აფხაზეთის სიძველეების შესწავლის საქმეში. ჩვენს ხელთ არის ფაქტიურად პირველი ნაშრომი, სადაც თავმოყრილია ავტორისათვის ხელმისაწვდომი თითქმის მთელი მასალა და საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირს მოკლედ გაიცნოს ესა თუ ის არქეოლოგიური ძეგლი.

ჩვენი მიმოხილვა აფხაზეთის არქეოლოგიურ სიძველეთა შესახებ არ იქნება სრული თუ მოკლედ მაინც არ შევეხებით ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობას საკვლევ ტერიტორიაზე. აღნიშნული ექსპედიცია (ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. ზ. ბერძენიშვილი) 1958 წლიდან დიდ სამუშაოებს აწარმოებდა აფხაზეთში. ექსპედიციის კვლევის ძირითად სფეროს ქვის ხანის ძეგლების გამოვლენა და შესწავლა წარმოადგენს, მაგრამ ამ ამოცანის პარალელურად ექსპედიცია აწარმოებს, სხვა პერიოდის ძეგლების გამოვლენის მიზნით, ფართო სადაზვერვო სამუშაოებს. ექსპედიციის მიერ მიკვლეულია ჩვენთვის ამჟამად საინტერესო პერიოდის ათეულობით ძეგლი, წინასწარულად განსაზღვრულია მათი ასაკი, დატანილია ისინი არქეოლოგიურ რუკაზე.

წინამდებარე ნაშრომის ავტორს საშუალება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო 1969 წ. აღნიშნული ექსპედიციის მუშაობაში. სწორედ ამ ექსპედიციის მუშაობის დროს იქნა მიკვლეული მერხეულის სამაროვანი, რომლის მონაპოვრის პუბლიკაციასაც ეძღვნება წარმოდგენილი ნაშრომი. ავტორი დიდად არის დავალებული ექსპედიციის ხელმძღვანელის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ნ. ბერძენიშვილისაგან, რომელმაც ყოველნაირად შეგვიწყო ხელი როგორც საველე სამუშაოების განხორციელების, ისე ნაშრომის დასაბეჭდად მომზადების დროს.

ცალკეულ ნივთთა აღმოჩენის გამო, ავტორს 3, 4 ან მეტ პუნქტად აქვს მიჩნეული (შდრ. გვ. 17, პუნქტები № 1—3; 4—9; 10—12; 14—17 და სხვ.). ზოგიერთ შემთხვევაში ავტორი ზედმეტად თამამად ათარიღებს ნივთებს თუ კომპლექსებს. მაგ. გვ. 53, პუნქტი 118, 119, გვ. 31, პუნქტი 159 და სხვ. ამ პუნქტების შესახებ ლიტერატურაში განსხვავებული თარიღები არსებობს; თუ რის გამო ხდება ეს გადათარიღება (ჩვენი აზრით მცდარი) ნაშრომის ხასიათის გამო გაურკვეველია, ზოგიერთ შემთხვევაში ავტორი არასწორ კვალიფიკაციას აძლევს არქეოლოგიურ ობიექტს. მაგ. პუნქტი 130, გვ. 26, პუნქტი 274, გვ. 39, პუნქტი 236, გვ. 37 ნაშრომში განხილულია როგორც ყორღანები, ამას გარდა, გვხვდება ზოგიერთი, რომელთაც ავტორი ყორღანისებურ ბორცვებს უწოდებს (პუნქტი 24, 242, გვ. 37). სინამდვილეში ეს ძეგლები კოლხეთის ტერიტორიისათვის სპეციფიური ნამოსახლარი ბორცვებია.

თავი II

მერხეულის სამაროვანი და დამარხვის წესების ზოგიერთი თავისებურება დასავლეთ საქართველოში

1969 წ. შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო ჯგუფმა (რაზმის უფროსი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი მ. ბარამიძე) ფართო საძიებო სამუშაოები ჩაატარა აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე მდ. მაჭარისა და გუმისთის ხეობებში. რაზმის მიერ გამოვლენილი იქნა 50-მდე სრულიად ახალი და უცნობი ძეგლი, რომლებიც ფართო ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ექცევა დაწყებული ქვედა პალეოლითიდან ფეოდალური ხანის ჩათვლით. ზედაპირული მასალების მიხედვით ეს ძეგლები ძირითადად ნამოსახლარი ადგილებიდან მომდინარეობენ. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მიზნად არ ვისახავთ ყველა ამ ძეგლის თუნდაც მოკლე მიმოხილვას, ვინაიდან მათზე გათხრითი-სადაზვერვო სამუშაოები არ გვიწარმოებია და შემოვიფარგლებით მხოლოდ ერთი ძეგლის პუბლიკაციით.

ექსპედიციის მუშაობის ერთ-ერთ მიღწევად უნდა ჩაითვალოს სოფ. მერხეულში მიკვლეული პატარა სამაროვანი, რომელიც მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. ექსპედიციამ საჭიროდ ცნო ძეგლის რაობის გარკვევის მიზნით და სრული განადგურების თავიდან ასაცილებლად, მასზე ჩაეტარებინა მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრითი სამუშაოები.

მერხეულის სამაროვანი მდებარეობს სოფლის ცენტრიდან 300 მ მანძილზე სამხრეთით, მდ. მაჭარის მარცხენა ნაპირის პირველი ბორცვოვანი ზოლის ერთ-ერთ შემაღლებაზე (ტაბ. II—I), რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ლაკადას“ უწოდებს. ბორცვის სიმაღლე მდინარის დონიდან 60—70 მ აღწევს. იგი დასავლეთიდან და სამხრეთიდან, ბორცვიანი ზოლისაგან პატარა, უსახელო ხევებით არის გამოყოფილი. აღმოსავლეთით ბორცვი

თანდათან გადადის მეორე ბორცვოვანი ზოლის მიმდებარე ვაკეტერასისაკენ, ისე რომ ბორცვის გამოყოფა ტერასისაგან არ შეიმჩნევა. ჩრდილოეთის მხრივ ბორცვის ფერდები საკმაოდ დამრეცია და ეშვება მდინარისპირა ტერასისაკენ. ბორცვი 1969 წ. პირველად იყო დამუშავებული პლანტაჟისათვის. ზედაპირული დაზვერვის შედეგად ჩანდა, რომ ბორცვის ფერდები თითქმის სრულიად არ შეიცავდა კულტურულ ნაშთებს. აქ აკრეფილი რამდენიმე წითლად გამომწვარი, ხრეშოვანი უსახო ფრაგმენტი გარკვეულად არაფერს გვეუბნებოდა ბორცვის ასაკის შესახებ. სამაგიეროდ ბორცვის მოვაკებულ თხემზე, რომელსაც ოვალური ფორმა აქვს, ზომით 150×50 მ-ზე, შეიკრიბა საინტერესო მასალა (კერამიკული ფრაგენტები, რიყის ქვის ორი სალესი, სამაჯურის და კირკალის ფრაგმენტები და სხვ.). იგი თავმოყრილი იყო გორის თხემის დასავლეთ ნაწილში, სადაც აშკარად ჩანდა მოშავო-მონაცრისფერო კულტურული ფენის არსებობა. ვინაიდან ადგილი მოხნული დაგვხვდა და მომავალი სამუშაოებისაგან ძეგლს სრული განადგურება ელოდა, ექსპედიციამ გადაწყვიტა შეესწავლა სამაროვანი და გაერკვია მისი რაობა. ამ მიზნით გორის თხემზე გავლებულ იქნა რამდენიმე სადაზვერვო თხრილი, რომლებიც შემდგომ გაერთიანდა ერთიან ფართობად, ზომით სულ 48 მ². გაირკვა, რომ სამაროვანს უკავია თხემის მხოლოდ დასავლეთი ნაწილი ფართობით 40 კვ. მ(ტაბ. 1). მის გარეთ სამაროვანი არ ვრცელდება, რაც კარგად ჩანს ექსპედიციის მიერ გავლებულ სადაზვერვო თხრილებში. ძირითადი ფართობის გარეთ ექსპედიციამ გაავლო სულ 6 თხრილი. აქედან 2 (№ 1 და № 3 ზომით 1×4 მმ) ფართობის ჩრდილოეთით, 3 მ მანძილზე, 1 (№ 2) 5 მ აღმოსავლეთით (ზომით 1×3 მ). 2 (№4 და 5) — 3 მ დასავლეთით (ზომით 1×4 მ), № 6 თხრილი გავლებულია ფართობიდან სამხრეთით 6 მ მანძილზე, ბორცვის ფერდზე. ამ უკანასკნელებში კორდოვანი ფენის ქვეშ თავს იჩენს მოყვითალო ფერის გრუნტული ნიადაგი და კულტურული ნაშთები სრულიად არ გვხვდება. რაც შეეხება ძირითად ფართობს, აქ ნიადაგის სტრატიგრაფიული ჭრილი შემდეგ სურათს გვაძლევს: I. 10 სმ სისქის კორდოვანი ფენა, II. მოშავო-მონაცრისფერო თიხნარი, კულტურული ნაშთის შემცველი, 40—50 სმ სისქისა და III. მოყვითალო ფერის ნიადაგი (ტაბ. 1). სამწუხაროდ, პირველი და მეორე ფენები (მასალის შემცველი) ტრაქტორის მიერ ამობრუნებულია და დაზიანებული. უძრავ მდგომარეობაში ექსპედიციამ მიაკვლია მხოლოდ პატარა მონაკვეთს მეორე

ფენის ქვედა ნაწილში, დაახლოებით 10—15 სმ სისქის შრეში. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაშიაც ცალკეულ კომპლექსთა გამოყოფა არ მოხერხდა, რის გამოც ქვემოთ მასალის განხილვას მხოლოდ ტიპოლოგიის გზით ვიძლევით.

როგორც უძრავ ფენაში, ისე მის ზემოთ, დაზიანებულში უსისტემოდ იყო მიმოფანტული მიცვალებულის ჩონჩხის ფრაგმენტები და ინვენტარი. ჩონჩხი ზოგიერთ შემთხვევაში ატარებდა ცეცხლში ყოფნის ნიშნებსაც, თუმცა ძვალი მთლიანად დამწვარი არ იყო. აქ უფრო ცეცხლში გატარების ნიშნებთან უნდა გვქონდეს საქმე. ამ მხრივ მერხეულის სამაროვანი ახლოს დგას პალურის „საძვლესთან", სადაც მიცვალებულის მეორადი დაკრძალვის რიტუალში ცეცხლის მონაწილეობაც არის სავარაუდებელი[1]. ზუსტად მსგავს რიტუალთან გვაქვს საქმე მერხეულის სამაროვანზე, სადაც ასევე შეუძლებელი გახდა ერთი მიცვალებულის კუთვნილი ინვენტარის კი არა, ცალკეული ინდივიდის ძვლების გამოყოფაც კი. მიცვალებულის ჩონჩხის მსგავსი უსისტემო განლაგება დამახასიათებელია სწორედ იმ რიგის ძეგლებში, სადაც მკვლევარები მეორადი დაკრძალვის რიტუალის არსებობას ვარაუდობენ, ამგვარი რიტუალის არსებობა კარგად ჩანს არქეოლოგიური მასალების მიხედვით. განსაკუთრებით ეს შეეხება თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიას, სადაც ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში ვს. მილერი გაკვრით აღნიშნავდა ამგვარი რიტუალის არსებობას. მისი აზრით, ძველი კოლხეთისათვის დამახასიათებელ ამ რიტუალის არსებობაზე უნდა მიგვითითებდეს გაგრასთან აღმოჩენილი თიხის ჭურჭლები ადამიანის ძვლებით[2]. შემდეგში მეორადი დაკრძალვის შესახებ ცნობები მოგვეპოვება ვ. სტრაჟევთან, რომელმაც სოფ. პრიმორსკოესთან (ყოფ. პეტროპავლოვსკი) დაადასტურა ურნებში დაკრძალვის ეს რიტუალი[3]. ანალოგიური სამარხები გათხრილი იყო 1930 წ. ივაშჩენკოს[4], ხოლო 1934 წ. კუფტინის[5] მიერ ქვემო ეშერის ტერიტორიაზე. მეორადი დაკრძალვის რიტუალი ჩანს დოლ-

---

[1] ნ. ოქროპირიძე, მ. ბარამიძე, პალურის საძვლე, გვ. 97—98.

[2] А. А. Миллер, О некоторых древных погребальных обрядах на Кавказе, Этнографическое обозрение, № 1—2, СПБ, 1911, გვ. 17.

[3] В. И. Стражев, Бронзовая культура в Абхазии, გვ. 107.

[4] М. М. Ивашенко, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

[5] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. I, გვ. 178—182.

მენებშიც[6] და ამ უკანასკნელ ხანებში იქვე აღმოჩენილ დოლმენური მასალების შემცველ კრომლეხებშიც[7]. მეორადი დაკრძალვის რიტუალის არსებობა აფხაზეთის ტერიტორიაზე დადასტურებულია უფრო ადრეული ხანის ძეგლებშიც. კერძოდ, ძვ. გაგრის ზღვისპირა პარკის მახლობლად კარსტულ მღვიმეში და სოფ. კალდახვარას ფარდულში[8], რომლებიც ადრებრინჯაოს ხანას განეკუთვნებიან. საინტერესო მასალები იქნა მოპოვებული სოხუმის მახლობლად წითელი შუქურას სამაროვანზე, სადაც დადასტურდა ორმოსამარხებში მიცვალებულის მეორადი დაკრძალვის რიტუალი ნაწილობრივი კრემაციით[9]. უკანასკნელ ხანებში ანალოგიური რიტუალი დაფიქსირებულია სოფ. ოდხარას ტერიტორიაზე გათხრილ დოლმენური ტიპის სამარხებში, რომელსაც გამთხრელი ადრებრინჯაოს ხანის დასასრულით და გვიანბრინჯაოს საწყისი ეტაპებით ათარიღებს[10]. ეს არის ის ძირითადი პუნქტები აფხაზეთის ტერიტორიაზე, სადაც დადასტურებულია აღნიშნული რიტუალი, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს ის აზრი, თითქოს, აღნიშნული წესი დამახასიათებელი ყოფილიყოს მხოლოდ ამ რაიონისათვის. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სამაროვნები შედარებით მცირე რაოდენობითაა ცნობილი და შესწავლილი. ამის მიზეზი ალბათ, უპირველეს ყოვლისა, სამაროვანთა შედარებით ღრმა ფენებში არსებობაში მდგომარეობს, რის გამოც მათი მიკვლევა ძნელდება. მაგრამ მაინც მრავალ, უკვე ცნობილ ძეგლებზე მეორადი დაკრძალვის რიტუალი თითქოს შეინიშნება. კერძოდ, ზემოთ ნახსენები პალურის „საძველეს“ გარდა, იგი ჩანს ბრილის სამაროვანზე გათხრილ კოლექტიურ ქვის აკლდამაში, რომელიც შუაბრინჯაოს ხანის დასასრულს უნდა განეკუთვნებოდეს[11].

უკანასკნელ ხანებში ანალოგიური რიტუალი დადასტურებუ-

---

[6] Г. К. Шамба, Эшерские кромлехи, გვ. 34.

[7] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 269, 272—278. Л. Н. Соловьев, Погребения долменной культуры в Абхазии, გვ. 74—79.

[8] Соловьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 80—90.

Ю. Н. Воронов, Археологическая карта Абхазии, გვ. 18.

[9] М. М. Трапш, Труды т. II, გვ. 155.

[10] აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლის ი. წვინარიას ცნობა.

[11] მ. ბარამიძე, ბრილის აკლდამა, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მოხსენებათა მოკლე შინაარსი, თბ., 1961.

ლი იქნა ცენტრალური კოლხეთის ორ პუნქტში. კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ლანჩხუთის რაიონის სოფ. ნიგვზიანში დაიწყო შესწავლა ვრცელი სამაროვნის, სადაც გამოვლინდა შემდეგი სურათი: მოყვითალო თიხნარში ამოჭრილ მოზრდილ ორმოებში (მათი დიამეტრი ზოგჯერ 4 მ აღწევს) უსისტემოდ ჩაყრილია მიცვალებულის ძვლები და სამარხეული ინვენტარი: მრავალრიცხოვანი კერამიკა, ბრინჯაოსა და რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღები, სამკაული. ცალკეული კომპლექსების გამოყოფა აღნიშნულ ორმოებში ჯერჯერობით არ მოხერხდა. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე შემთხვევაში დაფიქსირდა დაკრძალვის რიტუალში ცეცხლის მონაწილეობის ფაქტი. გაიწმინდა ნახშიროვანი ლაქები და, რაც მთავარია, თვით ინვენტარი და ძვლები ატარებენ ცეცხლში ყოფნის აშკარა ნიშნებს. როგორც ჩანს, ისინი გატარებულია „წმინდა" ცეცხლში მიცვალებულის ავი სულებისაგან განწმენდის მიზნით. ძეგლი, აღმოჩენილი მასალების მიხედვით, კარგად თარიღდება ძვ. წ. VII—VI სს.-ით[12].

როგორც ჩანს, მსგავსი რიტუალი უნდა იყოს გეგეჭკორის რაიონის სოფ. მუხურჩას სამაროვანზეც, სადაც დადასტურდა სპეციალური პატარა მოედნები მსგავსი მასალით და უსისტემოდ ჩაყრილი ძვლებით[13].

შესაძლოა, მსგავს რიტუალთან გვაქვს საქმე ლარილარის სამაროვანზეც[14]. მეორადი დაკრძალვის რიტუალის ნიშნები ჩანს წალკის ზეგანზეც. აქ 1936 წ. პროფ. კუფტინის მიერ ადგილ ტაშბაშში გათხრილ ენეოლითურ სამარხში ისე უსისტემოდ ეყარა ერთი მიცვალებულის ჩონჩხი, რომ თავის ქალა და ქვედა ყბა აღმოჩნდა ორ, მეზობლად მდგარ ჯამში[15]. დაახლოებით ამავე პერიოდისაა და მსგავსი წესი შეინიშნება ახალციხის ამირანის გო-

---

[12] თ. მიქელაძე, მ. ბარამიძე, დ. ხახუტაიშვილი, კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1974 წლის მუშაობის ანგარიში, საინსტიტუტო სესია, მიძღვნილი საქართველოში 1974 წ. წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი.

Т. К. Микеладзе, М. В. Барамидзе, Колхидский могильник VII—VI вв. до н. э. в с. Нигвзиани, КСИИМК (печатается).

[13] ე. გოგაძე, არქეოლოგიური სამუშაოები 1974 წ. სოფ. მუხურჩას სამაროვანზე, საქართველოს სახ. მუზეუმის საანგარიშო სესიაზე წაკითხული მოხსენება.

[14] შ. ჩართოლანი, ლარილარის სამაროვანი, სკმაკ, თბ. 1968, გვ. 312.

[15] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб. 1941, გვ. 117.

რაზე გათხრილ ერთ სამარხშიც[16]. გვხვდება იგი თლის სამაროვანზე და ვანის ნასახლარზე უფრო მოგვიანო ხანაშიც. ამგვარად, მეორადი დაკრძალვის რიტუალი, როგორც ჩანს, არაა უცხო დასავლეთ საქართველოს მთელი ტერიტორიისათვის. ამასვე ადასტურებენ ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული წყაროები, სადაც ყველა ავტორი თითქმის ერთხმად აღიარებს კოლხურ ტომებში აღნიშნული რიტუალის არსებობას, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ყოველივე ზემოთქმულიდან არ გამომდინარეობს ის დასკვნა, თითქოს მეორადი დაკრძალვის წესი დამახასიათებელი იყოს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიისათვის. პირიქით, ეს წესი კარგად ჩანს ჩრდილო კავკასიაშიც, განსაკუთრებით კი დაღესტანში; მაგალითად, ყარაბუდაღკენტის № 2 სამაროვნის პირველ სამარხში, რომელიც ადრებრინჯაოს ხანას განეკუთვნება[17]. ამავე პერიოდისა ჩანს მსგავსი დაკრძალვის წესის შემცველი კატარაგაჩ თაკას და კარკომაჰოლას № 2 ყორღანები[18]. ძვ. წ. II—I ათასწლეულებს უნდა მიეკუთვნებოდეს ჰოლა-ადის და ყიზილ-იარას სამაროვნები, სადაც ასევე ვხვდებით მეორადი დაკრძალვის რიტუალს[19]. მეორადი დაკრძალვის რიტუალი ჩანს ბ. დეგენის მიერ გათხრილ ნალჩიკის № 2 ყორღანშიც[20]. ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ ძვ. წ. II—I ათასწლეულებში აღნიშნული რიტუალი ფართოდაა გავრცელებული მთელი კავკასიის ტერიტორიაზე, თუმცა მომდევნო ხანებში მათი რაოდენობა, დაღესტნის ტერიტორიის გარდა, მკვეთრად კლებულობს.

18552

საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ დაკრძალვის ეს წესი დაღესტნის ტერიტორიაზე სარმატულ ხანაში ადგილობრივი ტომებისათ-

---

[16] ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, თბ. 1962, გვ. 84. ტაშბაშისა და ამირანის გორის სამარხებში მეორადი დაკრძალვის რიტუალი არ ჩანს ისე მკვეთრად გამოსახული, როგორც ზემომოტანილ ძეგლებზე. მაგრამ მათ ვასახელებთ იმდენად, რამდენადაც სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარი მოსაზრება არის გამოთქმული.

[17] Р. М. Мунчаев, Древнейшая культура северо-восточного Кавказа, МИА-100. М. 1961, გვ. 133. Р. М. Мунчаев. К. Ф. Смирнов, Археологические памятники близ с. Карабудахкента, МИА-69, 1958, გვ. 148—149.

[18] К. Ф. Смирнов, Отчет о работе Дагестанской археологической экспедиции в 1951 г. Архив I АН СССР, ф. 1р.

[19] Д. Н. Анучин, Отчет о поездке в Дагестан, «Древности», ТМАО вып. 2—3, М. 1883, გვ. 36.

[20] Б. Е. Деген, Курганы в Кабардинском парке г. Нальчика, МИА-3, М. Л. 1941, გვ. 232.

ვის ერთ-ერთი წამყვანი რიტუალი ხდება. ამაზე მიუთითებს ტარაკის და ყარაბუდახკენტის № 1 სამაროვნის მონაცემები, სადაც დაკრძალვის სარმატული რიტუალის გვერდით ვხვდებით მეორადი დაკრძალვის ფაქტებსაც[21]. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მეორადი დაკრძალვის რიტუალი კარგად ჩანს განსაკუთრებით ძვ. წ. 1 ათასწლეულის შუა ხანებში გავრცელებული, თუმცა არის, როგორც აღვნიშნეთ, ბევრად უფრო ადრეც. რაც შეეხება მომდევნო ხანას, ჩვენთვის ცნობილ მასალებში ეს რიტუალი ჩანს მხოლოდ ვანის ნამოსახლარზე 1958 წ. გათხრილ ერთ სამარხში, რომელიც ძვ. წ. I საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. მაგრამ ის გარემოება, რომ ბერძნულ-რომაული წყაროები ერთხმად მიგვითითებენ კოლხურ ტომებში ამ რიტუალის არსებობას, თითქოს იმაზე მიგვითითებს, რომ ეს წესი დასავლეთ საქართველოში გამოყენებული იყო ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ამაზევე მიუთითებს აფხაზეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი ამ რიტუალთან დაკავშირებული მომენტები.

მერხეულის სამაროვანზე დადასტურებული დაკრძალვის რიტუალის განხილვა სრული არ იქნებოდა, თუ არ აღვნიშნავდით კიდევ ერთ საყურადღებო მომენტს. მიცვალებულთა ძვლების ნაწილი ატარებს ცეცხლში ყოფნის კვალს. მსგავს სურათს აქვს ადგილი პალურის „საძვლეზეც". ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით მერხეულის სამაროვანზე მოპოვებული სამარხეული ინვენტარის ნაწილი ატარებს ცეცხლში ყოფნის აშკარა ნიშნებს. კერძოდ, ეს შეეხება რკინის იარაღს, ბრინჯაოს რამდენიმე სამაჯურს და კირკალს მაშინ, როდესაც პალურის „საძვლეზე" სამარხეული ინვენტარი ცეცხლი ყოფნის ასე აშკარა ნიშნებს არ ატარებს. ამ თვალსაზრისით მერხეულის სამაროვნის ნაკეთობანი უფრო ახლოს დგას გუადიხუს სამაროვნის მასალებთან, სადაც მეორე ჯგუფის სამარხორმოებში დადასტურებულია მიცვალებულთა და თანჩატანებული ინვენტარის ნაწილობრივი, არასრული კრემაცია[22]. რომ მიცვალებულის სრული ან ნაწილობრივი კრემაცია ჩვენთვის საინტერესო პერიოდში არაა უჩვეულო დასავლეთ საქართველოს მასალებისათვის, ამის მაგალითად ბრილის ცნობილი სამაროვანიც

---

[21] К. Ф. Смирнов, Археологические исследования в районе Дагестанского селения Тарки, в 1948—1949, МИА-23, 1951, გვ. 226.

[22] М. М. Трапш, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

კმაროდა[23], მაგრამ მერხეულში საქმე მაინც განსხვავებულ რიტუალთან გვაქვს. მიცვალებულის ძვლები დამწვარი კი არ არის, არამედ მხოლოდ ცეცხლშია გატარებული, შესაძლოა ავი სულის საწინააღმდეგოდ.

მერხეულის სამაროვანზე დამოწმებული დაკრძალვის წესი ყველაზე მეტ მსგავსებას ნიგვზიანის სამაროვნის მონაცემებთან ამჟღავნებს. ნიგვზიანის კოლექტიურ სამარხ ორმოებში უსისტემოდ ჩაყრილი მიცვალებულის ძვლები და სამარხეული ინვენტარი ცეცხლში ყოფნის აშკარა ნიშნებს ატარებს. აღსანიშნავია, რომ აქაური ნაკეთობანი ხშირად თითქმის წიდადაა ქცეული და დეფორმირებული და რიგ შემთხვევაში ფორმის განსაზღვრაც კი ჭირს[24].

კოლხურ ტომებში მეორადი დაკრძალვის რიტუალის არსებობის შესახებ, წმინდა არქეოლოგიური მონაცემების გარდა, მოგვეპოვება ბერძენ-რომაელ მწერალთა პირდაპირი ცნობები. მათ შორის ყველაზე სრული ცნობა დაცულია აპოლონიოს როდოსელის (ძვ. წ. III ს.) „არგონავტიკაში"; იქ „ეხლაც კიდევ კოლხებს დიდ ცოდვად მიაჩნიათ მიცვალებულ მამაკაცების ცეცხლში დაწვა, ან მათი დაფვლა მიწაში და ჩამოჰკიდებენ ხეებზე ქალაქის მოშორებით, მაგრამ მიწაც ღებულობს თავისას ისე, როგორც ჰაერი, ვინაიდან ქალების გვამებს მიწაში მარხავენ. ასეთი არის მათი ჩვეულება"[25]. პროფ. ბ. კუფტინის აზრით, აპოლონიოს როდოსელს აღნიშნული ცნობა აღებული აქვს მისი უფროსი თანამედროვის ნიმფოდორ სირაკუზელის „პერიპლუსიდან"[26], უკანასკნელი კი აღნიშნავს: „კოლხებში არ არის მიღებული მიცვალებულ მამაკაცთა არც დაწვა და არც მიწაში ჩაფვლა. გვამებს ისინი ახვევენ ნედლ ტყავში და კიდებენ ხეზე. მიცვალებულ ქალებს კი ასაფლავებენ მიწაში"[27]. მსგავსი ცნობებია დაცული სხვა ავტორებთანაც. ნიკოლოზ დამასკელი (ახ. წ. 1 ს) წერს: „კოლხები არ ასაფლავებენ მიცვალებულებს, არამედ კიდებენ ხეზე"[28]. კლავდიუს ელიანე (ახ.

---

[23] გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1951, გვ. 99.

[24] Т. К. Микеладзе, М. В. Барамидзе, დასახ. ნაშრომი.

[25] В. В. Латышев, Известия древных писателей греческих и римских о Скифии и Кавказе, т. I, греческие писатели, СП. 1886, გვ. 418.

[26] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. I, გვ. 187—188.

[27] В. В. Латышев, ციტირებული წყარო, გვ. 409.

[28] იქვე, გვ. 455.

წ. II ს. ბოლო — III ს. დასაწყისი) — „კოლხები მიცვალებულს შემოაკერებენ ტყავს და კიდებენ ხეებზე“[29]. ამგვარად, აშკარად ჩანს, რომ ისტორიულ წყაროებში დაცულია ცნობა კოლხურ ტომებში დაკრძალვის ამ რიტუალის არსებობის შესახებ; საკითხის ერთი მხარეა, თუ რა პერიოდის ვითარებას ასახავს ეს ცნობები. დასავლეთ საქართველოს დღევანდელი არქეოლოგიური შესწავლილობის დონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მეორადი დაკრძალვის რიტუალი უფრო ადრეულ პერიოდებს უნდა მიეკუთვნოს, ვიდრე ნიმფოდორ სარაკუზელისა თუ აპოლონიოს როდოსელის ცნობის ხანაა. მართლაც, ჯერჯერობით მეორადი დაკრძალვის რიტუალის არსებობა უფრო მოგვიანო ხანებში, ვიდრე ეს ძვ. წ. 1 ათასწლეულის შუა ხანებია, არქეოლოგიურად დადასტურებულია მხოლოდ ვანის ნამოსახლარზე გათხრილ ერთ სამარხში, რაც ზემოთ იყო აღნიშნული. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ნიმფოდორ სირაკუზელს თუ აპოლონიოს როდოსელს ხელთ ჰქონდათ უფრო ძველი ცნობები. ეს მით უფრო სავარუდოა, რომ „არგონავტიკაში“ მკვლევართა მიერ აშკარად გამოყოფილია უძველესი და შედარებით ახალი შრეები[30]. ამდენად, არაა გამორიცხული, რომ ცნობა კოლხურ ტომებში მეორადი დაკრძალვის რიტუალის შესახებ ადრეულ პერიოდს ეკუთვნოდეს. ამ მოსაზრებას, წმინდა არქეოლოგიური მონაცემების გარდა, შესაძლოა მხარს უჭერდეს თვით აპოლონიოს როდოსელის ცნობაც, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს: „ეხლაც კიდევ კოლხებს ცოდვად მიაჩნიათ..“ და ა. შ.

სხვა საკითხია, რამდენად სწორად აქვთ გადმოცემული დაკრძალვის რიტუალი ამ ავტორებს. აპოლონიოს როდოსელის და ნიმფოდორ სირაკუზელის ცნობებით ეს რიტუალი მხოლოდ მამაკაცთა მიმართ არის გამოყენებული, ქალები კი იმარხებიან ჩვეულებრივ, მიწაში. ყველა სხვა ავტორი (ნიკოლოზ დამასკელი, ფსევდო პლუტარქი, კლავდიუს ელიანე) ამგვარ სქესობრივ განსხვავებას დაკრძალვის რიტუალისათვის არ აღნიშნავენ.

სამწუხაროდ, კრანიოლოგიური მასალების ფრაგმენტულობის გამო, ამ საყურადღებო მოსაზრების შემოწმება ანთროპოლოგიურად ჯერჯერობით შეუძლებელი ჩანს, მაგრამ არქეოლოგიური მა-

---

[29] В. В. Латишев, ციტირებული წყარო, გვ. 698.

[30] აღნიშნულ საკითხზე დაწვრილებით იხ. თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, გვ. 157—162.

სალების განხილვა ზოგიერთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. მაგ. პალურის „საძვლეს“ შესწავლის დროს ჩვენს წინაშე იდგა საკითხი აღნიშნული რიტუალის სქესობრივი კუთვნილების შესახებ. „საძვლე“ წარმოადგენს ნალისებური მოყვანილობის თხრილს, რომელიც პირამდე ავსებულია მიცვალებულის უსისტემოდ ჩაყრილი ძვლებით, რიყის ქვით, მიწით და არქეოლოგიური მასალით. მასალა წარმოდგენილია კერამიკით და სამკაულით (მძივები, საკინძები, სამაჯურები, ბალთები, საკიდები და სხვ.). იარაღიდან თხრილში მხოლოდ ბრინჯაოს ერთი ყუნწიანი სატევრის პირი და კოლხური ცულის მინიატურული მოდელი — საკიდია ნაპოვნი. თხრილის ორ მხარეს (აღმოსავლეთით და დასავლეთით) უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიაზე გაითხარა ორი სწორკუთხა მოედანი, რომელზეც ენგურის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შეისწავლა 70-მდე ინდივიდუალური ინჰუმაციური სამარხი. სამარხეული კომპლექსები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მრავლად შეიცავდა ბრინჯაო-რკინის იარაღებს. მასალის ამგვარმა განლაგებამ გვაფიქრებინა, რომ თხრილში მეორადი დაკრძალვის წესით ასაფლავებდნენ ქალებს, ხოლო იქვე გვერდით ინჰუმაციის წესით მამაკაცებს[31].

არქეოლოგიური მასალის მიხედვით, მეორადი დაკრძალვის რიტუალი ქალებისათვის გამოყენებული ჩანს ბრილის სამაროვანზე 1959 წ. გათხრილ კოლექტიურ აკლდამაშიც, რომლის მრავალრიცხოვანი ინვენტარი მხოლოდ სამკაულებითაა წარმოდგენილი. გამონაკლისია მხოლოდ ერთი კაჟის ისრისპირი[32].

ზემომოტანილი ორი მაგალითი, ვფიქრობთ, გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ მეორადი დაკრძალვის რიტუალი გამოყენებული იყო ქალების დასაკრძალავადაც. სამწუხაროდ, სხვა ძეგლებზე, სადაც ეს წესი ჩანს გავრცელებული, მასალის ორგვარი ხასიათი (სამკაულის და იარაღის თანაარსებობა) არ იძლევა ამგვარი საკითხის დასმის უფლებას. ნიგვზიანის სამაროვანზე ჩვენს ხელთ არის ასობით საბრძოლო თუ სამეურნეო იარაღი და ასეთივე რაოდენობით სამკაული. მსგავსი სურათია დოლმენებსა, კრომლეხებსა, ურნებსა და სხვა რიგის სამარხებშიც. აღნიშნული გარემოება, ვფიქრობთ, გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ ანტიკური წყაროების ცნობები კოლხურ ტომებში მეორადი დაკრძალვის რიტუალის არსებობისა და დაკრძალვის წესში სქესობრივი განსხვავე-

---

[31] ნ. ოქროპირიძე, მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 98.
[32] მ. ბარამიძე, ბრილის აკლდამა.

ბის შესახებ ერთგვარად ეჭვის ქვეშ იქნეს დაყენებული. სავარაუდოა, რომ ეს წესი გამოიყენებოდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ორივე სქესის მიცვალებულთა მიმართ.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მეორადი დაკრძალვის რიტუალის არსებობა დასტურდება ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი ფაქტებითაც. XVII ს. ცნობილი მოღვაწე, მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც 18 წლის განმავლობაში ცხოვრობდა სამეგრელოში, წერდა, რომ აფხაზებს აქვთ საყურადღებო ჩვეა — მიცვალებულებს არ მარხავენ, არამედ დებენ ხის სკივრში, რომელსაც ყურძნის ლერწით ამაგრებენ ხის წვეროზე. იქვე კიდებენ მიცვალებულის მთელ იარაღს[33]. მსგავს სურათს აღწერს XVII ს. თურქი მოგზაური ევლია ჩელები[34] და ცნობილი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი[35].

XIX ს. შუა ხანებისათვის მსგავსი რიტუალი აღწერილი აქვს პირველ აფხაზ ეთნოგრაფს სოლომონ ზვამბაიას. მისი ცნობით, მეხის დარტყმით მოკლულ ადამიანს ან საქონელს ათავსებენ ოთხ ბოძზე აღმართულ სპეციალურ ხის კოშკში მანამ, სანამ მისგან მხოლოდ ძვლები არ დარჩება. ამის შემდეგ მიცვალებულს ჩამოხსნიან და მის ძვლოვან ნაშთს მიწაში მარხავენ[36].

საინტერესო ცნობებს აფხაზეთის ტერიტორიაზე XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში შემორჩენილი აღნიშნული რიტუალის შესახებ გვაწვდიან ნ. ალბოვი[37], ნ. ჯანაშია[38], გ. ჩურსინი[39], შ. ინალიფა[40] და სხვა. მათი ცნობით აფხაზეთში მიცვალებულთა ხეზე ჩამოკიდების წესი ძირითადად მეხით მოკლული პიროვნებისადმი იყო გამოყენებული. აღნიშნული ცნო-

---

[33] Арканджело Ламберти, СМОМПК, 43, ПБ. 1913, გვ. 189—190.

[34] Ф. К. Брун, Путешествие турецкого туриста вдоль восточного берега Черного моря, ЗООИД, IX, გვ. 178.

[35] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 172.

[36] С. Т. Званба, Этнографические этюды, Сухуми, 1955, გვ. 67—68.

[37] Н. Альбов, Этнографические наблюдения в Абхазии, «Живая Сторина», т. III, 1893, გვ. 23.

[38] Н. С. Джанашия, Статьи по этнографии Абхазии, Сухуми, 1960, გვ. 67—68.

[39] Г. Ф. Чурсин, Материалы по этнографии Абхазии, Сухуми, 1956, გვ. 57.

[40] Ш. Н. Иналипа, Абхазы, Сухуми, 1965, გვ. 531—532.

ბები ვრცლად არის არქეოლოგიურ ლიტერატურაში განხილული[41] და ჩვენ აქ მათზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ, როგორც ჩანს, თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოში არსებული რიტუალი უკანასკნელ დრომდე მხოლოდ აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე იყო შემორჩენილი.

ყოველივე ზემოთქმულიდან არ გამომდინარეობს, რომ დაკრძალვის ამგვარი რიტუალი დამახასიათებელი იყოს ერთი რომელიმე გარკვეული ეთნიკური ჯგუფისათვის; პირიქით, კავკასიის გარდა იგი ფართოდაა გავრცელებული წინა აზიაში, მესოპოტამიაში, სპარსეთის სამხრეთ ნაწილში, ურარტუს პართიული ხანის სამარხებში, სადაც ისინი აშკარად მაზდიანობასთან არის დაკავშირებული. ამ რელიგიის მიხედვით კი მიცვალებულის გვამით მიწის წაბილწვა არ შეიძლება. მიცვალებულის დამარხვა ხდებოდა მხოლოდ მის შემდგომ, როცა მთლიანად მოსცილდებოდა ხორცი[42].

ამგვარად, როგორც დავინახეთ, მეორადი დაკრძალვის რიტუალი ცეცხლში ნაწილობრივ ყოფნის კვალით არაა უცხო დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიისათვის. თუ რით უნდა აიხსნას ამგვარი რიტუალის არსებობა, ეს საკითხის კიდევ ერთი მხარეა. სავარაუდოა, რომ ეს რიტუალი წარმოადგენს ადამიანის აზროვნებაში სულისა და ხორცის (მატერიალური საწყისი) ერთიანობის გამოხატვის ასახვას. ხორცეული (მატერიალური) თავისთავში შეიცავს სულიერს და ვიდრე ეს მატერიალური არსებობს, სულიერიც მასში არის მოქცეული. ამის გამო, სანამ ხორციელი მთლიანად არ მოსცილდება, სულიერი საწყისი ცოცხალია. შესაძლოა სწორედ ამიტომ არ ასაფლავებდნენ მიცვალებულს უშუალოდ მიწაში, ვინაიდან მათ წარმოდგენაში სული ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და საჭიროებდა მოვლა-პატრონობას, მხოლოდ ხორცის სრული გახრწნის შემდეგ იმარხებოდა ძვლები მიწაში, ე. ი. მაშინ, როცა სული ხორცთან ერთად სტოვებდა მიცვალებულს[43]. ასეთ შემთხვევაში უკვე გასაგები ხდება, თუ რითაა გამოწვეული მიცვალებულის დაკრძალვის ამგვარი რიტუ-

---

[41] М. М. Иващенко, დასახ. ნაშრომი, გვ. 71—78; გ. ნიორაძე, მიცვალებულის ჰაერზე დამარხვა, ენიმკის მოამბე. V—VI, თბ., 1940, გვ. 74; Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 188—190; М. Трапш, დასახ. ნაშრომი, გვ. 161—162; Г. Шамба, დასახ. ნაშრომი, გვ. 37—42.

[42] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 184.

[43] გ. ნიორაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 75—78.

ალის არსებობა, რაც შეეხება ცეცხლის მონაწილეობას, იგი შეიძლება აიხსნას მხოლოდ ავი სულებისაგან მიცვალებულის გაწმენდის სურვილით.

საქართველოს არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, დაკრძალვის ეს რიტუალი განსაკუთრებით კარგად და ფართოდ აფხაზეთის ტერიტორიისათვის ჩანს დამახასიათებელი. უკანასკნელი აღმოჩენების მიხედვით, იგი გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში (პალური, ნიგვზიანი, მუხურჩა, ბრილი)[44]. ამასთანავე, თვით აფხაზეთში მეორადი დაკრძალვის რიტუალის პარალელურად და იმავე დროს გვხვდება დაკრძალვის სხვა წესებიც. მაგალითად, წითელი შუქურას სამაროვანზე დადასტურებულია მიცვალებულის დაკრძალვის რამდენიმე წესი: 1. გაშოტილი პოზა; 2. კიდურებმოხრილი პოზა. დაკრძალვა ორივე შემთხვევაში წარმოებს ოვალური ფორმის ორმოსამარხებში. დაკრძალვის მესამე ტიპი წარმოდგენილია მეორადი დაკრძალვით ურნებსა და ოვალური ფორმის ორმოებში[45]. აღნიშნული სხვაობის მიუხედავად, არავითარი საფუძველი არა გვაქვს ამ სამაროვანზე სხვადასხვა ეთნიკური მასების არსებობა იქნეს ნავარაუდევი. პირიქით, არქეოლოგიური მასალების სრული იდენტურობა და ზოგიერთი საერთო მომენტი სამარხის აგებაში (სამარხი ორმოს ფსკერის ქვიშით მოფენა, კრემაციის არარსებობა და სხვ.) სრულიად სამართლიანად ავარაუდებინებს სამაროვნის შემსწავლელ მ. ტრაპშს წითელი შუქურას სამაროვანზე ერთი ეთნიკური მასის არსებობას. განსხვავებას დაკრძალვის წესში ავტორი ხსნის მიცვალებულთა სხვადასხვა სოციალური მდგომარეობით ან სხვადასხვაგვარი სიკვდილით[46]. მაგრამ საკითხის ამგვარი დასმა, ჩვენის აზრით, არ არის მთლად სწორი, ვინაიდან სხვადასხვა ტიპის

---

[44] შესაძლოა მსგავს რიტუალთან გვქონდეს საქმე გეგეჭკორის რაიონის სოფ. სალხინოს ტერიტორიაზე კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1973 წელს მიკვლეულ ძეგლზე. სავენახე მიწის პლანტაჟის დროს ამოიყარა მრავალრიცხოვანი ძვლები და ბრინჯაოს რამდენიმე ნივთი-სამკაული. საერთო სურათი ისეთია, რომ აქაც საქმე ბუდეებად განლაგებულ კოლექტიურ სამარხ ორმოებთან გვაქვს, რომლებიც წინასწარულად, აკრეფილი მასალის მიხედვით, გვიან ბრინჯაოს ხანის ჩანს. ამასთანავე, დასავლეთ საქართველოს დაზვერვითმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ექსპედიციის ხელმძღვანელის გ. გრიგოლიას ცნობით) რიგ რაიონებში მიაკვლია ამავე ტიპის რამდენიმე სამაროვანს. სამწუხაროდ, ამ ძეგლებზე არავითარი სამუშაო არ ჩატარებულა, რაც მათ შესახებ მსჯელობას აძნელებს.

[45] М. М. Трапш, დასახ. ნაშრომი, გვ. 149—150.

[46] იქვე.

სამარხებში გვხვდება სრულიად იდენტური მასალები, ისე რომ, სოციალურ მომენტს წითელი შუქურას სამაროვნის მასალების მიხედვით არ უნდა ჰქონდეს რაიმე გადამწყვეტი მნიშვნელობა. ასევე საეჭვოა სხვადასხვა სახის სიკვდილის მომენტის მიღებაც, ვინაიდან სამაროვანზე დაკრძალვის სამივე ტიპი თითქმის თანაბარი რაოდენობითაა წარმოდგენილი, რაც ბუნებრივია, არ იქნებოდა თუ ჩვენ ამ მომენტს ჩავთვლით სამარხთა ტიპების განმსაზღვრელად. აქვე უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი მომენტი, რომელიც ქრონოლოგიურად მერხეულის და წითელი შუქურას სამაროვნების თანადროულ გუადიხუს სამაროვანს ახასიათებს. აქ დადასტურებულია მიცვალებულის სრული და ნაწილობრივი კრემაციის ფაქტები[47]. აქედან გამომდინარე, მ. ტრაპშის შრომების გამოცემის დროს სარედაქციო კოლეგიას გაუკეთებია შენიშვნა, რის მიხედვით გუადიხუს და წითელი შუქურას სამაროვნები სხვადასხვა ეთნიკური მასების კუთვნილებად არის გამოცხადებული[48]. თავი რომ დავანებოთ იმ ფაქტს, რომ არ არის ახსნილი თუ რომელ ეთნიკურ ჯგუფებს გულისხმობენ ამ შენიშვნაში ავტორები, სრულიად უგულველყოფილია ის ფაქტი, რომ არქეოლოგიური მასალები ორივე სამაროვანზე აბსოლუტურად იდენტურია, რაც საკითხის ამგვარი დასმის უფლებას არ იძლევა. ასეთ შემთხვევაში, მაგალითად, სხვადასხვა ეთნიკური მასებისათვის უნდა მიგვეკუთვნებინა ბრილის სამაროვანიც, სადაც მიცვალებულის კრემაციის პარალელურად, მათი ქვაყუთებში და ორმოსამარხებში დაკრძალვის რიტუალია დადასტურებული[49], ან პალურის „საძვლე", სადაც თხრილში გვაქვს მიცვალებულის მეორადი დაკრძალვა და თხრილის გარეთ კი ინგუმაცია[50]. აღნიშნულის გამო მხოლოდ დაკრძალვის წესში სხვაობის მიხედვით არაა მართებული სხვადასხვა ეთნიკური მასების შესახებ მსჯელობა, მაგრამ მაშ რით ავხსნათ ერთი და იგივე სამაროვნის ტერიტორიაზე სხვადასხვა ტიპის სამარხთა არსებობა. ამის გასარკვევად, ჩვენი აზრით, გარკვეულ მინიშნებას გვაძლევს მერხეულის სამაროვანი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამაროვანს უკავია სულ 40 კვ. მ ფართობი და ამის გარეთ იგი არ ვრცელდება. მისი ასეთი პატარა ზომები გვაფიქრებინებს, რომ აქ საქმე უნდა

---

[47] იქვე, გვ. 46—46.
[48] იქვე, გვ. 50, შენიშვნა.
[49] გ. გობეჯიშვილი, დასახელ. ნაშრომი, გვ. 57, 103—104.
[50] ნ. ოქროპირიძე, მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 98.

გვქონდეს საგვარეულო სამაროვანთან, აქედან გამომდინარე, ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ განსხვავება ერთი და იგივე სამაროვანზე არსებულ ქრონოლოგიურად თანადროულ დაკრძალვის წესში ერთი ეთნიკური ჯგუფის შიგნით სხვადასხვა საგვარეულო ჩვეულებებით აიხსნას. ვფიქრობთ, საკითხის ამგვარი დასმის შესაძლებლობა უნდა არსებობდეს.

ჩვენი აზრით, ზოგიერთ კერძო შემთხვევაში არ უნდა იქნეს გამორიცხული მიცვალებულთა სქესობრივი განსხვავება. ამის საილუსტრაციოდ პალურის „საძვლეს" და ბრილის აკლდამის ზემომოყვანილი მაგალითიც იკმარებდა. შეიძლება მოვიტანოთ დამატებითი საბუთიც. აფხაზეთის ტერიტორიაზე გათხრილია ძალზე საყურადღებო სამაროვანი „გუადიხუ". აქ შესწავლილია ძვ. წ. VIII—VI სს. 32 სამარხი[51]. არქეოლოგი მ. ტრაპში გუადიხუს სამაროვანზე დაკრძალვის წესის მიხედვით ორი ჯგუფის სამარხებს გამოყოფდა. პირველი ტიპი (სულ 15) წარმოდგენილია მრგვალი ფორმის პატარა ორმოსამარხებით, რომლებშიც მიცვალებულის სრული კრემაციის წესია დადასტურებული[52]. აღნიშნული სამარხების ინვენტარში ვხვდებით მხოლოდ სამკაულს (სამაჯურები, ფიბულა, სასაფეთქლე რგოლი, კირკალი, მძივები და სხვ.), გამონაკლისს წარმოადგენს ერთი (№ 5) სამარხი, რომელშიც ბრინჯაოს 2 სეგმენტური იარაღია ნაპოვნი. მეორე ტიპის სამარხები (სულ 17) წარმოდგენილია მოგრძო, კუთხეებში მომრგვალებული ოთხკუთხედის ფორმის ორმოსამარხებით. მიცვალებული დაკრძალულია ნაწილობრივი კრემაციის წესით, რომელიც სრულდებოდა უშუალოდ ორმოებში[53]. ამ ჯგუფის ინვენტარი უფრო ნაკლებად ატარებს ცეცხლში ყოფნის კვალს და წარმოდგენილია ძირითადად საბრძოლო იარაღით (ცულები, შუბისპირი, სატევარი, დანისპირები). შედარებით მცირეა სამკაული. ამ ჯგუფის სამარხებში გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ 3 (№ 12, 24, 25), მაგრამ სამივე შემთხვევაში ინვენტარი საკმაოდ მრავალრიცხოვანია და ნაირგვარი, რასაც ვერ ვიტყვით პირველი ჯგუფის სამარხების ინვენტარზე. მასალის ამგვარი განაწილება დაკრძალვის წესით განსხვავებულ ორი ჯგუფის სამარხებში, ფიქრობთ, გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ პირველი ჯგუფის ორმოსამარხებში სრული კრემაციის წესით

---

[51] М. М. Трапш, დასახ. ნაშრომი, გვ. 20—45.
[52] იქვე, გვ. 45.
[53] იქვე.

იმარხებოდნენ ქალები, ხოლო მეორე ჯგუფის ორმოსამარხებში ნაწილობრივი კრემაციით — მამაკაცები.

ამგვარად, მერხეულის სამაროვნის დაკრძალვის წესის განხილვა სხვა სინქრონულ სამაროვნებთან კავშირში აშკარად გვიჩვენებს, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ჩანს დაკრძალვის რამდენიმეგვარი რიტუალი (მეორადი დაკრძალვა ნაწილობრივი კრემაციით, ინგუმაცია, კრემაცია და სხვ.). დაკრძალვის წესის ამგვარი განსხვავება ერთი სამაროვნის შიგნით, ჩვენი აზრით, უნდა აიხსნას ერთი რომელიმე ეთნიკური ჯგუფის შიგნით არსებულ საგვარეულო რწმენა-წარმოდგენებით. ამ დროს გარკვეული მნიშვნელობა, შესაძლოა, ექცეოდა მიცვალებულის სქესს.

თავი III

მერხეულის სამაროვნის არქეოლოგიური მონაპოვრის ტიპოლოგიური შესწავლისათვის

მერხეულის სამაროვანზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალები არაა მრავალრიცხოვანი. ამის უპირველესი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ სამაროვნის ერთი ნაწილი, ზედა ჰორიზონტი, მთლიანად დაზიანებული იყო ხვნის შედეგად. სამარხეულ ინვენტარში დანიშნულება-მოხმარების მიხედვით 3 ჯგუფის მასალები გამოიყოფა: კერამიკა, იარაღი და სამკაული. თითოეულ ამ ჯგუფში გამოყოფილია ცალკეული ტიპები და ქვეტიპები.

მერხეულის სამაროვანზე მოპოვებული კერამიკული ნაწარმი ყველაზე მცირერიცხოვან ჯგუფს ქმნის (ტაბ. III). იგი ძირითადად ცალკეული პროფილებით და ნატეხებითაა წარმოდგენილი და ფორმათა აღდგენა ჭირს. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ერთი ყურმილიანი, ნაკლული ხელადა. კერამიკა ძირითადად შავი, მონაცრისფრო ან აგურისფერია, დამზადებული წვრილმარცვლოვანი ქარს- და ხრეშნარევი თიხისაგან ჩარხზე. უმთავრესად თხელკეციანია. ამ ჯგუფიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ყურმილიანი ხელადა. იგი მონაცრისფროა, ყელმაღალი, ოდნავ გაშლილი და გოფრირებული. მხარი დახრილია, მუცელი ფართო, ბრტყელი, ძირისაკენ სწრაფად შევიწროებული ტანი. მილიანი, ოდნავ განზე გატანილი ყური, მუცელზე და ყელზეა მიძერწილი. მხარი წმინდა ტალღოვანი ორნამენტითაა შემკული (ტაბ. III—49). აქვეა აღმოჩენილი მილიანი ყურის კიდევ ორი ნატეხი. აღნიშნული ჭურჭელი ერთ-ერთი ყველაზე უფრო სპეციფიური და კარგად დათარიღებული ნაკეთობაა კოლხური კერამიკისა. ჩვენ არ გვეგულება ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანების არცერთი ნამოსახლარი დასავლეთ საქართველოში, სადაც აღნიშნული კერამიკა არ იყოს ფიქსირებული. მაგ. აჭარაში „ნაპურვალას“ ბორცვზე მაღალქუსლიან კოლხურ სასმისთან ერთად აღმოჩენილია რამდენიმე მილიანი ჭურ-

ჭელი[1]. სამკუთხა შევრონებით შემკული ერთი მთლიანი ჭურჭელი ცნობილია ფიჭვნარის დიუნიდან[2]. ამ ძეგლზე მრავლადაა მილიანი ყურის ფრაგმენტებიც და ძეგლის გამთხრელი ალ. რამიშვილი ამ ფენებს უშუალოდ წინარე ანტიკურ ხანას აკუთვნებს და მათ გაჩენას ძვ. წ. VII საუკუნეში ვარაუდობს[3]. არის მსგავსი ფრაგმენტები ბათუმის ციხეზე, კოხში[4], გურიანთაში, დაბლა გომში, ნაჭკადუ-ნაკალამუს ბორცვებზე[5], ციხურაში[6], ითხვისში, საქორქიოს „სიმაგრესა“ და მის მახლობლად რიონის მარცხენა ტერასის დასახლებებზე[7] და სხვ. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ჭურჭელი ხშირად გვხვდება სამარხეული კომპლექსების შემადგენლობაში. მაგ. 1933 წ. ქუთაისში ცაცხვების ქუჩაზე დაზიანებულ სამაროვანზე ყურმილიანი დოქები აღმოჩნდა ბრინჯაოს და რკინის თოხებთან და რკინის ვიწრო ყუაკვერიან სატევრისებურპირიან ცულთან ერთად[8].

ყურმილიანი ჭურჭელი ნაპოვნია პალურის „საძვლეს“ № 24 ინდივიდუალურ სამარხში, თუმცა ზემოხსენებული პარალელებისაგან განსხვავებით, მათ მაინც მილი უფრო განზე, თითქმის ჰორიზონტალურად აქვს გატანილი. სამარხში აღმოჩენილია ბრინჯაოს სატევრები, ბალთა, ცხოველის გამოსახულებიანი ბრტყელი მშვილდსაკინძი, მასიურრკალიანი მშვილდსაკინძი, ვეფხვის (?) სკულპტურული გამოსახულება, წყვილი, სპირალურად თავჩახვეული საკისრე რკალი, ბრტყელფირფიტოვანი და მრგვალგანივკვეთიანი 2 წყვილი სამაჯური, რკინის ყუნწიანი დანა, ელექტრუმის და ვერ-

---

[1] ა. კ ა ხ ი ძ ე, მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის. მსკა, IV, თბ., 1965, გვ. 72—73, სურ. 2.

[2] ი ქ ვ ე.

[3] Ал. Р а м и ш в и л и. К вопросу о датировке Пичвнарских поселений 1972 № 4, გვ. 117.

[4] ალ. ქ ა თ ა მ ა ძ ე, კოხის „ნაჯიხურალი“, — ძველი კოლხური ნამოსახლარი, 1972, № 4, 117, აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. VI, ბათუმი, გვ. 37.

[5] Б. А. К у ф т и н, Материалы к археологии Колхиды, т. II, გვ. 100—101, 185, ტაბ. 35, სურ. 47.

[6] ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ძეგლები „ციხურას“ მიდამოებიდან, სსმმ, XVII, თბ., 1953. გვ. 174—175, ტაბ. IV_4.

[7] თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე... კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1971—1974 წ., ანგარიშები (ხელნაწერი).

[8] Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 101, სამწუხაროდ, აღნიშნული კოლექციის ნაწილი, მათ შორის ცული, დაკარგულია.

ცხლის წყვილი საყურე და სარდიონის, გიშერის, მინის და პასტის მძივები (ტაბ. VII, I). აღნიშნული სამარხი ორ ინდივიდს ეკუთვნოდა და თვითეულის კომპლექსის გამოყოფა არ მოხერხდა. სამარხი ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევრით და VI ს. საწყისით დათარიღებულ სამარხთა ჯგუფშია მოქცეული[9].

უკანასკნელ ხანებში ყურმილიანი ხელადების ათეულობით ეგზემპლიარი აღმოჩნდა ნიგვზიანის სამაროვანზე. სამწუხაროდ, აქ საქმე გვაქვს კოლექტიურ სამარხორმოებთან მიცვალებულის მეორადი დაკრძალვის რიტუალით, რის გამოც ცალკეული კომპლექსების გამოყოფა არ ხერხდება. მაგრამ სამარხეული ინვენტარი ისეთი ხასიათისაა, რომ ძეგლი მთლიანად ძვ. წ. VII ს. უადრეს ხანას ვერ განეკუთვნება და მას ძვ. წ. VII—VI სს.-ით ვათარიღებთ[10]. აქ არის რკინის სამეურნეო (თოხები, სახნისები, ნამგალი, მოხრილი დანები) და საბრძოლო იარაღები (სატევრები, შუბისპირები, სკვითური აკინაკები, მახვილები), ბრინჯაოს სატევრები, შუბისპირი, ისრისპირები (მათ შორის ერთი ე. წ. სკვითური სამფრთიანი მასრაზე დეზით), სამკაული (სამაჯურები, საყურეები, მძივები). მთელი მასალა იმგვარია, რომ მის თარიღში ეჭვის შეტანა ძნელია.

ყურმილიანი ხელადების დათარიღების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა დიდი სხვაობა არ არის. ტ. ჩუბინიშვილის აზრით, დოქების გაჩენის თარიღად ძვ. წ. VIII—VI სს. საგულვებელი[11]. ალ. რამიშვილი მათ უადრეს ნიმუშებს ძვ. წ. VII ს. ათარიღებს[12]. იგივე თარიღს მხარს უჭერს ა. კახიძეც[13]. უკანასკნელ ხანებში კოლხური კერამიკის განვითარების საინტერესო სურათი მოგვცა თ. მიქელაძემ. მისი სქემით ყურმილიანი ხელადები შკ I ეტაპისათვისაა დამახასიათებელი და ჩნდება ძვ. წ. VII ს. მომდევნო პერიოდის მასალებში[14].

---

[9] ნ. ოქროპირიძე, მ. ბარამიძე, პალურის „საძელე" (ხელნაწერი).

[10] Т. К. Микеладзе, М. Барамидзе, დასახ. ნაშრომი.

[11] ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 175.

[12] Ал. Рамишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 117—113.

[13] ა. კახიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 93. ავტორი ყურმილიანი ხელადების გავრცელების კონკრეტულ თარიღს არ იძლევა, თუმც სამაროვანს ძვ. წ. VI—II სს. ათარიღებს. ზუპირი ცნობით ფიჭვნარის სამაროვანზე უკანასკნელ ხანებში მოხერხდა ძვ. წ. VII ს. ყურმილიანი ხელადების შემცველი კომპლექსების გამოყოფა.

[14] თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 63—64.

ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი მოსაზრება ჯერჯერობით ყველაზე მისაღები თარიღია. ამას მხარს უჭერს პალურის ზემოთ მოტანილი სამარხეული კომპლექსის თარიღი და ნიგვზიანის სამაროვნის მონაცემები. თარიღის გარკვევის საქმეში საინტერესო მასალებს გვაძლევს საქორქიოს „სიმაგრეც“, სადაც ყურმილიანი ხელადები იმპორტული კერამიკით ზუსტად დათარიღებულ ძვ. წ. VI ს. შუახანების და მეორე ნახევრის ფენებში გვხვდება[15].

საინტერესოდ გვეჩვენება ყურმილიან ხელადებთან დაკავშირებული კიდევ ერთი საკითხი. უშუალოდ წინამორბედ ხანაში მსგავსი ჭურჭლები საქართველოს ტერიტორიაზე არსად არ არის დადასტურებული. მათი შორეული პროტოტიპები კი[16] შედარებით მცირე რაოდენობით არის ფიქსირებული, მხედველობაში გვაქვს ბედენის ადრებრინჯაოს ხანის დასასრულის და გრაკალის[17] შუაბრინჯაოს ხანის გორასამარხებში აღმოჩენილი ყურმილიანი პატარა ჭურჭლები, მაგრამ მათ შორის ქრონოლოგიური წყვეტილი სულ მცირე ათასი — ათასხუთასი წელია. აღნიშნულის გამო უფრო სავარაუდოა, რომ ადრეული პერიოდის ყურმილიან ჭურჭლებს არა აქვთ გენეტიკური კავშირი ადრეანტიკური ხანის ყურმილიან ხელადებთან და ეს უკანასკნელნი დამოუკიდებლად არიან ჩამოყალიბებულნი.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ შუა იტალიის რკინის ხანის პირველი პერიოდის მასალებში ჩნდება მსგავსი ყურმილიანი ხელადები, მაგრამ ამგვარი შორეული პარალელი გარკვევით რაიმეს თქმის უფლებას არ გვაძლევს.

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ ყურმილიანი ჭურჭლები კოლხური კერამიკის ერთ-ერთი ყველაზე სპეციფიური და კარგად დათარიღებული ნაკეთობაა.

თარიღის თვალსაზრისით ასევე საინტერესო და ასაკის განმსაზღვრელიც კი ჩანს № 27 ფრაგმენტიც (ტაბ. III). იგი მონაცრისფრო, ბაკოჩაკეცილ ჭურჭელს (შესაძლოა ლანგარს) ეკუთვნის. მსგავსი ბრტყელბაკოიანი ჭურჭელი ასევე ძალზე სპეციფიურია ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკისათვის. გვხვდება ისინი

---

[15] თ. მიქელაძე, ვ. ბარამიძე, დასახ. ნაშრომი.

[16] გ. გობეჯიშვილი, ბრილის აკლდამა, ძეგლის მევობარი № 4. თბ., 1969.

[17] ზ. შატბერაშვილი, არქეოლოგიური სამუშაოები კასპის რაიონში, ხელნაწერი.

პალურის „საძვლეზე“[19], ნიგვზიანის სამაროვანზე[20], ბრილის ძვ. წ. VI ს. ნამოსახლარზე[21], საქორქიოს სიმაგრეზე[22] და სხვ. ჩვეულებრივ, ანალოგიური სამკუთხა განივკვეთის მქონე პირები შემკულია ამოკაწვრით შესრულებული რომბული, ბადისებური ან ტალღური ორნამენტით. ეს პირები პროფილით და პირის შემკულობით ზუსტად იმეორებენ კოლხური ქვევრის პირებს, რის გამოც ეს უკანასკნელი ზოგჯერ მოზრდილი ლანგრების პირებადაა მიჩნეული. ყურმილიანი ხელადების მსგავსად ბრტყელბაკოიანი ჭურჭელი შკ I კერამიკის ერთ-ერთ წამყვან და სპეციფიურ ფორმადაა მიჩნეული[23].

მერხეულის სამაროვნის კერამიკული ნაწარმოებიდან აღსანიშნავია ყურის ფრაგმენტები. ერთი მათგანი (№ 10) ოვალურგანივკვეთიანია, ოვალური ნახვრეტით, მეორე (№ 19) კი — მრგვალგანივკვეთიანი, ასეთივე ნახვრეტით. მსგავსი პროფილის მქონე ყურები ჩვეულებრივია ზემოთ განხილული ძეგლების მასალებში, თუმცა იპოვება უფრო ადრეც და მათი მიხედვით ქრონოლოგიის განსაზღვრა ჭირს.

სამაროვანზე მოპოვებული დანარჩენი ფრაგმენტები მეტად უსახურია და ფრაგმენტული, რაც მათზე მსჯელობას აძნელებს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ გამოწვის მხრივ უმეტესობა ერთფეროვანია, ფერად მოშავო, მონაცრისფრო ან აგურისფერი. გვხვდება სარჩულიანი კერამიკაც. კერძოდ, № 3 ფრაგმენტი აგურისფერზედაპირიანია მოშავო სარჩულზე, № 10 ნატეხი კი — მოშავო აგურისფერ სარჩულზე. მსგავსი სარჩულიანი კერამიკა ფართოდ არ არის გავრცელებული კოლხეთის ტერიტორიაზე და მხოლოდ ერთეულების სახით თუ გვხვდება. ჩვენთვის ცნობილი მასალებიდან შეგვიძლია დავასახელოთ ქვალონის ნაოხვამუს ზედა ფენის მონაპოვარი, სადაც ბ. კუფტინის მიერ მოცემული სტრატიგრაფიული ჭრილის დასაზუსტებლად კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1972 წ. გაავლო სადაზვერვო თხრილი. სხვა მრავალრიცხო-

---

[19] ნ. ოქროპირიძე, მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

[20] Т. Микеладзе, М. Барамидзе, დასახ. ნაშრომი.

[21] ო. ღამბაშიძე, ბრილის ნამოსახლარი, ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი საქართველოში 1959 წ. წარმოებული კვლევაძიების შედეგებისადმი, მოხსენებათა ანოტაცია, თბ., 1960.

[22] თ. მიქელაძე, მ. ბარამიძე, ... დასახ. ნაშრომი.

[23] თ. მიქელაძე, ძიებანი.., გვ. 63—74.

ვან მონაპოვართან ერთად, რომელიც ძირითადად იმეორებდა ნოხვამუს ზედაფენის კერამიკას, ნაპოვნი იყო რამდენიმე ფრაგმენტი მოშავო ჭურჭლისა აგურისფერ სარჩულზე[24]. სამი ფრაგმენტი აგურისფერზედაპირიან ჭურჭლისა შავ სარჩულზე ნაპოვნია საელიაოს დიხა-გუძუბას მეორე ფენაში, რომელიც გვიანბრინჯაოს ხანით თარიღდება[25].

მერხეულის სამაროვნის კერამიკული ინვენტარი ძირითადად სადა ჭურჭლითაა წარმოდგენილი, თუმცა გვხვდება ნაკაწრი ხაზებისაგან წარმოქმნილი ტალღური, წიწვოვანი, ღარული ორნამენტი და მსუბუქი რელიეფური ზოლი. აშკარაა, რომ ჭურჭლის შემკობაში დეკორი პირველხარისხოვან როლს არ თამაშობს და ამდენად, მერხეულის მონაპოვარი უფრო ერთფეროვანია და ღარიბული.

მსგავსი სურათი შეინიშნება საკვლევი პერიოდის ყველა ძეგლზე („პალურის „საძვლე", ნიგვზიანი, წითელი შუქურა, გუადიხუ, ყულანურხვა და სხვ.)

თუ გავიხსენებთ წინარე პერიოდების კოლხური კერამიკის მდიდარ და მრავალფეროვან მასალებს, ეს განსხვავება თვალში საცემი იქნება. წინაანტიკური ხანისათვის ადრეული პერიოდის რთული, მრავალფეროვანი ორნამენტული სახეები ადგილს უთმობს შედარებით მარტივ და მდარე კერამიკას. რით უნდა აიხსნას ეს გარემოება — ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, მაგრამ, ჩვენის აზრით, აქ მხედველობაში მისაღებია ერთი ფაქტი: ეს მოგვიანო კერამიკა, თითქმის უკლებლივ, ჩარხზეა დამზადებული[26], რაც ნაკეთობათა სერიული წარმოების საფუძველს წარმოადგენს. სავარაუდოა, რომ თიხის ჭურჭლის სერიული წარმოების დროს ჭურჭლის დეკორს აღარ ექცეოდა ყურადღება. მეორეს მხრივ სერიული წარმოებისათვის დამახასიათებელია ნაწარმის ფართო ასორტიმენტი. ფორმათა მხრივ აქ ჯერ კიდევ ძირითადად ადრეული პერიოდის ტიპებია გავრცელებული, თუმცა ბევრია ახალიც, მაგალითად ქვევრები, ლანგრები, ყურმილიანი ხელადები, ნაირგვარი სასმისები, ჯამები,

---

[24] თ. მიქელაძე, მ. ბარამიძე, კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წ. მუშაობის ანგარიში (ხელნაწერი).

[25] იქვე.

[26] თუ როდის ჩნდება კოლხეთში ჩარხზე დამზადებული ჭურჭელი, ჯერჯერობით საკვლევია. ყოველ შემთხვევაში, წინარეანტიკურ ხანაში ჩარხზე დამზადებული ჭურჭელი უკვე არსებობს.

ჭიქები, სამარილეები და სხვ[27]. თიხის ნაწარმის ორნამენტული სახეებით შემკობის დეგრადირების სურათი კარგად ჩანს მომდევნო პერიოდის კერამიკაზეც. კერძოდ, ელინისტური და შემდგომი პერიოდის ადგილობრივი კერამიკა ორნამენტის მხრივ აშკარად ჩამოუვარდება კოლხური კერამიკის გვიანი პერიოდის მასალებსაც კი, თუმცა ფორმათა ტიპების სიმრავლე აშკარაა. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა დავასკვნათ, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრიდან დასავლეთ საქართველოში იწყება თიხის ჭურჭლის სერიული წარმოება. სანამ სერიული წარმოება არ არის მტკიცედ ფეხმოკიდებული (წინაანტიკური ხანა), ახალი ფორმების სიმრავლე არა გვაქვს. როდესაც სერიული ნაწარმი იმარჯვებს (ადრეანტიკური ხანისათვის), ფორმათა სიმრავლე მკვეთრად მატულობს და ორნამენტს ისეთი მნიშვნელობა აღარ ეძლევა, როგორც წინარე პერიოდებში.

ი ა რ ა ღ ი

მერხეულის სამაროვანზე აღმოჩენილი იარაღები წარმოდგენილია შემდეგი სახეებით: აკინაკი, ცული, დანისპირი, ისრისპირი. ყველა მათგანი რკინისგანაა დამზადებული და ატარებს ცეცხლში მეორადი ყოფნის ნიშნებს. ისინი ძალზე დეფორმირებულია და ფორმის ზუსტი აღდგენა ჭირს.

ს ა ტ ე ვ ა რ ი მერხეულის სამარხეულ ინვენტარში ერთი ეგზემპლიარით არის წარმოდგენილი (№ 8 ტაბ. IV). არის აგრეთვე ერთი ზუსტად მსგავსი იარაღის სატარეც (№ 41). მათ ახასიათებთ ზემოდან შებრტყელებული ოთხკუთხა ძელაკისებური თავი, სწორი სატარე, მკვეთრად გამოყოფილი, მომრგვალებული, შესაძლოა, თირკმლისებური ვადა. პირი სქელია და მასიური, წვერი მოტეხილი, პირის ფხა არ ჩანს ნალესი, რის გამოც სავარაუდოა აღნიშნული იარაღის მხოლოდ საძგერებელ ნივთად გამოყენება[28]. აღნიშ-

---

[27] ახალი ფორმების შემოსვლასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს უნდა ყოფილიყო დაკავშირებული მეურნეობის ახალი დარგის, კულტურული მევენახეობის განვითარებასთან. იხ. თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, ძიებანი... გვ. 62. მეურნეობის დარგთან ახალ ფორმათა დაკავშირება, ჩვენი აზრით, საკითხის ერთი მხარეა. ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს ორნამენტის დეგრადირების და სერიული წარმოების სურათი, ე. ი. საკითხის მეორე მხარე.

[28] აკინაკი ძალზე დაჟანგულია და დეფორმირებული. მისი ვადა მკვეთრად არ არის გამოსახული და მხოლოდ ვარაუდით მივაკუთვნებთ თირკმელისებურვადიან აკინაკთა ჯგუფს.

ნული იარაღი უნდა მიეკუთვნოს ე. წ. სკვითური ტიპის აკინაკების ადრეულ ჯგუფს, რომელთათვისაც დამახასიათებელია მასიური, ძელაკისებური თავი და პეპლისებური ვადა. მსგავსი იარაღი ცნობილია როგორც ამიერკავკასიის, ისე ჩრდილო კავკასიის მრავალ სამაროვანზე. ზუსტად ანალოგიური იარაღი აღმოჩენილია გ. გობეჯიშვილის მიერ ბრილის სამაროვნის კრემაციულ მოედანზე და ინდივიდუალურ სამარხებში, სადაც ისინი ძვ. წ. VI საუკუნიდან გვხვდებიან[29]. აღსანიშნავია, რომ ბრილში გვხვდება, როგორც ზუსტად ამ ტიპის იარაღი, ისე უფრო განვითარებული ანტენისებურთავიანი ნაკეთობებიც. საკმაოდ არის ამ ტიპის იარაღები საკუთრივ აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია გუადიხუს ნეკროპოლის № 8 სამარხი, რომელშიც, ზუსტად ანალოგიურ იარაღთან ერთად, ნაპოვნია რკინის ყუაკვერიანი ცული, ბრინჯაოს ფანტასტიკური ცხოველის (ჯიხვის?) გამოსახულებიანი ბალთა, ზოომორფულთავებიანი სამაჯური, ბრტყელფირფიტიანი რგოლი, რკინის 2 შუბისპირი, მოხრილი დანა და გიშრის და ცისფერი მინის თვალკოკობა მძივები და სხვ[30]. სამაროვანი მ. ტრაპშის მიერ ზოგადად ძვ. წ. VIII—VII სს. დათარიღებული[31]. მაგრამ კომპლექსი, როგორც ჩანს, უნდა განეკუთვნებოდეს ამ პერიოდის უფრო მოგვიანო ეტაპს. თარიღის გასარკვევად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცისფერი მინის თვალკოკობა მძივებს, რომლებიც ჩვეულებრივ ადრეანტიკური ხანის კომპლექსებისათვისაა დამახასიათებელი და ძვ. წ. VI ს. უადრეს მასალებში არა გვხვდება. ამდენად, გუადიხუს № 8 სამარხი ძვ. წ. VI ს. უადრესი არ უნდა იყოს. ამ თარიღს მხარს უჭერს კომპლექსში შემავალი სხვა ნივთებიც (ცული, ზოომორფულთავიანი სამაჯური).

ანალოგიური სატევარი ნაპოვნი იყო გაგრის რაიონის სოფ. კოლხიდაში. მასთან ერთად აღმოჩნდა რკინის შუბისპირების ფრაგმენტები და კერამიკა. სატევარი ჩადებული იყო მდიდრულად ორნამენტირებულ ბრინჯაოს ქარქაშში. სამარხი ძვ. წ. VI ს. პირველი ნახევრით თარიღდებოდა[32].

---

[29] გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, ტაბ. XIV, გვ. 26—27.

[30] М. Т р а п ш, Труды II, გვ. 26—27.

[31] ი ქ ვ ე, გვ. 77—78.

[32] М. М. Т р а п ш, Новая археологическая находка в Абхазии, КСИИМК-53, 1954, გვ. 139. Ю. В о р о н о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

მსგავსი აკინაკი ნაპოვნია სოფ. ჩობანლუკშიც[33], მაგრამ, სამწუხაროდ, უცნობია აღმოჩენის ვითარება და სამარხეული კომპლექსი.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ სხვა სატევრებიდან ყურადღებას იქცევს სამთავროს სამაროვანზე ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევრის და VI ს. ორმოსამარხებში აღმოჩენილი ნივთები[34], დვანის ნეკროპოლის № 2 სამარხეული კომპლექსი[35], თლის სამაროვანი, სადაც ისინი ე. წ. სკვითური ისრისპირების შემცველ სამარხებში გვხვდებიან.

ამ ტიპის იარაღები დიდი რაოდენობით არის ცნობილი ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე (კრასნოდარის, პსადოხას, პიატიგორსკის, ნესტეროვის, მინერალური წყლების, ლუგოვოეს და სხვა სამაროვნებზე), სადაც ისინი ძირითადად ძვ. წ. VI ს. კომპლექსებში გვხვდებიან[36].

საკმაო რაოდენობითაა ანალოგიური იარაღი ცნობილი უკრაინის[37] (სმელის, სტაროსელიეს, ჟურავკის და ვოლსკის სამაროვნები) მოლდავეთის და სამხრეთ რუსეთის სტეპების[38] მასალებში.

საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი ზემოაღნიშნული აკინაკები ყველაზე დიდ მსგავსებას მაინც სკვითური არქაიკის იმ იარაღებთან ავლენენ, რომლებიც უფრო ადრეულ ნაკეთობებად არის მიჩნეული. ამგვარია კელერმესის[39] და მელგუნოვის[40] ყორ-

---

[33] Ю Воронов, დასახ. ნაშრომი, გვ. 48, ტაბ. XXXIX-2.

[34] А. Н. Каландадзе, Разыскания о археологии Грузии, Тб., 1969, გვ. 67. რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი... სსმ XIX—XXI, გვ. 131.

[35] ს. მაკალათია, დვანის ნეკროპოლი, თბ. 1948, გვ. 28, ტაბ. II—I.

[36] Н. В. Анфимов, К вопросу о населении Прикубанья в скифскую эпоху, СА II, 1949, 258, ОАК—1898 г. Д. Я. Самоквасов, Могилы русской земли, М. 1908, გვ. 125. Е. И. Крупнов, Древняя история Северного Кавказа, М. 1960, გვ. 205, 208, 21, 47.

[37] А. А. Бобринский, Курганы и случайные археологические находки близ мест. Смелы, т. I, СТБ. 1887, таб. VI, 12—6.

[38] Е. И. Крупнов, Древняя история... გვ. 177, А. И. Мелюкова, Вооружение скифов САИ. М., 1964, А. И. Мелюкова, Памятники скифского времени лесостепного среднего поднестровья, МИА·64, М. 1948.

[39] ОАК—за 1904 г.

[40] Е. Придик, Мелгуновский клад, Мар, вып. 31, СПБ, 1911, გვ. 4, рис. 1—2.

ღანების აკინაკები, ყორღან „სტარშაია მოგილას“ მოკლე მახვილი[41], ამუ-დარიის განძის ოქროს ფირფიტაზე გამოსახული მახვილი და პერსეპოლის რელიეფების მახვილები. აღნიშნული უადრესი აკინაკები მკვლევართა მიერ ძვ. წ. VI ს. ან ძვ. წ. VI ს. ბოლო და V ს. პირველი ნახევრითაა დათარიღებული[42].

სპეციალურად გვინდა შევჩერდეთ სკვითური სატევრების აღმოჩენის კიდევ ორ შემთხვევაზე. 1974 წ. კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სოფ. ნიგვზიანში ძალზე საინტერესო სამაროვნის შესწავლა დაიწყო. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აქ საქმე გვაქვს კოლექტიურ სამარხ ორმოებთან, სადაც ცალკეული კომპლექსების გამოყოფა არ ხერხდება. მაგრამ ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს სკვითური აკინაკის აღმოჩენის ფაქტი ამ სამაროვანზეც. იგი აღმოჩნდა № 12 სამარხ ორმოში რკინის იარაღის საინტერესო გარემოცვაში. აქვე იყო რკინის 40-მდე თოხი, ორი ცული, მასიური მოხრილი დანები, სატევრები, 2 მახვილი, ბრინჯაოს წყვილი საკისრე რკალი, ვერცხლის და ბრინჯაოს საყურე რგოლები, ბრინჯაოს სამფრთიანი, მასრაზე დეზით ისრისპირი, სალესი ქვები და სხვ. მასალა იმდაგვარია, რომ მთელი კომპლექსის ძვ. წ. VI ს. დათარიღება ეჭვს არ იწვევს[43].

სკვითური აკინაკების შემცველი საინტერესო კომპლექსები გამოვლენილია პალურის „საძვლეს“ სამაროვანზე. განსაკუთრებით საინტერესო ჩანს სამარხი № 46 (ტაბ. VI, II—14). მასში აღმოჩნდა რკინის აკინაკი ნაპირებაკეცილი, წელში გამოყვანილი სატარით, ზემოდან დაბრტყელებული ძელაკისებური თავით, პეპლისებური ვადით, სამკუთხა ფორმის პირით. აქვეა რკინის მოგრძო და ვიწრო სატევარი ოთხკუთხა თავით, რკინის კირკალი, მშვილდსაკინძი, ვერცხლის თავგახსნილი და თავთან გახვრეტილი საყურე, კვარცის ბირთვისებური ფორმის მძივები. კომპლექსის დათარიღებისათვის, აკინაკის გარდა, განსაკუთრებით აღსანიშნავია რკინის კირკალი და მშვილდსაკინძი, რომელიც ძვ. წ. VI ს. კომპლექსებისთვისაა დამახასიათებელი, ამ თარიღს რამდენადმე მხარს უჭერს ვერცხლის საყურეც, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს

---

[41] В. А. Илинская, Курган «Старшая могила» — памятник архаической скифии, «Археология», V, 1957, გვ. 199, таб. 1.

[42] К. Ф. Смирнов, Вооружение савроматов, МИА-101, М. 1961, გვ. 18—19. Илинская, Скифы днепровского лесостепного левобережья, Киев, 1968, გვ. 88—89.

[43] Т. Микеладзе, М. Барамидзе, დასახ. ნაშრომი.

(კერძოდ სამთავროს) მასალების მიხედვით ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევრის და VI ს. სამარხებში გვხვდება.

მსგავსი აკინაკი ნაპოვნი იყო № 48 სამარხშიც. განსხვავება ზემოთ ნახსენებ იარაღთან ისაა, რომ ეს აკინაკი სწორი, ოთხკუთხა სატარით ხასიათდება, უფრო ფართოა და წვერისაკენ თანდათან შევიწროებული. კომპლექსში მის გარდა შედის რკინის და ბრინჯაოს ორი კირკალი, ბრინჯაოს — წვრილმავთულიანი სამაჯური. (ტაბ. VI, 5—9). სამარხი ქრონოლოგიურად ზემოთ ნახსენები კომპლექსების სინქრონული უნდა იყოს, რაზეც, აკინაკის გარდა, რკინის საკისრე რკალების არსებობაც მიუთითებს.

მესამე აკინაკი ნაპოვნია № 64 სამარხში. ფორმით იგი უფრო მეორე იარაღს ემსგავსება, თუმცა თავი დაჟანგვის გამო სფერული მოყვანილობისაა. ზომით იგი ყველა ზემონახსენებ იარაღზე მოზრდილია და შესაძლოა მახვილსაც კი წარმოადგენდეს. პირზე ემჩნევა რკინის ქარქაშის კვალი. აქვე აღმოჩნდა ვიწრო და მოგრძო მახვილი სწორკუთხა, თავთან ოდნავ გაფართოებული, ნაპირებაკეცილი სატარით. სატარე ძვლის ფირფიტით არის დაფარული. სხვა მასალებიდან აღსანიშნავია ვერცხლის საყურე და მძივები (ტაბ. VI, 1—4).

ამგვარად, პალურის „საძვლეს“ ინდივიდუალურ სამარხებში აღმოჩენილი 3 აკინაკი, როგორც ჩანს, ზოგადად ძვ. წ. VI ს. უნდა დათარიღდეს, უფრო ზუსტად კი ძვ. წ. VI ს. შუა ხანებით და მეორე ნახევრით. ამაზე მიგვითითებს ის ფაქტი, რომ არც ერთი კომპლექსი ბრინჯაოს იარაღს არ შეიცავს და ამასთანავე სამივე სამარხი ნაპოვნია ინდივიდუალურ სამარხთა სპეციალურ დასავლეთ მოედანზე, რომელიც მასალის მიხედვით რამდენადმე მოგვიანო აღმოსავლეთის მოედანზე გათხრილ სამარხებთან შედარებით.

ამგვარად, როგორც ზემოთ დავინახეთ, საქართველოს ტერიტორიაზე სკვითური ტიპის აკინაკი მრავლად არის გამოვლენილი და ძირითადად წარმოდგენილია მათი უადრესი ფორმებით. ესაა ძელაკისებურთავიანი და პეპლისებურთავიანი (იშვიათად თირკმლისებურვადიანი) სატევრები. საყოველთაოდ მიღებულია მოსაზრება, რომ ამ ტიპის იარაღი სკვითურ კულტურაში გავრცელებულია წინა აზიიდან ამიერკავკასიის გზით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სკვითურ კულტურაში დამოწმებული აკინაკები ფორმათა ნაირგვარობით ხასიათდება, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოს მასალების მიხედვით. აქ ძირითადად ერთი ტიპის ნაკეთობასთან გვაქვს საქმე, რომელსაც შემდგომი განვითარება არ განუცდია და

შემოინახა თავი თავის პირველად ვარიანტში. მათი არსებობაც საქართველოს ტერიტორიაზე დროის ხანმოკლე პერიოდს განეკუთვნება (ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევარი — VI ს.)[44]. ის გარემოება, რომ მათ არ განუცდიათ შემდგომი განვითარება და არც ეძებნებათ პროტოტიპები საქართველოს არქეოლოგიურ მასალებში, იმ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს, რომ იარაღის ეს ფორმა წინააზიდანაა გავრცელებული საქართველოს გზით საკუთრივ სკვითურ კულტურაში.

ცული მერხეულის სამაროვანზე მხოლოდ სამი ეგზემპლიარით არის წარმოდგენილი (№ 26, 35, 43 ტაბ. IV). ისინი ძირითადად ერთ ტიპს, ყუაკვერიან ცულების ჯგუფს განეკუთვნებიან. მათ ახასიათებთ ოთხწახნაგოვანგანივკვეთიანი, ზემოდან დაბრტყელებული ყუა, ოვალური სატარე, სწორი ტანი, სეგმენტური, ოდნავ მორკალური პირი. საერთო იერით ისინი იმეორებენ ბრინჯაოს კოლხური ცულების ტიპს (უვაროვას მიხედვით)[45], I ტიპს (ო. ჯაფარიძის მიხედვით)[46] და II სახეობას (დ. ქორიძის მიხედვით)[47]. მათგან განსაკუთრებით საყურადღებო ჩანს ყულანურხვას სამაროვანზე გათხრილი № 5 სამარხი. მასში ორ ყუაკვერიან ცულთან ერთად აღმოჩენილია რკინის მოგრძო აკინაკისებური სატევარი, ცალპირა-ლესილი, ოდნავ მოხრილი ორი დანისპირი, მშვილდსაკინძის ფრაგმენტი, ბრინჯაოს 14 ორ-და სამფრთიანი სკვითური ისრისპირები, რკინის 5 ისრისპირი, მათ შორის ერთი მასრაზე დეზით, გაურკვეველი ცხოველის გამოსახულებიანი ორნამენტირებული ვერცხლის ფრაგმენტი და კერამიკული ნატეხები შემკული პატარა ფოსოებით, ტეხილხაზოვანი და წიწვისებური სახეებით[48]. სამარხი მ. ტრაპშის მიერ ზოგადად ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევრით და VI ს. დათარიღებულ სამარხთა ჯგუფშია გაერთიანებული[49]. ჩვენი აზ-

---

[44] მსგავსი სატევრების დათარიღების შესახებ ზემომოყვანილ მკვლევართა ნაშრომების გარდა იხ.

К. Ф. Смирнов Вооружение Сазроматов, МИА—101, М. 1961, გვ. 18.

М. С. Пирцхалава, Памятники скифской арханки (VII—VI в.в. до н. э). На территории древней Грузии, автореферат диссертации, Тб., 1975.

[45] МАК—XIII, გვ. 15—16.

[46] ო. ჯაფარიძე, კოლხური ცული, სსმმ XVIII, გვ. 114.

[47] დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965, გვ. 64—65.

[48] М. Трапш, Труды, I, გვ. 109—110, ტაბ. V, სურ. 9.

[49] იქვე, გვ. 164.

რით, სამარხეული კომპლექსი მაინც რამდენადმე მოგვიანო იერს ატარებს მასში აღმოჩენილი რკინის მშვილსაკინძის და რკინის ისრისპირების მიხედვით და ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევარში მისი გადატანა, ალბათ, გაჭარდება. როგორც ჩანს, ამასვე გრძნობდა თვით გამთხრელიც და სხვა ნაშრომში აღნიშნული სამარხის თარიღად ძვ. წ. VII—VI სს. მიჯნას ასახელებს[50].

7 ცალი ყუაკვერიანი ცული ნაპოვნია გუადიხუს სამაროვანზე, თუმცა, მერხეულის ნიმუშებისაგან განსხვავებით, მათ უფრო დაბალი ყუა აქვთ. ასევე რამდენადმე განსხვავებული 2 ცული ნაპოვნია წითელი შუქურას სამაროვანზე (სამარხები № 4 და 38)[51]. ისინი თითქმის ზუსტად იმეორებენ გუადიხუს ცულების ფორმას. მერხეულის ცულებთან ყველაზე ახლოს დგას № 11 სამარხში აღმოჩენილი იარაღი[52], მაგრამ მას მათგან განსხვავებით ყუაზე 3 სიგრძივი ზოლი დაუყვება და რელიეფურ ქედებს ქმნის. აღნიშნულ სამარხეულ კომპლექსში შედის რკინის 4 მასრაგახსნილი შუბისპირი, ცალპირლესილი, მსუბუქად მოხრილი დანა და სერდოლიკის მრგვალი ფორმის 19 მძივი, მათ შორის ერთი კარგადგაშლიფულზედაპირიანი ნოსირის, ფარცხანაყანევის და ყაზბეგის განძის ადრეანტიკური ხანის მძივების[53] ანალოგიური.

მსგავსი 2 ცული ნაპოვნია სოხუმის მთის ძვ. წ. VII—VI სს. სამარხში[54]. რამდენიმე ათეული რკინის ცული აღმოჩენილია ბრილის სამაროვნის კრემაციულ და ინდივიდუალურ სამარხებში[55]. აღმოსავლეთ საქართველოში რკინის ცულები რამდენიმე პუნქტშია დადასტურებული. მაგ. დვანის ნეკროპოლზე № 11 სამარხში რკინის ცულთან ერთად გვხვდება ადრესკვითური ხანის ბრინჯაოს ისრისპირები, რომლებიც კარგად ათარიღებენ კომპლექსს ძვ. წ. VII—VI სს.[56] რამდენიმე ცული აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევრისა და VI ს. ორმოსამარ-

---

[50] М. Трапш, Труды, II, გვ. 58.

[51] იქვე, გვ. 183—184, ტაბ. XIX—10,11.

[52] იქვე, ტაბ. XIX—9.

[53] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, გვ. 50, ტაბ. 14.

[54] ალ. კალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 80, 95, ტაბ. IX, XI.

[55] გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, გვ. 99.

[56] ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

ხებში[57]. გვხვდება ისინი ბეშთაშენის სამაროვანზეც[58] და სხვ. ამ კომპლექსებთან შედარებით შესაძლოა რამდენადმე არქაული იყოს თლის სამაროვანზე № 16 სამარხში აღმოჩენილი ცული. სამარხში ორი მიცვალებული იყო დაკრძალული კიდურებმოხრილ პოზაში მარჯვენა გვერდზე. პირველ მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა ბრინჯაოს ორი ცული, სატევარი, სიტულა, მეორეს კი ჩვენთვის საინტერესო ცული, რკინის სატევარი, ბრინჯაოს თხელფირფიტოვანი სარტყელი, ე. წ. ყობანური სწორკუთხა ბალთა, ფიბულა და სხვ[59]. აღნიშნულ კომპლექსს ხაზს ვუსვამთ იმდენად, რამდენადაც მასში შემავალი ნივთების ერთი რიგი — ბრინჯაოს ცულები, სატევარი, სიტულა, თითქოს რამდენადმე არქაულია. საყურადღებოა, რომ ასევე სიტულებთან ერთად არის ნაპოვნი აღნიშნული ტიპის ცულები ბრილის სამაროვანზეც. ეს გარემოება თითქოს იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ ბრილის და თლის ცულები შესაძლოა რამდენამდე ადრეული იყოს, ვიდრე სოხუმის, გუადიხუს, წითელი შუქურას და სხვა ეგზემპლიარები. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ჩრდილო კავკასიაში ამ ტიპის ცულები საკმაო რაოდენობითაა აღმოჩენილი (ნესტეროვი, ბსადოხა, კაშკატაუ, დერგავსი, ჩმი, კორცა[60]). გვხვდება ისინი უკრაინაში აქსიუტინსკის, ვოლკოვეცის, შუმეიკას, ტრიპოლიეს, პოსულიეს და სხვა ყორღანებში[61], მაგრამ ყველა მათგანი, ისევე როგორც ჩრდილოკავკასიური ნიმუშები, ძვ. წ. VI ს. პირველ ნახევარზე არქაული არ ჩანს.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელ ხანებში მსგავსი ცულები აღმოჩნდა კიდევ ორ პუნქტში. ზემოთ ნახსენებ ნიგვზიანის სამაროვნის № 12 კოლექტიურ სამარხ ორმოში ორი ცულია ნაპოვნი. აქედან ერთი მათგანი ზუსტად იმეორებს მერხეულის იარაღს. მასაც მაღალი, ოთხწახნაგაგანივკვეთიანი, ზე-

---

[57] А. Н. Каландадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

რ. აბრამიშვილი, სამოაეროს სამაროვანზე აღმოჩენილი..., გვ. 125.

[58] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 267, 305.

[59] В. В. Техов, Могильник эпохи поздней бронзы в с. Тли. СА I, 1960, გვ. 170—171, рис. 6.

[60] Е. И. Крупнов, დასახ. ნაშრომი, გვ. 277—278, სურ. 45.

[61] Д. Я. Самоквасов, Могилы русской земли, М. 1908, გვ. 96. Б. Н. и В. И. Ханенко, Древности Приднепровья, вып. II, Киев, 1889, გვ. 7—8. В. А. Ильинская, Курган «старшая могила», გვ. 196—212, მისივე, Скифы днепровского..., გვ. 92—93.

მოდან დაბრტყელებული ყუა, ვიწრო, სწორი ტანი და მსუბუქად მორკალული სეგმენტური პირი ახასიათებს. მეორეს კი უფრო დაბალი ყუა აქვს და მასიურია (ტაბ. VIII—I). მთელი კომპლექსი, როგორც აღვნიშნეთ, ძვ. წ. VI ს. ფარგლებში ექცევა.

იმავე სამაროვანზე კიდევ ორი ყუაკვერიანი ცული იქნა ნაპოვნი და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ორივე შემთხვევაში შესაძლებელი გახდა კომპლექსების გამოყოფა. პირველ კომპლექსში ყუაკვერიან ცულთან ერთად აღმოჩნდა რკინის მახვილი მოგრძო სამკუთხა პირით და ოვალური ფორმის ნაპირებაკეცილი სატარით, ფოთლისებური ფორმის სატევარი, პირთან მორკალული ცალპირალესილი 2 დანისპირი, მშვილდსაკინძის და სამაჯურის ფრაგმენტები. რკინის ამ ნაკეთობასთან ერთად აღმოჩენილია ბრინჯაოს სეგმენტი. უშუალოდ რკინის ცულის ქვეშ კი იდო ბრინჯაოს პატარა ფოთლისებური სატევარი ბრტყელი, უქუდო პირით, მომრგვალებული სატარით, წყვილი სამანჭვლით (— 11,5 სმ.). სამწუხაროდ, მისი აღება ვერ მოხერხდა და მთლიანად დაიშალა, მაგრამ იგი ფიქსირებული იქნა ადგილზე. აღმოჩენის ვითარება იმდაგვარია, რომ თითქოს საფუძველი გვეძლევა, მთელი ეს ნაკეთობანი ერთ კომპლექსად მივიჩნიოთ.

კომპლექსის დათარიღებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, მასში რკინის ცულის გარდა, რკინის მშვილდსაკინძების პირმორკალული დანისპირისა და მახვილის არსებობას. ერთგვარად არქაულად გამოიყურება ბრინჯაოს ფოთლისებური სატევარი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ მოსაზრებას, რომ დასავლეთ საქართველოში ბრინჯაოს ნაკეთობანი გვიანამდის ინახავს თავს[62], ეს გარემოება უჩვეულოდ აღარ მოგვეჩვენება. პალურის „საძვლეს" მონაცემებზე დაყრდნობით გამოტანილი ეს მოსაზრება სრულიად დაადასტურა ნიგვზიანის სამაროვანმაც, სადაც, ზემოაღნიშნული კომპლექსის გარდა, რამდენიმე შემთხვევა გვაქვს არქაული იარაღის აღმოჩენისა მოგვიანო მასალებთან ერთად[63].

ნიგვზიანის მეორე კომპლექსი უფრო მცირერიცხოვანია. მასში აღმოჩენილი რკინის ცული ძალზე წააგავს მერხეულის ეგზემპლარებს და ახასიათებს მაღალი წახნაგოვანი, ზემოდან დაბრტყელებული ყუა. მასთან ერთად აღმოჩნდა რკინის გაურკვეველი ნივთი მასში ჩაჟანგული ვიწრო, ოდნავ მოხრილი დანისპირით,

---

[62] ნ. ოქროპირიძე, მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.
[63] Т. Микеладзе, М. Барамидзе, დასახ. ნაშრომი.

ბრინჯაოს ნაკლული სეგმენტი, ვერცხლის თავგახსნილი და ერთმანეთზე გადასული რგოლი და სარდიონის მრგვალი ფორმის მძივი; კომპლექსში ერთგვარად არქაულად გამოიყურება ბრინჯაოს სეგმენტი, რომელიც კოლხური გვიანბრინჯაოს კულტურის ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტად არის აღიარებული, მაგრამ უკანასკნელი აღმოჩენის მიხედვით (მხედველობაში გვაქვს პალურის „საძვლეს" ინდივიდუალური სამარხები) მათი გავრცელების ზედა საზღვარი ძვ. წ. VI ს. მაინც ჩამოდის[64]. აღნიშნულის გამო მოულოდნელი არ არის მისი აღმოჩენა ზემოთ ნახსენებ კომპლექსში.

რკინის ყუაკვერიანი ცული ნაპოვნია პალურის № 44 სამარხში, რომელშიც ორი მიცვალებული იყო დაკრძალული. თვითეულის ინვენტარის გამოყოფა ცალ-ცალკე არ მოხერხდა. სამარხში აღმოჩნდა: რკინის ყუაკვერიანი ცული, მასრაგახსნილი შუბისპირი, ყუნწიანი დანისპირი, ბრინჯაოს სამი კოლხური ცული, ორ სატევარი; აქედან ერთი ყუნწიანი, მეორე კი ბრტყელი, წელში გამოყვანილი სატარით, სეგმენტი, სამაჯური, სწორკუთხა ბალთა, შშვილდსაკინძი და სხვ. სამარხეული კომპლექსი, როგორც ვხედავთ, უფრო არქაული იერისაა, ვიდრე ზემოთ განხილული კომპლექსები და ერთ-ერთ უადრეს სამარხეულ ინვენტარს უნდა წარმოადგენდეს. ბრინჯაოს იარაღების სიმრავლის გამო ჩვენ შესაძლოდ მიგვაჩნია პალურის № 44 სამარხი ძვ. წ. VII ს. მაინც დათარიღდეს[65].

ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ რკინის ყუაკვერიანი ცულების ჩვენს ხელთ არსებული თითქმის მთელი მასალა და შესაძლოა დავასკვნათ: ჩრდილო კავკასიისა და საკუთრივ სკვითური კულტურის გავრცელების რაიონში მათი არსებობა ძვ. წ. VI—V სს. იფარგლება, მაშინ, როდესაც ამიერკავკასიის, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს, ტერიტორიაზე გვაქვს მათი უადრესი ეგზემპლიარები. მხედველობაში გვაქვს ბრილის, თლის და პალურის სამარხეული კომპლექსები, რომელთა დათარიღება ძვ. წ. VII ს. თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ამასთანავე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რკინის ცულები ტიპოლოგიურად და ფორმის ცალკე-

---

[64] ნ. ოქროპირიძე, მ. ბარამიძე. პალურის „საძვლე" (ხელნაწერი).

[65] ზემოაღნიშნული სამარხის დათარიღებისა და მასში შემავალი ნივთების ნაწილის (კოლხური ცულები, შუბისპირები, სატევრები) გავრცელების ზედა ქრონოლოგიური ზღვარის შესახებ დაწვრილებით იხ. ნ. ოქროპირიძე, მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრომი.

ული ელემენტების მიხედვით კარგად უკავშირდება კოლხურ ცულებს, რაც საკმაოდ მყარ საბუთს წარმოადგენს მათი ადგილობრივი წარმოქმნის სასარგებლოდ და ეჭვს ქვეშ აყენებს საკითხს მათი საერთო კავკასიური წარმომავლობის შესახებ[66]. როგორც ჩანს, ჩრდილო კავკასიასა და სსრკ ევროპული ნაწილის სტეპების კულტურაში ამგვარი იარაღი ჩნდება რამდენადმე გვიან, ვიდრე ამიერკავკასიაში[67] და ამ უკანასკნელიდან ვრცელდება იგი ჩრდილოეთით. სწორედ ამ იარაღის უადრესი ეგზემპლარის არსებობა და მრავალრიცხოვანი ნივთიერი ნაშთები ბრილის სამაროვნიდან აძლევდა საშუალებას გ. გობეჯიშვილს აღნიშნული იარაღის სამშობლოდ დასავლეთ საქართველოს მთიანი ზოლი მიეჩნია და გამოეთქვა ეჭვი სკვითურ ეთნოსთან ამ იარაღის დაკავშირების შესახებ[68].

ყუაკვერიანი ცულების გავრცელების ქრონოლოგიური განსხვავება ამიერკავკასიის, ერთი მხრივ, და ჩრდილოკავკასიის და ჩრდილო შავიზღვისპირეთის, მეორე მხრივ, ძეგლებს შორის, თითქოს იმ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს, რომ სკვითებმა წინა აზიიდან უკან შავიზღვისპირეთისაკენ მგზავრობის დროს აითვისეს და მიიღეს აღნიშნული იარაღი. ქრონოლოგიურად ამ ცულების გაჩენა საკუთრივ სკვითების ტერიტორიაზე სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა.

დ ა ნ ი ს პ ი რ ი. დანისპირი მერხეულის სამაროვანზე რამდენიმე ფრაგმენტითაა წარმოდგენილი, მაგრამ ჩანს, რომ ისინი ცალპირლესილია და პატარა ზომების მოხრილი დანების ჯგუფს განეკუთვნებიან (ტაბ. IV—89, 26 ბ).

მოხრილი დანები ფართოდაა გავრცელებული რკინის ფართო ათვისების ხანიდან ძალზე დიდ ტერიტორიაზე. სამთავროს სამაროვნის მასალების მიხედვით მათი გამოჩენა ხდება ძვ. წ. VIII ს. და VII ს. პირველ ნახევარში, ფართო გავრცელებას კი აღწევს ძვ. წ-

---

[66] Е. И. К р у п н о в, დასახ ნაშრომი, გვ. 279.

[67] М. М. Т р а п ш, Труды II, გვ. 60.

[68] ორმოცდაათიან წლებში გ. გობეჯიშვილი ყუაკვერიან ცულებს საერთო ამიერკავკასიურ ნაკეთობად მიიჩნევდა. იხ. გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, ძველი სამთამადნო და მეტალურგიული წარმოების ძეგლები ღების მიდამოებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ტ. XIII, № 3, თბ., გვ. 2, 188. უკანასკნელ ხანებში მან რამდენადმე დააზუსტა ეს მოსაზრება, რომელიც წამოაყენა ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის განყოფილების სხდომაზე 1970 წ. ჩვენი ნაშრომი „მერხეულის სამაროვანის“ განხილვის დროს. იხ. აგრეთვე მისი „ბრილის სამაროვანი“ (ხელნაწერი).

VII—VI სს.[69]. მსგავსი დანისპირები ცნობილია გუადიხუს და ყულანურხვას სამაროვნებზე[70], ბრილში[71], ბეშთაშენში[72], დვანში[73], ხრტანოცში[74], მალაქლიუში[75] და სხვ. გვხვდება ისინი ჩრდილოეთ კავკასიაში ნესტეროვის[76] და ისტი-სუს სამაროვნებზე[77], გელენჯიკის დოლმენებში[78] და სხვ. განსაკუთრებით აღვნიშნავთ ამ უკანასკნელ ხანებში პალურის „საძვლეს" სამარხეულ კომპლექსებში აღმოჩენილ ანალოგიურ ნივთებს[79], სადაც თითქმის ყოველ სამარხში გვხვდება მოხრილი დანისპირი (ტაბ. VI—VII). ეს სამარხები ძირითადად ძვ. წ. VII—VI სს. ფარგლებში ექცევა[80].

მოხრილი დანების მთელი სერია არის აღმოჩენილი ნიგვზიანის სამაროვანზეც (ტაბ. VIII—2, 3, 5). აქ წარმოდგენილ იარაღებში ძირითადად ორი ტიპის მოხრილი დანები გამოიყოფა, შედარებით პატარა ზომის (დაახლოებით 15 სმ სიგრძის) და მასიური (42 სმ-მდე). ეს უკანასკნელები, ჩვენის აზრით, ფუნქციონალურად უფრო მახვილისებრ იარაღთა ჯგუფს უნდა ეკუთვნოდნენ[81] და არა სამეურნეო ნაკეთობას, როგორც ეს მიღებულია საერთოდ მოხრილი დანებისათვის. რაც შეეხება პატარა ზომის დანებს, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება სხვადასხვა რაიონში

[69] რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი..., გვ. 126.

[70] М. М. Т р а п ш, Труды, II, გვ. 55, მისივე, I, გვ. 128—129.

[71] გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, 99—100.

[72] Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 267, ტაბ. XVI, მ. მ ე ნ ა ბ დ ე, ც. დ ა ვ ღ ი ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 102, ტაბ. XI—XV.

[73] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 26—28, სურ. 4, 5, 6.

[74] А. А. М а р т и р о с я н, Раскопки в Головино, Эреван, 1954, გვ. 21, ტაბ. III.

[75] Б. А. К у ф т и н, Урартский «колумбарий» у подошвы Арарата... სსმმ—XII—თბ., 1944, გვ. 54, ტაბ. VIII—6—8.

[76] Е. И. К р у п н о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 286, სურ. 46, 6.

[77] О. А. А р т а м о н о в а - П о л т а в ц е в а, Культура северо-восточного Кавказа в скифский период, СА, XIX, გვ. 47, სურ. 19—4—7.

[78] И. И. А х а н о в, Геленджикские подкурганные долмены, СА, № 1, 1961.

[79] А. А. Б о б р и н с к и й, დასახ. ნაშრომი, გვ. 76—77. О. Н. М е л ь н и к о в с к а я, Могильник у с. Долинское, Черниговской области, КСИ ИМК, вып. XXXIV, М. 1950, გვ. 71.

[80] ნ. ო ქ რ ო პ ი რ ი ძ ე, მ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს დასახ. ნაშრომი.

[81] მსგავსი სურათი შეინიშნება ბრილის სამაროვანზეც, სადაც ანალოგიური მასიური მოზრდილი დანები საბრძოლო იარაღადაა მიჩნეული. იხ. საქართველოს არქეოლოგია, გვ. 193.

მათი განსხვავებული სამეურნეო ფუნქციონალური დანიშნულების შესახებ. ამ მოსაზრების მიხედვით მევენახეობის რაიონებში მათი გამოყენება სასხლავ, სავაზე დანად არის საგულვებელი, და ბრინჯაოს „სასხლავი ნამგლების“ შემდგომ განვითარებულ ფორმადაა მიჩნეული. მთიან რაიონებში კი ისინი მეცხოველეობასთანაა დაკავშირებული[82]. ჩვენ სავსებით მისაღებად მიგვაჩნია მათი ამგვარი ფუნქციონალური დანაწევრება.

ი ს რ ი ს პ ი რ ი. მერხეულის სამაროვანზე ნაპოვნია რკინის ერთი ისრისპირი (ტაბ. IV, 26). იგი მასრაგახსნილია, რომპისებურპირიანი. ანალოგიური იარაღები დიდი რაოდენობით არ არის ცნობილი არა მარტო აფხაზეთის, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ამის უპირველესი მიზეზი, ჩვენის აზრით, ისაა, რომ ყველა მათგანი უკლებლივ მოკლე შუბისპირების ჯგუფშია განხილული და, ფაქტიურად, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ისრისპირთა არსებობა-გავრცელება არ შეინიშნება. საქმეს ვერ ცვლის ორფრთიანი, გრძელყურიანი ისრისპირი დაბლაგომიდან, ბანოჯიდან, პალურიდან[83], რომლებიც უფრო აღმოსავლეთამიერკავკასიურ კულტურას უკავშირდება, ვიდრე დასავლურს.

მერხეულის ისრისპირების ანალოგების განხილვამ შესაძლებლობა მოგვცა, მათი მცირე ზომების გამო (მაქსიმალური სიგრძე 8 სმ აღწევს), ისინი ისრისპირთა კატეგორიისათვის მიგვეკუთვნებინა. ანალოგიური ისრისპირები ნაპოვნია გუადიხუს სამაროვანზე. აქ № 1 სამარხში ყუაკვერიან ცულთან ერთად ნაპოვნია რკინის 3 შუბისპირი და 2 ისრისპირი[84]. № 19 სამარხში 2 შუბისპირი, 1 ისრისპირი, ბრინჯაოს სამაჯურები და კერამიკა[85]. 4 ცალი ანალოგიური იარაღი ნაპოვნია სოხუმის მთის VI—IV სს. სამარხებში[86]. მერხეულის ისრისპირთან განსაკუთრებით ახლოს დგას ყუ-

---

[82] ალ. ბ ო ხ ო ჩ ა ძ ე, მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბ., 1963, გვ. 62—63.

[83] Б. А. К у ф т и н, Материалы к археологии Колхиды, II, გვ. 118, ტაბ. 11. თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, ძიებანი... გვ. 53; ნ. ო ქ რ ო პ ი რ ი ძ ე, მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ჰალურის „საძვლე“, გვ. 108.

[84] М. М. Т р а п ш, Труды, II, გვ. 20, სურ. 3, 5, 6. ტრაპში აღნიშნულ იარაღებს შუბისპირებს აკუთვნებს.

[85] ი ქ ვ ე, გვ. 36, ტაბ. 11—7.

[86] ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 78—79, ტაბ. VIII—IX.

ლანურხვას სამაროვნის № 5 სამარხში აღმოჩენილი 4 ისრისპირი, რომლებიც მცირე ზომების გამო გამთხრელის მიერვე იარაღის ამ ჯგუფშია განხილული[87]. ავტორი ამ ისრისპირებს, ე. წ. სკვითურ ორფრთიან ბრინჯაოს ისრისპირების იმიტაციად მიიჩნევს[88], მაგრამ უგულვებელყოფილია ის ფაქტი, რომ ე. წ. სკვითურ ისრისპირებს მთლიანი მასრა აქვთ, რკინის ამჟამად საინტერესო იარაღს კი — გახსნილი. ამ უკანასკნელზე არ ემჩნევა დეზიც, რის გამოც მათი დაკავშირება სკვითურ ისრისპირთან მართებულად არ მიგვაჩნია.

მერხეულის ისრისპირის ერთი ანალოგი ნაპოვნია ნიგვზიანის სამაროვანზეც. აქ № 6 სამარხეულ კომპლექსში რკინის სატევართან, შუბისპირთან, დანისპირთან და სხვა მასალებთან ერთად აღმოჩნდა რკინის მასრაგახსნილი რომბისებურპირიანი ისრისპირი, სიგრძით 7,2 სმ. კომპლექსი ზოგადად ძვ. წ. VII—VI სს. ფარგლებში ექცევა.

შორეული ანალოგიებიდან შესაძლოა აღვნიშნოთ ტამანის ნახევარკუნძულზე ცუკურ-ლიმანში აღმოჩენილი სამარხეული კომპლექსი, რომელშიც ანალოგიურ რკინის ისრისპირთან ერთად შეღის ბრინჯაოს ორ-და სამფრთიანი ისრისპირები, როდოსული ვაზა და სხვ. კომპლექსი თარიღდება ძვ. წ. VII—VI სს. მიჯნით[89].

ამგვარად, ჩვენს ხელთ არის დასავლეთ საქართველოს, უპირატესად აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი 10-ზე მეტი ერთგვაროვანი იარაღი, რომლებიც, ჩვენი აზრით, ისრისპირთა ცალკე ტიპს, შესაძლოა, დასავლურ ვარიანტს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით უდავოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ იარაღს ეძებნება უფრო ადრეული პროტოტიპებიც. მხედველობაში გვაქვს ბრინჯაოს მინიატურული მასრაგახსნილი იარაღები ნაოხვამუდან, სადაც მათი რაოდენობა ათამდე ეგზემპლიარს აღწევს. ისინი ნაპოვნია ნაოხვამუს ზედა ფენაში და, პროფ. ბ. კუფტინის აზრით, წარმოადგენენ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული, ჭედვით დამზადებული შუბისპირების იმიტაციას და საკულტო დანიშნულება აქვთ[90].

---

[87] М. М. Трапш, Труды, I, გვ. 133, ტაბ. 6—9. აღნიშნული კომპლექსის შემადგენლობისა და დათარიღების შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 39—40.

[88] М. М. Трапш, დასახ. ნაშრომი, გვ. 133, 138. აღნსანიშნავია, რომ ამავე კომპლექსში შედის რკინის ერთი ისრისპირი მასრაზე დეზით, რომელიც აშკარად იმეორებს ბრინჯაოს სკვითურ იარაღს. შდრ. იქვე, ტაბ. V—17.

[89] Х. Х. Грушевская, Родосская ваза и бронзовые вещи из могилы на Таманском полуострове, ИАК, вып. 63, № 1917, გვ. 57, рис. 18.

[90] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 173—176, ტაბ. 53, 54.

ანალოგიური იარაღები ნაპოვნია პალურის „საძვლეს“ სამაროვნის ზედა, დარღვეულ ფენებში (ათამდე ერთეული). ერთი ცალი მსგავსი ისრისპირი აღმოჩნდა პალურის ჟირსუკის ნამოსახლარის III ფენაში, რომელიც უშუალოდ წინარეანტიკურ ხანას უნდა ეკუთვნოდეს[91]. ფორმათა სრული იდენტურობა, ვფიქრობთ, გვაძლევს იმის უფლებას, რომ რკინის ზემოგანხილული ისრისპირები (მერხეული, გუადიხუ, ყულანურხვა, სოხუმის მთა, ნიგვზიანი) ბრინჯაოს მინიატურული იარაღების შემდგომ განვითარებულ ფორმად მივიჩნიოთ და ორივე მათგანი დასავლური ტიპის ისრისპირთა ცალკე ფორმად გამოვყოთ. რკინის მასრაგახსნილ ისრისპირთა შედარებითი სიმრავლე გარკვეულ ტერიტორიაზე შესაძლოა მიჩნეულ იქნეს აფხაზეთის ლოკალური რაიონის ერთ-ერთ ნიშნად.

შ უ ბ ი ს პ ი რ ი. შუბისპირები მერხეულის სამაროვანზე ძალზე ფრაგმენტულად, უპირატესად გახსნილი მასრის სახითაა წარმოდგენილი. მათი სიმცირის გამო მსჯელობა ფორმათა შესახებ ძნელდება და სიტყვას აღარ ვაგრძელებთ, მხოლოდ აღვნიშნავთ: რკინის შუბისპირი ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანების არქეოლოგიური კომპლექსებისათვის და ყველა ზემონახსენებ ძეგლზე ათეული ეგზემპლიარებით არის წარმოდგენილი.

ს ა მ კ ა უ ლ ი

მერხეულის სამაროვანზე აღმოჩენილი ინვენტარის უდიდეს ნაწილს სამკაული წარმოადგენს. მათი უმეტესობა, სამწუხაროდ, ძალზე ფრაგმენტულია და ცეცხლში ყოფნისაგან დეფორმირებული, რაც მათ შესახებ მსჯელობას ერთგვარად აძნელებს, მაგრამ ფორმისა და დანიშნულების მიხედვით მაინც შესაძლებელი ხდება გამოიყოს რამდენიმე ჯგუფის ნაკეთობა: სამაჯურები, საკისრე რგოლები, საკიდი ამულეტები, საკინძეები, მძივები და სხვ.

ს ა მ ა ჯ უ რ ი. სამკაულის რიგში ყველაზე მრავალრიცხოვანია სამაჯურები (ტაბ. V), ისინი უპირატესად ბრინჯაოსაგანაა დამზადებული და ორ ძირითად ტიპშია გაერთიანებული. პირველ ტიპში ვათავსებთ მრგვალ ან ოვალგანივკვეთიან ბრინჯაოს მავთულისაგან დამზადებულ სამაჯურებს, მეორეში კი თხელფირფიტოვან ნაკეთობებს.

---

[91] ნ. ო ქ რ ო პ ი რ ი ძ ე, მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 107—108.

პირველ ტიპში გაერთიანებული სამაჯურები ორ ქვეტიპად შეიძლება გაიყოს: ერთმანეთზე თავებგადასული და სრულიად გახსნილი. ყველა მათგანი თავისაკენ გაფართოებულია და სხვადასხვაგვარ ფორმას ღებულობს. თავის მიხედვით გამოირჩევა რომბისებური (ტაბ. V, 12, 31, 38) და ოთხწახნაგა ბრტყელი (ტაბ. V, 12, 32, 38) დაბოლოვებანი. არის წაწვეტებულბოლოიანი სამაჯურებიც (ტაბ. V, 20). ეს უკანასკნელი ყველა ზემონახსენებისაგან იმით განსხვავდება, რომ სრულიად სადაა. დანარჩენი სამაჯურების თავბოლო კი ორნამენტირებულია სხვადასხვა სახეებით; რომბისებურთავებიანი სამაჯურების შემკობაში ვხედავთ რგოლებს და მოკლე, ირიბი ჭდეების ზოლებს (№ 31), რგოლების მწკრივებს (№ 12), სოლურ ორნამენტს, თავის ქვემოთ ოთხ სალტეს (№ 38). ოთხწახნაგოვან-დაბოლოვებიანი სამაჯურები კი შემკულია წყვილი, ნაკაწრი ხაზებისაგან წარმოქმნილი ჯვრისებრი (№ 14) და ბადისებური (№ 12) სახეებით, მოკლე ირიბი ჭდეებით (№ 32). ამ ჯგუფიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია № 38 სამაჯური — სწორკუთხა ფორმის თავს ნაპირთან წყვილი რგოლი ამკობს და თითქოს გველის თავის სრული შთაბეჭდილება იქმნება.

უდავოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზემოხსენებული სამაჯურები ზუსტ ანალოგებს ვერ პოულობენ ქრონოლოგიურად და მასალის მხრივ ისე ახლოს მდგარ ძეგლებთან, როგორიცაა გუადიხუს, პალურის და ნიგვზიანის სამაროვნები[92]. მსგავსი სამაჯურები არაა არც ყულანურხვას სამაროვნის განათხარ მონაპოვარში, თუმცა აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ამ პუნქტში აღმოჩენილი ერთი ზუსტად ანალოგიური ნივთი. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ბრილის სამაროვნის მასალებშიც მსგავსი სამაჯურები არ არის დადასტურებული. სამაგიეროდ, რამდენიმე ანალოგიური ნაკეთობა გვხვდება წითელი შუქურას სამაროვანზე. მაგ. ზუსტად ანალოგიური რომბისებურთავიანი სამაჯურები აღმოჩენილია № 4, 18 და 21 სამარხებში. № 4 სამარხში აღმოჩენილია რკინის ყუაკვერიანი ცული, ორი მოხრილი დანისპირი ორი შუბისპირი, ბრინჯაოს ორი ფიბულა, ბრტყელფირფიტოვანი სპირალური ხვიებით დაბოლოებულთავიანი სამაჯური, ჩვენთვის საინტერესო რომბისებურთავიანი ირიბი ნაჭდევების 3 ჭწკრივით შემკული სამაჯური, სარდიონის და ქარვის მძი-

---

[92] М. М. Трапш, Труды, II, зз. 66.

ვები[93]. კომპლექსში რკინის ცულის და ქარვის მძივის არსებობა, აგრეთვე რკინის იარაღის განსაკუთრებული სიმრავლე იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ სამარხი უფრო მოგვიანო ხანისა უნდა იყოს და მას ძვ. წ. VI ს. ვაკუთვნებთ. ამგვარ თარიღს არ ეწინააღმდეგება კომპლექსში შემავალი სხვა ნივთები. როგორც ჩანს, ამავე პერიოდის უნდა იყოს № 18 სამარხში აღმოჩენილი სამაჯურიც, მაგრამ კომპლექსის შედარებითი სიღარიბე[94] არ გვაძლევს თარიღის დაზუსტების შესაძლებლობას. რაც შეეხება № 21 სამარხის[95] საკმაოდ მდიდრულ ინვენტარს, ისიც თითქოს ზემოთ მოტანილი თარიღის სასარგებლოდ მეტყველებს.

რამდენიმე მსგავსი რომბისებურთავიანი სამაჯური ნაპოვნია ბეშთაშენის ადრეანტიკური ხანის სამაროვანზე, მაგრამ წითელი შუქურას, მერხეულის ნაკეთობებისაგან განსხვავებით, მათ უფრო დახვეწილი ფორმა ახასიათებთ. მათი თავების დაბოლოება ყოველთვის კარგად არის გამოყოფილი და ორნამენტითაც რამდენადმე განსხვავებულია[96].

ასევე მხოლოდ წითელი შუქურას სამაროვანზე ეძებნება ანალოგი ოთხწახნაგა გაბრტყელებულბოლიან სამაჯურებს. მაგ. № 26 სამარხში აღმოჩენილია მსგავსი ფორმის და წყვილი, ნაკაწრი ხაზებისაგან ჯვრისებურად ორნამენტირებულთავიანი სამაჯურები. აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს და რკინის მშვილსაკინძები, ვერცხლის თავგახსნილი რგოლები, ბრინჯაოს ჯაჭვი, სარდიონის და მინის მძივები, კერამიკა[97]. რკინის მშვილდსაკინძის აღმოჩენის გამო ეს კომპლექსიც ძვ. წ. VI ს. უნდა ეკუთვნოდეს.

ამგვარად, სამაჯურების პირველი ტიპის ნაკეთობათა განხილვა გვიჩვენებს, რომ მათ პარალელი, უპირველეს ყოვლისა, მხოლოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოეძებნა და ისინი შესაძლოა ამ ლოკალური რაიონისათვის იყოს დამახასიათებელი ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში. რაც შეეხება სადაზედაპირიან სამაჯურს, იგი ერთნაირად ჩანს გავრცელებული არა მარტო საქართველოს, არამედ უფრო ვრცელ ტერიტორიაზე.

სამაჯურების მეორე ტიპში ჩვენს მიერ გაერთიანებულია

---

[93] М. М. Трапш, Труды, II, გვ. 85—86.

[94] იქვე, გვ. 97, ტაბ. XXIV, 14.

[95] იქვე, გვ. 98—101, ტაბ. VII.

[96] შდრ. მ. მენაბდე, ც. დავლიანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 103, ტაბ. XII—XVI.

[97] М. М. Трапш, დასახ. ნაშრომი, გვ. 104—106, ტაბ. VIII.

თხელფირფიტოვანი, ვიწრო სამაჯურები. ეს ჯგუფი უფრო მცირერიცხოვანია და მხოლოდ ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. ყველა მათგანის ზედაპირი ორნამენტირებულია წიწვოვანი და უწყვეტი სპირალის გამოსახულებით. მსგავსი სამაჯური ნაპოვნია წითელი შუქურას სამაროვანზე № 38 სამარხში. სამარხში აღმოჩენილია აგრეთვე რკინის ყუაკვერიანი ცული, დანისპირი, ბრინჯაოს 2 ფიბულა, ოვალური ფორმის ვერცხლის წყვილი საყურე, ქარვისა და გიშრის მძივები, ქარვის საკიდები და კერამიკა[98]. სამარხის ზუსტი დათარიღება არ ხერხდება, თუმცა ცულის არსებობის გამო იგი ზოგადად ძვ. წ. VII—VI სს. შეიძლება დათარიღდეს. მსგავსი სამაჯური აღმოჩენილია გუადიხუს სამაროვნის № 9 სამარხშიც[99]. ბრინჯაოს ზარაკთან, ქამარზე დასამაგრებელ ბალთებთან, მრგვალგანიკვეთიან სამაჯურთან, რკინის დანის ფრაგმენტთან და სალეს ქვასთან ერთად. კომპლექსში ბრინჯაოს გვერდგაჭრილი ზარაკის არსებობის გამო სამარხი უფრო ძვ. წ. VI ს. კუთვნილად ჩაითვლება, ვიდრე ადრეულად. ერთი მსგავსი სამაჯური აღმოჩენილია ქუჩუკ-სტამბოლის სამაროვან „სუშკას“ ტერიტორიაზე[100].

სამი ცალი მსგავსი სამაჯური ცნობილია გუდაუთის რაიონის სხვადასხვა პუნქტებიდან და ისინი ძვ. წ. VII ს. არიან დათარიღებული[101]. როგორც ჩანს, ამავე პერიოდს ეკუთვნის სოხუმის მთის კრემაციულ სამარხში აღმოჩენილი ანალოგიური სამაჯურიც[102].

თხელფირფიტოვანი სამაჯურები მრავლადაა ნაპოვნი პალურის საძვლეზე როგორც თხრილში[103], ისე ინდივიდუალურ[104] სამარხებში. ამ უკანასკნელებიდან განსაკუთრებით აღვნიშნავთ ორ კომპლექსს: № 43 სამარხში აღმოჩენილია ბრინჯაოს თოხი, წყვილი კირკალი, ე. წ. პეპლისებური ბალთა, ვერცხლის წყვილი სა-

---

[98] იქვე, გვ. 111—112, ტაბ. IX.

[99] იქვე, გვ. 39, ტაბ. III—I.

[100] Ю. Воронов, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XIII, ავტორი „სუშკას“ სამაროვანს ვვიანანტიკურ ხანას მიაკუთვნებს. მასზე ნაწილობრივ შესწავლილია ახ. წ. IV ს. სამარხის ნაშთი. ჩვენთვის საინტერესო სამაჯური კი მომდინარეობს შემთხვევითი აღმოჩენებიდან და რიგ სხვა ნივთებთან ერთად (შდრ. იქვე, ტაბ. XIII) აქ უფრო ადრეული პერიოდის სამარხთა არსებობას გვავარაუდებინებს.

[101] А. А. Лукин, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXV, 2—3, XXVI—6.

[102] ალ. ყალანდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 52—85, სურ. 22.

[103] ნ. ოქროპირიძე, მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 112, ტაბ. XVII.

[104] ნ. ოქროპირიძე, მ. ბარამიძე, პალურის „საძვლე“, ხელნაწერი.

ყურე, რკინის სეგმენტი და მოხრილი დანისპირი (ტაბ. VI, 15—24). რკინის სეგმენტის აღმოჩენის გამო სამარხს ძვ. წ. VII—VI სს. მიჯნით ვათარიღებთ. ოდნავ უფრო ადრეული ჩანს მეორე კომპლექსი, რომელშიც სამი ცალი ანალოგიური სამაჯურია ნაპოვნი: მასში შედის 3 კირკალი, აქედან ერთი რკინის; ბრინჯაოს სატევარი, ბალთა, ვერცხლის წყვილი საყურე, ცხოველის გამოსახულება — ბალთა, ვეფხვის თუ ჯიქის სკულპტურული ფიგურა, რკინის დანა და კერამიკა (ტაბ. VII).

ამგვარად, ბრტყელფირფიტოვანი სამაჯურის განხილვა გვიჩვენებს, რომ ისინი ძირითადად ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანების კომპლექსებისათვისაა დამახასიათებელი და გავრცელებული ჩანს თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე[105]. ყველა მათგანი ორნამენტირებულია სხვადასხვა სახეებით, რაც დამახასიათებელია საერთოდ კოლხური ბრინჯაოს ნაწარმისათვის (ცულები, შუბისპირები, სარტყელი, ბალთა და სხვა).

ს ა კ ი ს რ ე რ კ ა ლ ი. საკისრე რკალი მერხეულის სამაროვანზე რამდენიმე ეგზემპლიარითაა წარმოდგენილი, მაგრამ ყველა მათგანი ფრაგმენტულია და ცეცხლში ყოფნისაგან დეფორმირებული. ფორმის მიხედვით მაინც შესაძლებელი ხდება მათში გამოიყოს ორი ტიპის ნაკეთობანი: პირველ ტიპს მიეკუთვნება ბრინჯაოს მსხვილი, სადა მავთულისაგან დამზადებული, სპირალურად თავჩახვეული საკისრე რკალები. ანალოგიური კირკლები მრავლადაა ცნობილი საქართველოს კომპლექსებში. არის ისინი ბრილის, გუადიხუს, წითელი შუქურას, ბეშთაშენის, თლის, სამთავროს[106] და სხვა სამაროვნებზე, გვხვდება ყობანშიც[107].

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სადაზედაპირიანი, მრგვალგანივკვეთიანი სპირალური ბოლოებით საკისრე რკალი დამახასიათებელია ადრეულ-ყობანური კომპლექსისათვის[108]. მ. ტრაპში, რომელიც იზიარებდა ამ მოსაზრებას, მი-

---

105 ანალოგიური სამაჯურის რამდენიმე ფრაგმენტი ნაპოვნია ნიგვზიანის სამაროვანზე. ისინი გვხვდება ბრილის, თლის, და სხვა სამარხეულ კომპლექსებშიც.

106 ვ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 100. M. M. T р а п ш, გვ. 68, 187, ტაბ. III, XXIII. Б. А. К у ф т и н, археологические раскопки в Триалети, 41—42. საქართველოს არქეოლოგია, გვ. 185; ნ. ო ქ რ ო პ ი რ ი ძ ე, ვ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 112 და სხვ.

107 МАК—XIII, ტაბ. XXX—3.

108 Б. А. К у ф т и н, Материалы археологии Колхиды, I, გვ. 140, დასახ. ნაშრომი, გვ. 68—69, 187, გ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ქვემო ქართლი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ., 1974, გვ. 79, 108.

იჩნევდა რომ ამ ფორმის კირკალი წარმოადგენდა გენეტიკურ წინამორბედს ძვ. წ. VII—VI სს. გავრცელებულ გრეხილღეროიან სპირალურად ჩახვეულბოლოებიან საკისრე რკალებისათვის[109]. ამ შემთხვევაში ავტორი ვარდება წინააღმდეგობაში, რადგან თვითონ აღნიშნავს ამ ფორმის კირკლის არსებობას გუადიხუს, ბრილისა და სხვა სამაროვნებზე, ე. ი. ძეგლებზე, რომლებიც ძირითადად სწორედ ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებს ეკუთვნიან. გუადიხუს № 11 სამარხის კომპლექსიც[110] მაინცდამაინც არ იძლევა საფუძველს ზემოთ მოყვანილი დებულების სასარგებლოდ. ამჟამად ჩვენს ხელთ არის პალურის „საძვლეს" ინდივიდუალური სამარხების კომპლექსები, სადაც აღნიშნული ფორმის კირკალი აშკარად გვიანდელ მასალებთან ერთად არის ნაპოვნი. ორი კომპლექსი პალურიღან ზემოთ იყო განხილული[111]. ორივე შემთხვევაში ლაპარაკი ძვ. წ. VII ს. უადრეს ხანაზე ყოვლად გაუმართლებელია. აღნიშნულის გამო მიგვაჩნია, რომ სადაზედაპირიანი სპირალურბოლოებიანი საკისრე რკალის ქრონოლოგიური გავრცელების ზედა ზღვარი უნდა ჩამოდიოდეს ძვ. წ. VI ს.-მდე მაინც და გარკვეულ პერიოდში თანაარსებობდეს გრეხილღეროიან, სპირალურბოლოებიან კირკალთან.

ძალზე საინტერესოა მეორე ტიპის საკისრე რგოლები (ტაბ. V, 7,30). მათ ახასიათებთ გრეხილი ღერო, რომბისებური ბრტყელი თავი, თავები დაბოლოვებულია ოთხწახნაგაგანივკვეთიანი მავთულის კაკვებით. ბრტყელი ფირფიტა ორნამენტირებულია რგოლებით, ჭდეებით, წიწვოვანი და თევზიფხური სახეებით. რამდენიმე მათგანის მხოლოდ თავი ან კაკვია შემორჩენილი. ერთი კირკალი ვერცხლისგანაა დამზადებული, დანარჩენი კი ბრინჯაოსაგან.

ანალოგიური რკალები ნაპოვნია გუადიხუს სამაროვნის № 23 სამარხში (1 ცალი)[112] და წითელი შუქურას სამაროვანზე (6 ცალი — სამარხებში — 10, 11, 29, 84)[113]. ერთი ცალი ანალოგიური კირკალი აღმოჩენილია ძვ. გაგრაში, მხოლოდ ახ. წ. IV ს. ბოლო და V ს. სამარხში[114]; საყურადღებოა აღვნიშნოთ, რომ კატეგო-

---

109 М. Трапш, დასახ. ნაშრომი, გვ. 68—69.

110 შდრ. М. Трапш, დასახ. ნაშრომი, გვ. 31—32.

111 იხ. აქვე. გვ. 38.

112 М. Трапш, დასახ. ნაშრომი, გვ. 68, ტაბ. III—2, 3.

113 იქვე, გვ. 187—189, ტაბ. VII, XXVII.

114 Ю. Воронов, დასახ. ნაშრომი, გვ. 43. А. А. Спицын, Могильник V в. Черноморье, ИАК-23, 1907, გვ. 103—7. А. А. Миллер. Разведка на Черноморском побережье Кавказа, в 1907, ИАК-33, გვ. 83.

რიული დათარიღება ამ კომპლექსისა, ვფიქრობთ, გაჭირდება, რადგან მასში არაა ასეთი მკაფიო დამათარიღებელი ნივთები.

აღნიშნულ რგოლებს ძალზე ემსგავსება ბრილის სამაროვანზე, ძვ. წ. VII—V სს. სამარხებში აღმოჩენილი კირკლები[115]. ერთი ცალი ზუსტად ანალოგიური, ნაკლული კირკალი აღმოჩენილია ნესტეროვის სამაროვანზე, რომელსაც ძეგლის შემსწავლელი ე. კრუპნოვი ამ სამაროვნისათვის რამდენადმე უცხო ნაკეთობად თვლის[116]. ჩრდ. კავკასიაში აღმოჩენილი, ადრეული თუ გვიანყობანური დროის, სხვა გრეხილტარიანი კირკლები მაინც განსხვავდება განსახილველი ტიპებისაგან. მათ არა აქვთ რომბისებური მოყვანილობის თავები და თავზე კიდევ კაკვი, რის გამოც მათზე აღარ ვჩერდებით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ გრეხილღეროიანი საკისრე რგოლები გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებენ მთიანი ყირიმის ძველ ტავრულ ნაკეთობებთან. აქ ბაიდარის ველის ქვის სამარხებში აღმოჩენილია როგორც სადა, ისე გრეხილღეროიანი საკისრე რგოლები და კირკალის ფრაგმენტი ბრტყელი, რომბისებური თავით, შემკული რელიეფურ-წერტილოვანი ორნამენტით[117]. აქ ისინი ზოგადად ადრესკვითური ხანითაა დათარიღებული. თუ გავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ მკვლევართა ნაწილი გარკვეულ ურთიერთობას ხედავს ძველ ტავრულ და დასავლეთ ამიერკავკასიურ ტომებს შორის[118], სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია აღნიშნული ნაკეთობების იქ მოხვედრა სწორედ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან. ამგვარად, ანალოგიური საკისრე რგოლების გავრცელება შეინიშნება ძირითადად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და იგი სწორედ ამ რაიონის კულტურის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს.

რ გ ო ლ ე ბ ი. ვერცხლის რგოლი მრგვალი, მრგვალგანივკვეთიანი წვრილი მავთულისაგან დამზადებული, თავგახსნილი და გახვრეტილი (ტაბ. V). ანალოგიური საყურეები მრავლადაა ცნობილი

---

[115] გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

[116] Е. И. К р у п н о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 289, სურ. 48.

[117] Н. И. Р е п н и к о в, Каменные ящики Бандарской долины, ИАК-30, გვ. 151, სურ. 29.

[118] А. М. Л е с к о в, Горный Крым в первом тысячелетии до н. э. Киев, 1965, გვ. 81, 107, 191—192. გ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 90, გ. ავალიშვილი ძვ. წ. 1 ათასწლეულის მეორე მეოთხედში გარკვეულ ურთიერთობას ხედავს სამხრეთ ამიერკავკასიასა და ყირიმს შორის. ა. ლესკოვი კი უფრო დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიას ვარაუდობს.

ამ პერიოდის მასალებში (გუადიხუ, ყულანურხვა, წითელი შუქურა, პალური, ბრილი, სამთავრო, ბეშთაშენი და სხვ.) და წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მყარ საყრდენს დათარიღებისათვის. მათი გამოჩენა სამარხეული კომპლექსების მიხედვით ხდება მხოლოდ ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევრიდან.

ა მ უ ლ ე ტ ე ბ ი. სამკაულის შემდეგ ჯგუფს წარმოადგენენ საკიდი-ამულეტები. მერხეულის სამაროვანზე ამ ჯგუფის ნაკეთობა 4 ნივთითაა წარმოდგენილი და ოთხივე სხვადასხვა ცხოველს გამოხატავს. მათგან ყველაზე რეალისტურია № 36 საკიდი (ტაბ. V), იგი დამზადებულია ფირფიტოვანი სქელი ბრინჯაოს ფურცლისაგან. აქვს მაღალი ყელი, წინ გატანილი თავი, ზედხედში სწორკუთხედის ფორმის ოვალურნახვრეტიანი ტანი და განზე გატანილი ფეხები. საკიდი-ამულეტი ამ პერიოდის მასალებში ძალზე ხშირია და ისინი ფორმათა ნაირგვარობით ხასიათდებიან. ძალზე იშვიათია ორი ერთნაირი ნაკეთობაც კი, რის გამოც მერხეულის საკიდი-ამულეტის ზუსტი ანალოგი არ გვეგულება. მისი შორეული პარალელი შესაძლოა დავინახოთ ბრინჯაოს სქელი ფირფიტის გადაღუნვის წესით დამზადებული ხარის ქანდაკებათა სახით, რომლებიც მრავლადაა ცნობილი ბრილის, ღარის, ზემო რუთხას, კუმბულტის და კამუნთას[119] გამოსახულებათა სახით. ისეთივე ტექნიკით არის დამზადებული ირმის ქანდაკებები სამთავროში, ყობანში, ყაზბეგის რაიონში. ეს გამოსახულებები ერთგვარ მიდრეკილებას იჩენენ მაიკოპის ცნობილ კულტურაში არსებულ ფიგურებთან და ამ საკულტო ნაკეთობათა ტრადიციის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდნენ[120]. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ყველა ეს ზემომოყვანილი საკიდი-ამულეტი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს მერხეულის ქანდაკებას და მის უშუალო პროტოტიპად უნდა ჩაითვალოს.

მერხეულის სამაროვნის მეორე საკიდი-ამულეტი (№ 14, ტაბ. V) ოვალური ფორმისაა, ზურგის მხრიდან ბრტყელი, ბოლოსთან შეჭრილი. ამკობს წყვილი წრე და წერტილები. აღნიშნული გამოსახულება შესაძლოა წარმოადგენდეს გველის თავის სტილიზაციას

---

[119] გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, ბრინჯაოს უძველესი ქართული ბალთები. თბ., 1944. საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 79, ტაბ. XV, მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ბრილის აკლდამა (ხელნაწერი), Б. А. К у ф т и н, Археологическая маршрутная экспедиция 1945г. в Юго-Осетию, Тб., 1947, ტაბ. XXX, МАК-VIII, ტაბ. CV.

[120] გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 225; მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი.

და ფორმით თითქოს იმეორებს ზემოგანხილული სამაჯურების თავებს. აღნიშნული საკიდის ანალოგი ასევე არ გვეგულება.

გველის გამოსახულება, რაც მისი კულტის მანიშნებელი უნდა იყოს, ფართოდ არის გავრცელებული უძველესი დროიდან მთელ მსოფლიოში. გველის კულტი ერთ-ერთი ყველაზე ძველი წარმოშობის უნდა იყოს. ხალხთა უმრავლესობის შეგნებაში გველი ისახება, როგორც წყლის მფლობელ-დამცველი, მხოლოდ მისთვის ფრთების დამატება ე. ი. გველვეშაპის სახეში გადაზრდა ცის სივრცის მფლობელობასაც გულისხმობს[121]. ბევრ შემთხვევაში გველი ნაყოფიერების სიმბოლოს განსახიერებაა[122] და მრავალი სხვა.

საქართველოში გველის კულტი (ე. ი. მისი გამოსახულებანი) ჩანს უკვე შუაბრინჯაოს ხანიდან[123]. მაგ. თრიალეთის ყორღანებში გვხვდება გველის როგორც მოხატული (ყორღანი XVII), ისე რელიეფური (ყორღანი XVIII) გამოსახულება. მომდევნო პერიოდის მასალებიდან აღსანიშნავია სამთავროში, ცხინვალში, მელაანში, მაღაროში და კასპში[124] აღმოჩენილი გველის გამოსახულებიანი ჭურჭელი ან მათი ფრაგმენტები. ანალოგიური მოტივი კარგად ჩანს სომხეთის ტერიტორიაზე (სანაინი, სტეპანავანი)[125] და ჩრდილო კავკასიაში[126]. განსაკუთრებით მრავლადაა აღნიშნული გამოსახულებებით გრავირებული კოლხური ბრინჯაოს ნაწარმი (ცულები, შუბისპირები, ბალთები, სარტყელები და სხვა).

მომდევნო ხანას ეკუთვნის გველისთავიანგამოსახულებიანი სამაჯურები, რომლებიც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მრავლად

---

[121] Г. Шульц, История первобытной культуры, СТБ, 1910, გვ. 206.

[122] Л. Штернберг, Первобытная религия, Ленинград, 1936, გვ. 411.

[123] ჩვენ ჯერჯერობით თავს ვიკავებთ გველის გამოსახულებების უფრო ადრეული ნიმუშების აღნიშვნისაგან, თუმცა შესაძლოა ამას უკავშირდებოდეს ადრესამიწათმოქმედო კულტურაში აღმოჩენილი რელიეფურკლაკნილი ორნამენტი.

[124] საქართველოს არქეოლოგია, გვ. 169, ტაბ. XVI—2. გ. გობეჯიშვილი, სტალინირის ნაცარგორა, მიმომხილველი, ტ. II, თბ. 1952, გვ. 257, კ. ფიცხელაური, ორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა, თბ., 1965, გვ. 96, მ. ბარამიძე, კასპის სამაროვანი, მსკა, IV, თბ. 1965, გვ. 42, ტაბ. III.

[125] А. О. Мнацаканян, Следы поклонения солнцу в древней Армении, по материалам эпохи бронзы, ТГИМ Армении, т. I, Ереван, 1948, გვ. 67—95, სურ. I, Т. Хачатрян, Каменные ящики Степанована, ТГИМ Армении, т. V, Ереван, 1959, გვ. 110.

[126] Е. И. Крупнов, დასახ. ნაშრომი, გვ. 57, ტაბ. XXIX.

არის აღმოჩენილი საქართველოს არქეოლოგიურ მასალებში. ამ შემთხვევაში შესაძლოა სამაჯური გამოყენებული იყო ბოროტი ძალის წინააღმდეგ სატარებელი ამულეტის როლში[127].

ქრონოლოგიურად სწორედ ამ უკანასკნელ ჯგუფს უნდა დაუკავშირდეს ზემოთ განხილული მერხეულის საკიდი-ამულეტი გველის თავის შესაძლო გამოსახულებით.

მერხეულის სამაროვანზე აღმოჩენილია კიდევ ორი საკიდი-ამულეტი (№ 24). ორივე პატარა ზომისაა, აქვს ჩახვეული რქები, ზურგის მხრიდან ყუნწი შესაძლოა წარმოადგენდეს ცხვრის თავის სტილიზაციას. აღნიშნულ გამოსახულებასაც ზუსტი ანალოგი არ ეძებნება, თუმცა ცხვრის ქანდაკებები მრავლადაა ცნობილი არქეოლოგიურ მასალებში. მხედველობაში გვაქვს ბრილის, მანგლისის, როკის, ყორნისის, იურთას, დიგორიის[128] და სხვა პუნქტების ცხვრის ქანდაკებები. აღნიშნულ მოტივს, ცხვრის სტილიზაციას, ვხვდებით უკვე შუაბრინჯაოს ხანაში ვოლუტისებურთავიან ბრტყელ საკინძთა თავით. მის შემდგომ განვითარებულ ფორმად მიგვაჩნია ცხვრის თავის სტილიზებული გამოსახულებებით შემკული საკინძეები სამთავროდან, კასპიდან, რუსთავიდან, ბაიბურთიდან, ყობანიდან[129]. უკანასკნელ ხანებში ერთი მსგავსი საკინძი ნაპოვნია ნიგვზიანის სამაროვანზეც რკინის თოხებთან, სახნისებთან, მოხრილ დანებთან, სატევრებთან და დიდძალ სამკაულთან ერთად[130]. ეს გამოსახულებანი ერთგვარად უკავშირდება მერხეულის საკიდ-ამულეტებს და ქრონოლოგიურადაც მათი თანადროულია. ცხვრის გამოსახულებათა ამგვარი სიმრავლე მეურნეობაში, კერძოდ მესაქონლეობაში, მეცხვარეობის განსაკუთრებული როლის მანიშნებლად მიგვაჩნია.

ს ა კ ი ნ ძ ე ე ბ ი. საკინძე მერხეულის სამაროვნის მონაპოვარში 4 ეგზემპლარით არის წარმოდგენილი. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებო ჩანს საკინძის თავი № 23 (ტაბ. V). მას სამკუთხისებურად განლაგებული სამი, განზე გატანილი, ფოლაქისებური შვერილი ამკობს. მსგავსი ფორმის საკინძე ჩვენთვის ცნობილ მასალებში არ გვხვდება, რამდენადმე ემსგავსება გუადიხუს № 20 სამარხში აღმოჩენილი საკინძის თავი[131]; მაგრამ მას აქვს ღრუ

---

[127] გ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

[128] მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

[129] ი ქ ვ ე.

[130] Т. Микеладзе, М. Барамидзе, დასახ. ნაშრომი.

[131] М. Трапш, Труды, II, გვ. 36, ტაბ. IV—2, სხვა ინვენტარი აღნიშნულ სამარხში არ არის ნაპოვნი, რის გამოც მისი დათარიღება ძნელდება.

მასრისებური ღერო, რომელშიც ხის ან ძვლის საკინძი მაგრდებოდა. ამასთანავე, გუადიხუს საკინძის თავი სიგრძივ ოვალურად გახვრეტილია, მერხეულის ნიმუში კი მრგვალგანივკვეთიანია. გუადიხუს საკინძის თავი შემკულია სპირალური ორნამენტით, მერხეულის კი სადაა.

ასევე უნიკალური ჩანს № 29 საკინძი. მას მრგვალგანივკვეთიანი ღერო და მრგვალი თავი აქვს. თავის ქვეშ, უშუალოდ ღეროზე, სიმეტრიულად განლაგებულია 4 შვერილი, კოპი. ერთ-ერთ კოპზე მიჟანგულია ფრინველის (?) გაურკვეველი გამოსახულება. აღნიშნულ საკინძსაც არ ეძებნება პირდაპირი ანალოგი.

დანარჩენი 2 საკინძი (№ 39, ტაბ. V) ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი. მათ ახასიათებთ მრგვალგანივკვეთიანი ღერო. არის ერთი ფრაგმენტი წახნაგოვანგანივკვეთიანი ღეროთი და ლურსმნისებურად შებრტყელებული თავით. აღნიშნულ საკინძებზე სიტყვას აღარ ვაგრძელებთ, ვინაიდან ისინი ერთნაირად დამახასიათებელია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლებისათვის და გვხვდება დროის ხანგრძლივი მონაკვეთის განმავლობაში.

ჯ ა ჭ ვ ი. მერხეულის სამარხეულ ინვენტარში წარმოდგენილია ბრინჯაოს ჯაჭვის ნაწყვეტი, შედგენილი მრგვალგანივკვეთიანი მავთულის ოვალური ფორმის თავგახსნილი რგოლების გადაბმის გზით. შესაძლოა მას დაუკავშირდეს ბრტყელი სპირალური ხვია (სათვალისებური დედალი დუგმის ფრაგმენტი).

ანალოგიური ძეწკვები აღმოჩენილია დიდი რაოდენობით არქეოლოგიურ ძეგლებზე. მაგ. ყულანურხვას სამაროვნის № 3 სამარხში აღმოჩენილია ბრინჯაოს H — სებრთავიანი საკინძი, რომელზეც მიმაგრებული იყო ძეწკვი ბოლოში სპირალურთავებიანი დედალი დუგმით დაბოლოვებული. საკინძის გარდა კომპლექსში შედის ვერცხლის წყვილი საყურე, ბრინჯაოს 2 და რკინის 1 მშვილდსაკინძი, რომელზეც პატარა ჯაჭვებია ჩამობმული, ბრინჯაოს ჯვრისებური ფორმის საკიდი, ცხოველისგამოსახულებიანი საკიდი, სპირალური, ცილინდრული ფორმის ხვია, მრგვალგანივკვეთიანი სამაჯური, ბრინჯაოს პატარა ფირფიტოვანი მძივები, რკინის რგოლი, კერამიკა[132]. როგორც ვხედავთ, კომპლექსი ძალზე მდიდრულია. მასში რკინის მშვილდსაკინძის და ვერცხლის საყურის არსებობის გამო შესაძლოა იგი ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევრით და VI ს. დათარიღდეს.

---

[132] М. Т р а п ш, Труды, I, გვ. 106—107, ტაბ. IV.

დედალი დუგმით დაბოლოვებული ანალოგიური ძეწკვი ნაპოვნია მარალინ დერესის № 2 ქვაყუთში[133], სამთავროს სამაროვნის ბაიერნისეულ № 600 სამარხში[134], ყობანის[135], ჩმის[136] და ნესტეროვოს[137] სამაროვანზე. ამ უკანასკნელში აღნიშნული ნივთები ნაპოვნი იყო ორ- და სამფრთიან სკვითური ტიპის ისრისპირებთან ერთად, რაც ქრონოლოგიურადაც კარგად უკავშირდება მერხეულის სამაროვანს. საყურადღებოა აღვნიშნოთ, რომ ბრინჯაოს ძეწკვი, მასზე ჩამოკიდებული ზარაკებით, ნაპოვნია წითელი შუქურას სამაროვნის № 21 სამარხში, რაც ტიპოლოგიურად ზემოაღნიშნულ ნაკეთობებს უნდა დავუკავშიროთ.

მსგავსი ბრინჯაოს ჯაჭვები, დაბოლოვებული დედალი დუგმით, ნაპოვნია უფრო ადრეული ხანის კომპლექსებშიც. მაგ. ბრილის შუაბრინჯაოს ხანის დასასრულის და გვიანის საწყისის აკლდამაში ერთად აღმოჩნდა ძეწკვები და დუგმები[138]. მსგავსი დუგმები გვხვდება იქვე გათხრილ ამავე პერიოდის № 31 ორმოსამარხშიც[139].

ამგვარად, აშკარა ხდება, რომ ბრინჯაოს ჯაჭვი დაბოლოვებული დედალი დუგმით დამახასიათებელი ნაკეთობაა გვიანბრინჯაოადრერკინის ხანის დასავლეთ საქართველოს ტერიტორიისათვის. ისინი გვხვდება ძვ. წელთაღრიცხვის I ათასწლეულის კომპლექსებშიც. ამ პერიოდის შემდგომ ისინი უკვე აღარ გვხვდებიან.

მ ი ლ ე ბ ი. როგორც ჩანს, ქრონოლოგიურად ამავე პერიოდს უნდა დაუკავშირდეს ბრინჯაოს მილები, ისინი დამზადებულია ბრინჯაოს ფურცლის მოკეცვის გზით, ანალოგიური ნაკეთობანი მრავლადაა წარმოდგენილი სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლებზე[140] და გარკვეულად რაიმეს თქმა მათ დანიშნულებასა თუ ქრონოლოგიაზე შეუძლებელი ჩანს.

ს ა ყ უ რ ე. მერხეულის სამაროვანზე აღმოჩენილია ვერცხლი-

---

[133] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, ტაბ. XXIV.

[134] ი ქ ვ ე, გვ. 70, სურ. 74.

[135] МАК-I, VIII, ტაბ. XXXIV.

[136] ი ქ ვ ე, ტაბ. VIII.

[137] Е. И. Крупнов, Северокавказская археологическая экспедиция, КСИИМК, вып. XVII, 1947, გვ. 24, 26.

[138] მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე. ბრილის აკლდამა.

[139] გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 184.

[140] მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, კასპის სამაროვანი, გვ. 56.

საგან დამზადებული მრგვალი ფორმის, თავთან გახსნილი, გაბრტყელებული და გახვრეტილი 1 საყურე. მისი თავები წერტილებითაა შემკული. ანალოგიური საყურეები, უპირატესად წყვილების სახით, ცნობილია ამ პერიოდის ყველა სამაროვნიდან. სამთავროს სამაროვნის მასალის მიხედვით მათი გავრცელების ძირითადი დრო ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევრით და VI ს. განისაზღვრება[141]. როგორც ჩანს, ამავე პერიოდისა უნდა იყოს პალურის, ნიგვზიანის, გუადიხუს, ყულანურხვას და ნესტეროვოს სამაროვნების ანალოგიური ნაკეთობანი[412]. მათ შორის ზოგჯერ უმნიშვნელო განსხვავება შეინიშნება უმთავრესად ზომებში, მაგრამ ტიპოლოგიურად ყველა მათგანი ერთ ვარიანტს ეკუთვნის და ერთ-ერთ ყველაზე საიმედო საყრდენს წარმოადგენს დათარიღების დროს.

მ ძ ი ვ ე ბ ი. მძივები მერხეულის სამაროვანზე საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი (ტაბ. V). მასალად გამოყენებულია სარდიონი, კვარციტი და ქარვა. სარდიონის მძივები წარმოდგენილია ორი ტიპით: პირველ ჯგუფში ვაერთიანებთ მრგვალი ფორმის ლუქისფერი სარდიონისაგან დამზადებულ მძივებს. მათი ზედაპირი კარგად გაშლიფულ-ნაპრიალებია, გახვრეტილია ორმხრივ. ამ ტიპის მძივები განსაკუთრებით სპეციფიური ჩანს ადრეანტიკური ხანის მასალებისათვის და წარმოდგენილია გუადიხუს, წითელი შუქურას, პალურის, ურეკის, ბრილის, ნიგვზიანის[143] და სხვ. კომპლექსებში. ანალოგიური ფორმის ნაკეთობანი გვხვდება უფრო ადრეულ პერიოდში, მაგრამ ზედაპირის გულმოდგინედ გაშლიფვა და გაპრიალება ამ მძივებს სპეციფიურს ხდის ადრეანტიკური ხანისათვის.

სარდიონის მეორე ტიპის მძივები ხასიათდება ბიკონუსური ფორმით. მათ აქვთ წახნაგოვანი მუცელი. გახვრეტილი არიან ორივე მხრივ. ისინი ზემოხსენებულ ყველა ძეგლებზე გვხვდებიან. შეიძლება ითქას, რომ ამ ჯგუფის მძივები ჩვეულებრივ რკინის იარაღებთან ერთად გვხვდება და დამახასიათებელია წინარე და ადრეანტიკური ხანის მასალებისათვის.

---

141 რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი..., გვ. 126;

142 ნ. ო ქ რ ო პ ი რ ი ძ ე, მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 116—117. Т. Микеладзе, М. Барамидзе, დასახ. ნაშრომი, М. Трапш, Труды II, 74; მისივე, Труды I, გვ. 154, М. Трапш, II, გვ. 74—75; 189, ნ. ოქროპირიძე, მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 117; Т. Микеладзе, М. Барамидзе, დასახ. ნაშრომი.

143 М. Траш, Труды, II, გვ. 74—75; 189, ნ. ოქროპირიძე, მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 117.

ეიკების მეორე ჯგუფს წარმოადგენს კვარცისაგან დამზადებული ნაკეთობანი. მათ ახასიათებთ ბირთვისებური ფორმა. ყველა მათგანი ცეცხლში ყოფნისაგან ზედაპირდახეთქილია. ანალოგიური მძივები პირველ ჯგუფთან შედარებით ნაკლებადაა ცნობილი. მსგავსი მძივების ყველაზე მრავალრიცხოვანი ეგზემპლარები აღმოჩენილია ნიგვზიანის სამაროვანზე[144]. სხვა ძეგლებზე ისინი ერთეულების სახითაა და ზოგჯერ პასტის მძივებთან არიან გაერთიანებული.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მერხეულის კომპლექსში ქარვის მძივის (ტაბ. V—33) აღმოჩენის ფაქტი. იგი ორწახნაგაა, ზურგის მხრივ ბრტყელი, ზედაპირზე მსუბუქად დახრილი, ორფერდა. ქარვის მძივები ყველაზე მრავლად საკვლევი პერიოდის ძეგლებიდან წარმოდგენილია წითელი შუქურას სამაროვანზე (60-მდე მძივი); მათში 9 ტიპის ნაკეთობა გამოიყოფა[145]. აღსანიშნავია, რომ ფორმით მერხეულის მძივს არ ეძებნება ზუსტი ანალოგი, თუმცა ზემოხსენებული ძეგლის გარდა ისინი გვხვდებიან გუადიხუს, ყულანურხვას, პალურის, ბრილის, ნიგვზიანის[146] და სხვა სამაროვნებზე. არის ქარვის მძივები დვანში, თრიალეთში, კასპში[147], სადაც ისინი სწორედ ადრეანტიკური ხანის კომპლექსებში გვხვდებიან. მაგ. სამთავროს სამაროვნის № 106 სამარხში ქარვის მძივთან ერთად ნაპოვნია ზემოხსენებული სარდიონის მძივების მსგავსი ნაკეთობანი, ბრინჯაოს ორ- და სამფრთიანი, ე. წ. სკვითური ისრისპირები და სხვ. ამგვარად, აშკარად ჩანს, რომ ქარვის მძივები საქართველოს ტერიტორიაზე გამოჩენას იწყებს ადრეული რკინის ხანიდან, ფართო გავრცელებას კი აღწევს ადრეანტიკური ხანისათვის, საიდანაც მათი ნაირგვარი ფორმები გვაქვს დადასტურებული. ამდენად, ქარვის მძივები სპეციფიური ჩანან სწორედ ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანების კულტურისათვის.

სამკაულებთან ერთად განვიხილავთ შინამოსაქმეობის ნივთებს, რომლებიც მცირე რაოდენობით არის ნაპოვნი მერხეულის სამაროვანზე. მათგან განსაკუთრებით აღვნიშნავთ ბრინჯაოს პინცეტს. იგი დამზადებულია ერთი სქელი და ვიწრო ფირფიტის მოკეცვით.

---

144 Т. Микеладзе, М. Барамидзе, დასახ. ნაშრომი,

145 М. Трапш, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

146 ი ქ ვ ე, გვ. 74; М. Трапш, Труды, I, გვ. 58; ნ. ო ქ რ ო პ ი რ ი ძ ე, ვ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 117; და სხვ.

147 ვ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, კასპის სამაროვანი, გვ. 56.

ზედაპირი ორნამენტირებულია, გადაბმული სპირალებით და მოლი ირიბი ჭდეებით (ტაბ. V).

პინცეტი ძალზე გავრცელებული ნაკეთობაა და გვხვდება დროის ხანგრძლივი მონაკვეთის განმავლობაში, გვიანბრინჯაოს ხანიდან დაწყებული დღემდე, ძალზე ფართო ტერიტორიაზე. თითქმის ერთგვარი ფორმები წარმოდგენილია ევროპაში, წინა აზიასა და კავკასიაში. მათში ორი ძირითადი ტიპი გამოიყოფა: ცალკე დამზადებული და შემდეგ ერთმანეთთან დაკავშირებული ფირფიტებისაგან შედგენილი პინცეტები და ერთი ფირფიტის მოკეცვით მიღებული. სამხრეთ კავკასიაში გვხვდება ეს ორივე ფორმა, თუმცა კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ჩანს მეორე[148]. სწორედ ამ მეორე ტიპს ეკუთვნის მერხეულის ნაკეთობაც.

პინცეტებთან დაკავშირებით აღსანიშნავია კიდევ ერთი დეტალი: ადრეული ნაკეთობანი ხასიათდებიან უფრო დიდი ზომით და შედარებით ტლანქია და სადაზედაპირიანი, მოგვიანო ეგზემპლარები კი მომცრო ზომისაა[149] და, ჩვეულებრივ, ორნამენტით შემკული.

სალესი ქვები

მერხეულის სამაროვანზე აღმოჩენილია სულ 9 სალესი (ტაბ. IV). ისინი რიყის ქვისგანაა დამზადებული; მოგრძო ოვალური ან ოთხკუთხა ფორმის, თავთან ყველა მათგანი გახვრეტილია. ანალოგიური სალესები ფართოდაა გავრცელებული დიდ ტერიტორიაზე. ამიერკავკასიაში მათი გამოჩენა შეინიშნება უკვე ადრებრინჯაოს ხანაში (ოდხარის დოლმენი). გვიანბრინჯაოს მასალებში მათი რაოდენობა ერთეულებით განისაზღვრება. სალესების განსაკუთრებული სიმრავლე იგრძნობა წინარე- და ადრეანტიკური ხანიდან. არ არის ამ პერიოდის თითქმის არც ერთი ძეგლი, სადაც თავთან გახვრეტილი სალესი არ იყოს აღმოჩენილი. ეს ნივთი საერთოდ დამახასიათებელი ჩანს ძვ. წ. ათასწლეულის შუა ხანების კავკასიის სამაროვნებისათვის[150]. ასევე მრავლადაა ისინი წარმოდგენილი ევრაზიის ადრეული რკინის ხანის სხვადასხვა კომპლექსებში[151]. ამდენად, აშ-

---

[148] М. Трапш, Труды, I, გვ. 161.

[149] ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები სოფ. ოკორაში, თსუ შრომები. ტ. 65, თბ., 1957, გვ. 203; მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

[150] А. А. Иессен, Археологические памятники Кабардино-Балкарии, МИА-94, გვ. 4—6. Е. И. Крупнов, დასახ. ნაშრომი, გვ. 287.

კარა ხდება, რომ მათი ქრონოლოგიური თუ ტერიტორიალური დაჯგუფება შეუძლებელია. საყურადღებოა მხოლოდ ერთი მომენტი: ჩვეულებრივ, სალესი ქვები სამარხეულ კომპლექსებში, როგორც წესი, გვხვდება რკინის სატევრებთან ერთად და, შესაძლოა, გამოიყენებოდა იარაღის პირის ასაწყობად. ამგვარ სურათს ვხედავთ პალურის, ნიგვზიანის და ბრილის სამაროვნებზე და ჩრდილო კავკასიაში, ნესტეროვის სამაროვანზე[152]. კრასნოდარის მუზეუმში დაცულია სკვითი მეომრის გამოსახულება, რომელიც აღჭურვილია აკინაკით და სალესით. ანალოგიურ სურათს ვხედავთ პიატიგორსკის მუზეუმის ქვის გამოსახულებაზეც[153]. ამ გარემოებას მხარს უჭერს მერხეულის სამაროვნის მონაცემებიც, სადაც № 8 სატევარსა და სატევრის პირის ნატეხთან ერთად ორი სალესი (9) აღმოჩნდა.

კვირისტავი

შინამოსაქმეობის ნივთების რიგში განვიხილავთ თიხის 2 კვირისტავს. მათ ახასიათებთ სიგრძივ გახვრეტილი თავწაკვეთილი კონუსის ფორმა (ტაბ. 111). კვირისტავები საერთოდ ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნაკეთობაა ჯერ კიდევ ენეოლითის დროიდან და გვხვდება ჩვეულებრივ ნამოსახლარებზე, თუმცა ხშირია სამარხებში მათი ჩატანების შემთხვევები. ერთი რამ მაინც შეინიშნება: ადრეული კვირისტავები უპირატესად ძვლისგანაა დამზადებული, ხოლო გვიანბრინჯოს ხანის დასასრულიდან კი ძირითადად თიხის ნაკეთობანი გვხვდება. ამ უკანასკნელებზე არცთუ იშვიათია ორნამენტის დატანაც.

ასევე, ჩვეულებრივ, ნამოსახლარებისათვისაა დამახასიათებელი ბაზალტისაგან დამზადებული ხელსაფქვავის ქვის ფრაგმენტები (ტაბ. IV—II), რიყის ქვის სასრესები (ტაბ. № 5), მაგრამ ისინი არც ქრონოლოგიის და არც ტერიტორიული გავრცელების სურათის გასარკვევად არაფერს გვაძლევს და მათზე აღარ შევჩერდებით.

---

[151] М. П. Грязнов, Так называемые поселки скифо-сарматского времени, Исследования по археологии СССР. Л. 1961, გვ. 142.

[152] Е. И. Крупнов, დასახ. ნაშრომი, გვ. 287.

[153] იქვე.

თავი IV

მერხეულის სამაროვნის დათარიღება და ადგილი კოლხურ კულტურაში

როგორც მასალის ანალიზის შედეგად დავინახეთ, სამაროვანზე მოპოვებული ნაკეთობანი ძალზე საინტერესო და მრავალფეროვანია. სიმცირის მიუხედავად შესაძლებელი ხდება ზოგიერთი ნაკეთობის შესახებ გარკვეული მოსაზრების შემუშავება. მასალის დიდი ნაწილი ძალზე კარგად თარიღდება უკვე ცნობილ სხვა ძეგლებთან შედარების შედეგად. პარალელური მასალების სიუხვე, როგორც საკუთრივ აფხაზეთის, ისე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან, ყირიმიდან შესაძლებლობას იძლევა მერხეულის სამაროვანი ზოგადად დათარიღებული იქნეს ძვ. წ. 1 ათასწლეულის შუა ხანებით.

მონაპოვარი მასალის უდიდესი ნაწილი განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს გუადიხუს და წითელი შუქურის სამაროვნების ინვენტართან და, ბუნებრივია, მერხეულის სამაროვნის სწორი დათარიღებისათვის აღნიშნულ ძეგლთა თარიღებიდან უნდა ამოვიდეთ. მაგრამ ამ ძეგლების დათარიღებაში მკვლევართა შორის აზრთა შესამჩნევი სხვადასხვაობაა. გუადიხუს სამაროვანზე მ. ტრაპშის მიერ სულ გათხრილია 91 სამარხი, რომლებსაც ავტორი ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად ყოფს: „უფროსი“ ასაკის 32 სამარხი ტრაპშის მიერ ძვ. წ. VIII—VI სს. დათარიღებული, „უმცროსი“ ჯგუფის 59 სამარხი კი ძვ. წ. V—II სს[1]. ამ სამაროვნისათვის განსხვავებულ თარიღს იძლევა არქეოლოგი ი. ვორონოვი. მისი აზრით, გუადიხუს სამაროვანი თარიღდება ძვ. წ. VI—V სს[2], თუმცა ერთი სამარხი (№ 5) ბრინჯაოს სეგმენტების არსებობის გამო გვიან ბრინჯაოს ხანის დასას-

---

[1] М. Трапш, Труды, II, გვ. 19.

[2] Ю. Воронов, დასახ. ნაშრომ., გვ. 53, პუნქტი 119.

რულით არის დათარიღებული[3]. თუ რის მიხედვით ხდება ამგვარი გადათარიღება ნაშრომის ხასიათის გამო ჩვენთვის უცნობია. უკანასკნელ ხანებში ამავე სამაროვნის დათარიღების საკითხს შეეხო არქეოლოგი გ. კვირკველია, რომელმაც დიდძალ პარალელურ მასალაზე დაყრდნობით აშკარად გვიჩვენა, რომ გუადიხუს სამაროვანი ძვ. წ. VI—II სს. უნდა დათარიღდეს. ე. წ. „უფროსი" ასაკის სამარხთა ქრონოლგიური ჩარჩოები ავტორის მიერ ძვ. წ. VI—IV სს. არის განსაზღვრული. ამ პერიოდშიც ავტორი ახერხებს შედარებით ადრეულ და მოგვიანო კომპლექსების გამოყოფას[4].

გუადიხუს სამაროვნის ზოგიერთი კომპლექსის დათარიღების საკითხს შეეხეთ ჩვენც პალურის „საძვლეს", ნიგვზიანის და მერხეულის სამაროვნების მონაპოვარზე მუშაობის დროს. როგორც ზემოთაც იყო ნაჩვენები, გუადიხუს ჩვენს მიერ შესწავლილი კომპლექსები ძვ. წ. VI ს. უადრეს ხანას არ უნდა ეკუთვნოდეს[5] და, ამდენად, გ. კვირკველიას მიერ შემოთავაზებული ქრონოლოგია ყველაზე მისაღები გვეჩვენება.

ასევე არ არის ყველაფერი გარკვეული წითელი შუქურას სამაროვნის ქრონოლოგიის თვალსაზრისით. როგორც ცნობილია, აქ გათხრილი იყო სულ 152 სამარხი, რომლებიც მ. ტრაპშმა ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად დაჰყო. ადრეულ ჯგუფში გაერთიანებულია 104 სამარხი, მოგვიანოში კი — 48. თვით გამთხრელი წითელი შუქურას სამაროვნის 3 ერთმანეთისაგან განსხვავებულ თარიღს გვთავაზობს. ამ სამაროვნის შესახებ არსებული სპეციალური გამოკვლევის ერთ ნაწილში ტრაპში ადრეულ ჯგუფს ძვ. წ. VIII—VI სს. ათარიღებს[6], მეორე ადგილას — ძვ. წ. IX—VI სს[7]. აღნიშნული სამაროვნის განსხვავებული თარიღი (ძვ. წ. XII—II სს.) მოცემულია ტრაპშის ერთ წერილში აფხაზეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოების ძირითადი შედეგების შესახებ[8]. ამდენად აშკარაა,

---

[3] იქვე, გვ. 32, პუქტი 185.

[4] გ. კვირკველია, დაკრძალვის წესი დასავლეთ საქართველოს ადრეანტიკური ხანის სამარხებში, ხელნაწერი, მისივე, გუადიხუს „უფროსი" ასაკის სამარხთა დათარიღებისათვის, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა და ასპირანტთა საინსტიტუტო სესია, თბ., 1976 წ. (აღნიშნული მოხსენება იბეჭდება სპეციალურ კრებულში).

[5] ნ. ოქროპირიძე, მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრომი, თ. მიქელაძე, მ. ბარამიძე, კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1975, 1976 წ. მუშაობის ანგარიშები, ხელნაწერი.

[6] М. Трапш, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

[7] იქვე, გვ. 208.

[8] М. Трапш, Труды I, გვ. 38.

რომ თვით გამთხრელს ძეგლის დათარიღების საკითხში ყველაფერი ნათლად არ ესახებოდა და მომავალში აპირებდა აღნიშნული სამუშაოს ჩატარებას. რამდენადმე განსხვავებულ თარიღს იძლევა ი. ვორონოვიც, რომელიც წითელი შუქურას სამაროვნის ადრეულ სამარხებს ძვ. წ. X—VI სს. მიაკუთვნებს[9]. აქაც ისევე, როგორც გუადიხუს სამაროვნის მაგალითზე, გაურკვეველია, თუ რის გამო ხდება ამგვარი გადათარიღება.

მერხეულის სამაროვნის მასალებზე მუშაობის დროს წითელი შუქურას ზოგიერთი კომპლექსის დათარიღების საკითხს შევეხეთ ჩვენც, რაც მოყვანილი იყო ზემოთ. ჩვენთვის ამჟამად საინტერესო სამარხები ზოგადად ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევარს და VI ს. უნდა ეკუთვნოდეს. ჩვენ არ გამოვრიცხავთ აღნიშნულ სამაროვანზე რამდენადმე უფრო არქაული კომპლექსების არსებობას, მაგრამ ეს მომავალი კვლევის ამოცანაა.

ამგვარად, თუ შევაჯამებთ გუადიხუს და წითელი შუქურას სამაროვნების დათარიღების შესახებ მსჯელობას ცხადი გახდება, რომ ჩვენთვის ამჟამად საინტერესო პერიოდის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევრით უნდა განვსაზღვროთ, ზოგადად ზემოთ მოტანილ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში უნდა მოვაქციოთ მერხეულის სამაროვანიც, მაგრამ ამ უკანასკნელისათვის მოგვეპოვება ზოგიერთი დამატებითი საბუთიც.

როგორც აღნიშნული იყო, სამაროვანზე აღმოჩენილი ყუაკვერიანი ცულები ფართოდაა გავრცელებული მთელი კავკასიის ტერიტორიაზე და არც ერთ კომპლექსში ძვ. წ. VII ს. ადრე არა გვხვდება. ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ე. კრუპნოვი[10] და ბ. პიოტროვსკი[11] თავიანთ ზოგიერთ ნაშრომში ეხებოდნენ რა ამ ცულების გავრცელების და დათარიღების საკითხს მათ ზოგადად ძვ. წ. VIII—VI სს. ფარგლებში აქცევდნენ. მაგრამ ამგვარი ცულების შემცველი ყველაზე უადრესი თლის № 16 სამარხის კომპლექსიც კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძვ. წ. VIII ს. არ უნდა გადავიდეს. ეს მოსაზრება თითქოს მართლდება იმითაც, რომ ძვ. წ. VII ს. ადრე რკინის მასიური იარაღი მხოლოდ გამონაკლისის სახითაა ცნობილი.

მართალია მერხეულის ცული ცეცხლში ყოფნის გამო საკმაოდ

---

[9] Ю. Воронов, დასახ. ნაშრ. გვ. 31, პუნქტი 159.

[10] Е. И. Крупнов, Жемталинский клад, М. 1952, გვ. 5—20, 28.

[11] Б. Б. Пиотровский, Скифы в Закавказье, ТОИИВГЭ, т. III, გვ. 89-90.

დეფორმირებულია და ფორმის ზუსტი წარმოდგენა ჭირს, მაგრამ ცალკეული დეტალების მიხედვით მაინც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს ამ ტიპის ცულების ადრეულ ვარიანტთან. მათთვის დამახასიათებელია მაღალი წახნაგოვანი ან მრგვალგანივკვეთიანი, ზემოდან ჩაქუჩისებურად დაბრტყელებული ყუა. წაგრძელებული ტანი, ვიწრო პირი. ამ ტიპის ცულების შემდგომში განვითარება გამოიხატა სამუშაო პირის თანდათან გაფართოებაში, ყუის მკვეთრ გაფორმებაში და გამოცალკევების დაწყებაში[12]. ეს უკანასკნელი ნიშნები მერხეულის ცულებს არ ემჩნევა, რის გამოც ისინი ადრეულ ჯგუფში უნდა იქნენ გაერთიანებული.

თარიღის გარკვევისათვის შედარებით მტკიცე საყრდენს გვაძლევს რკინის აკინაკიც, რომელიც დამახასიათებელი ნაკეთობაა ამ პერიოდის კავკასიის, სსრკ ევროპული ნაწილის სამხრეთი რაიონებისა და ყირიმისთვის. როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, მათი გამოჩენა ხდება ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევარში. მერხეულის აკინაკები ძალზე დეფორმირებულია და ფორმის, განსაკუთრებით ვადის, ზუსტი აღდგენა ჭირს, მაინც შეიმჩნევა ელემენტი, რომელიც რამდენადმე აძნელებს მათი თარიღის გადატანას ამ პერიოდში. კერძოდ, სწორი სატარე, კარგად გაფორმებული ძელაკისებური თავი და თითქოს თირკმლისებური ვადა უფრო იმ მოსაზრების სასარგებლოდ მიგვანიშნებს, რომ ისინი, შესაძლოა, ძვ. წ. VI ს. ნაწარმად მივიჩნიოთ. გარკვეული სიახლოვე ისეთ მასალებთან, რომლებიც შედარებით ზუსტად თარიღდება ძვ. წ. VI ს., სწორედ ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს.

საკმაოდ მყარად ათარიღებს ძეგლს ვერცხლის მრავალგანივკვეთიანი პატარა საყურე რგოლები, თავგაფართოებული და გახვრეტილი. მათი გამოჩენა ხდება ასევე ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევრიდან და ამაზე უფრო ადრე მსგავსი რგოლები სრულიად უცნობია[13]. აქვე ანგარიშგასაწევია ერთი გარემოებაც. № 48-ა რგოლი წერტილების მწკრივითაა შემკული, რაც უფრო მოგვიანო იერს აძლევს ამ ნაკეთობას.

ძალზე კარგად ათარიღებს სამაროვანს კონუსურად თავებგაფართოებული, მრგვალგანივკვეთიანი ბრინჯაოს სამაჯურები, რომელთა ზუსტ ანალოგებს ვნახულობთ ტამანის ნეკროპოლზე № 3 და 5 სამარხებში, სადაც ისინი იონური წარმომავლობის იმპორ-

---

[12] გ. კვირკველია, დასახ. ნაშრომი.
[13] რ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 126.

ტული ჭურჭლის მიხედვით საკმაოდ ზუსტად თარიღდება ძვ. წ. VI ს. მეორე ნახევრით[14].

დათარიღებისათვის გარკვეულ საყრდენს გვაძლევს სარდიონის კარგად გაპრიალებული — გაშლიფული მასიური მძივები, რომელთა ფართო გავრცელება სწორედ ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში ხდება.

დათარიღებისათვის ასევე მტკიცე საყრდენს იძლევა კერამიკაც, კერძოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყურმილიანი ხელადების გამოჩენა დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე შეინიშნება ძვ. წ. VII ს. მომდევნო ხანის მასალებში[15]. ამაზე უადრესი კომპლექსები ჩვენს ხელთ ჯერჯერობით არ არის. ამავე პერიოდიდან ჩანს გავრცელებული ბრტყელბაკოიანი, ბაკოორნამენტირებული ჭურჭელიც.

დასასრულს კიდევ ერთი ნივთის შესახებ. საქმე ეხება ბრინჯაოს და ვერცხლის გრეხილღეროიან საკისრე რკალებს. როგორც აღნიშნული იყო მსგავსი ნაკეთობანი მრავლადაა ცნობილი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და მათი გამოჩენა ხდება ძვ. წ. VI ს.-ში. აღსანიშნავია ის გარემოება ამ ნაკეთობებს ზუსტად იმეორებენ ე. წ. დიადემები და შესაძლოა მერხეულის რკალებიც ამავე ფუნქციის მატარებელი იყო. მსგავსი დიადემები ნაპოვნია ვანის № 6 და 11 სამარხებში 6 ცალის ოდენობით. მათგან ორი ოქროსია და ოთხი ვერცხლის[16]. ვანის № 11 სამარხი ძვ. წ. V ს. თარიღდება[17], № 6 სამარხი კი უკანასკნელი გამოკვლევებით ძვ. წ. IV ს. პირველი ნახევრით[18]. განსხვავება მერხეულის ნიმუშებისაგან ორნამენტშია, ფორმა კი სრულიად იდენტურია. მსგავსი დიადემა გვხვდება ითხვისის ძვ. წ. V ს. შუა ხანების სამარხში[19] და ახალგორის განძში[20]. ამგვარად აშკარაა, რომ ანალოგიური დიადემები აგრძელებენ არსებობას ძვ. წ. V—IV სს., შესაძლოა სწორედ ამ პერიოდში იძენენ ისინი ერთ ფუნქციას — გვევლინებიან როგორც წარჩინებულობის ნიშანი[21]. მაგრამ ამ ფუნქციას არ უნდა

---

[14] В. Ф. Гандукевич, Некрополы боспорских городов, МИА—69, 1959, გვ. 158—159, 165—166, სურ. 2.

[15] თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 63—64.

[16] ვანი I, თბ. 1972, გვ. 114—115, 215, 232; სურ. 37, 38, 56, 87, 188, 189.

[17] იქვე, გვ. 117.

[18] იქვე, გვ. 9, 49.

[19] ი. გაგოშიძე, ითხვისის სამარხი, სსმმ-XXV-B, გვ. 32—34, 44.

[20] Ю. И. Смирнов, Ахалгорийский клад, Тб., 1938, გვ. 8, ტაბ. I.

[21] ი. გაგოშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

ატარებდნენ შედარებით ადრეული ეგზემპლარები. წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი ასახსნელი იქნებოდა მერხეულის, გუადიხუს, ბრილის, ნესტეროვოს თუ სხვა ძეგლების კომპლექსთა სიღარიბე ზემოთ მოყვანილ კომპლექსებთან შედარებით.

თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს აშკარაა, რომ მერხეულის სამაროვნის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი ძვ. წ. VI ს. არ უნდა გადასცდეს. რაც შეეხება ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს რომბისებურთავიანი სამაჯურების და დიადემების არსებობის გამო იგი შესაძლებელია მოიცავდეს ძვ. წ. V ს. საწყისს. ვინაიდან სამაროვანს მცირე ტერიტორია უკავია, ალბათ, იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ფუნქციონირებდა.

ამგვარად, მერხეულის სამაროვნის სახით საქმე გვაქვს ამ პერიოდის ძალზე საინტერესო ძეგლთან. მონაპოვარი მრავალფეროვანი მასალა, თვით ძეგლის ხასიათი, მისი პატარა ზომა, თავისებური დაკრძალვის რიტუალი, მიგვითითებს, რომ იგი უნდა ყოფილიყო პატარა საგვარეულო სამაროვანი. ამ თვალსაზრისით იგი უდაოდ უნიკალური ძეგლია, რომლის მსგავსი ჯერჯერობით არაა ცნობილი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. მასალის ძირითადი ნაწილი ზუსტად იმეორებს დასავლურ-ქართული, კერძოდ, გვიანკოლხური კომპლექსების ნაკეთობებს და, როგორც ჩანს, აფხაზეთის ტერიტორია ამ პერიოდში კოლხური კულტურის ერთ-ერთი ძირითადი და ორგანული ნაწილია. მასალის ზოგიერთი თავისებურება, კერძოდ, რომბისებურ და კონუსურთავიანი სამაჯურები შესაძლოა იმაზე მიუთითებდეს, რომ აფხაზეთის ტერიტორია ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში, ისევე როგორც უფრო ადრეც, ერთიანი კოლხური კულტურის ლოკალურ ვარიანტს წარმოადგენდა.

დ ა ნ ა რ თ ი.

მერხეულის სამაროვნის არქეოლოგიური მონაპოვრის კატალოგი*

№ 1 — სალესი რიყის ქვისაგან დამზადებული, მოგრძო ოთხკუთხა ფორმის, ბოლომოტეხილი, წახნაგოვანკვეთიანი, თავთან ორმხრივ გახვრეტილი. ხვრელის d—0,7 სმ. სისქე — 1 სმ., 2,1 სმ.

№ 2 — სალესი რიყის ქვისაგან დამზადებული, მოგრძო ოთხკუთხა წახნაგებმომრგვალებული ფორმის, თავთან ცალმხრივ გახვრეტილი (d—0,9—0,7 სმ; სიგრძე — 10,2 სმ. სიგანე — 3,3 სმ. 2,4 სმ. (ტაბ. IV).

№ 3 — სხვადასხვა ჭურჭლის კერამიკული ფრაგმენტებია: ა. ნატეხი შავი ფერის ჭურჭლის გვერდის, წვრილმარცვლოვანი კვარცნარევი თიხისაგან დამზადებული. მხარზე წიწვოვანი ორნამენტით შემკული 3 ღარი შემოუყვება (ტაბ. III). ბ. ფრაგმენტები აგურისფერზედაპირიანი მოშავო სარჩულზე ჭურჭლების, უსახური, ერთი სქელკედლიანი აგურისფერი მოზრდილი ჭურჭლის (ქვევრის?) ყელის ფრაგმენტი (ტაბ. III), მეორე თხელკედლიანია, შემკული წვრილი ნაკაწრი ხაზებით, რომლებიც მკვეთრ ტეხილს აკეთებენ ზედაპირზე.

4. კვირისტავი თიხის, პატარა, აგურისფერი, თავწაკვეთილი კონუსური ფორმის, სიგრძივ გახვრეტილი (ჩ—2,1 სმ).

5. სასრესი რიყის ქვის, ცალგვერდდაბრტყელებული ხეხვისაგან (ტაბ. IV).

6. მძივი სარდიონის, ლუქისფერი, ბირთვისებური, ზედაპირგაშლიფული, ორმხრივ გახვრეტილი. (d — 1,3 სმ).

7. კირკალის ნატეხი ბრინჯაოსი, წახნაგოვანკვეთიანი, გრეხილლეროიანი, თავთან ნიჩბისებურად შებრტყელებული და წერტილე-

---

* ტაბულებზე მოცემული ნომრები შეესატყვისება ნივთის საკატალოგო ნომერს.

ბით შევსებული 2 ღარით შემკული. წერტილების მწკრივი დაუყვება კირკალს ტანზეც. ტანი ოდნავ დეფორმირებულია (ტაბ. V).

7—ა. აქვეა ბრინჯაოს ერთი მრგვალგანივკვეთიანი ღერაკი, რომელიც შესაძლოა კირკალს ან სამაჯურს ეკუთვნოდეს. მასთან კავშირში უნდა იყოს შებრტყელებული ფირფიტები — ბოლოები, რომლებიც ნაპირების გასწვრივ ირიბი ჭდეებით, შუაში კი წერტილოვანი ორნამენტის მწკრივით არის შემკული.

8. რკინის სატევარის (აკინაკის) ნატეხები. აქვს ზემოდან დაბრტყელებული ძელაკისებური თავი; ორმხრივ ლესილი პირი მოტეხილია და ნაკლული. სწორი ტარი, თირკმლისებური ვადა, შემორჩენილი სიგრძე — 15,5 სმ. უდ. სიგანე — 5 სმ (ტაბ. IV).

8—ა. რკინის დანისპირის წვერის ნატეხი, ცალ მხარეს ლესილი, მეორეზე კი შესქელებული, ოდნავ მოკაკული (ტაბ. IV).

9. სალესები რიყის ქვის, მოგრძო ფორმის, ერთი ოთხკუთხაგანივკვეთიანია, მეორე კი მრგვალი, ორმხრივ გახვრეტილი. სიგრძე — 13 სმ. 12 სმ. ხვრელის d — 1,3 სმ. 0,7 სმ (ტაბ. IV).

10. თიხის ჭურჭლების ნატეხები (ტაბ. III). შავზედაპირიანი აგურისფერ სარჩულზე, ზედაპირდაღარული სხვადასხვა მიმართულების წვრილი ღარებით.

10-ა. მურა ფერის წვრილმარცვლოვანი კვარცნარევი ფრაგმენტი. ყელთან 3 ღრმა ღარით შემკული.

10-ბ. ოვალურგანივკვეთიანი სიგრძივ გახვრეტილი ყურმილიანი ხელადის ყურის ფრაგმენტი ზედაპირზე რელიეფური მეჭეჭით.

10. გ. ერთი ნატეხი მოზრდილ ცილინდრულყელიან სქელკედლიან ჭურჭელს ეკუთვნის, ზედაპირზე ტალღოვანი სარტყელი დაუყვება. ყელზე კი სხვადასხვა ფორმის ღრმულებია დატანილი.

აქვეა ორი ნატეხი მონაცრისფროზედაპირიანი ჭურჭლის, წვრილმარცვლოვანი; ერთი შავ სარჩულზეა მსუბუქი რელიეფური ზოლით შემკული, მეორე აგურისფერი.

11. ხელსაფქვავის ქვის ფრაგმენტი, შესაძლოა, მრგვალი ფორმის (ტაბ. IV).

12. ბრინჯაოს სამაჯური, მრგვალგანივკვეთიანი, თავთან რომბისებურად შებრტყელებული და ერთმანეთთან მისული. თავებზე ნაპირებთან წრეში ჩასმული წერტილების თითო მწკრივი შემოუყვება. წვერთან პატარა ნაჭდევი აქვს, რომელიც თითქოს პირის გამოსახულებას გვაძლევს (ტაბ. V).

d — 6,4 სმ., სისქე — 0,7—0,8 სმ.

მეორე სამაჯური უფრო წვრილმავთულიანია, თავებთან გაბრ-

ტყელებული და ურთიერთგადამკვეთი წყვილი ხაზებით შემკული (ტაბ. V).

13. ვერცხლის რგოლი, მრგვალგანივკვეთიანი, მრგვალი, თავთან შებრტყელებული და გახვრეტილი. d — 2,5 სმ (ტაბ. V).

14. ბრინჯაოს საკიდი — გველისთავის სტილიზაცია, რომბისებური ფორმის, თავთან შეჭრილი, წერტილებით შემკული, ცალ მხარეს ბრტყელი (ტაბ. V).

14 ა. ბრინჯაოს სამაჯური წვრილღეროიანი, მრგვალგანივკვეთიანი, თავგაბრტყელებული. თავზე წვრილი ურთიერთგადამკვეთი ხაზებით შემკული. (ტაბ. V).

15. მილიანი ჭურჭლის ნატეხი მოშავო ფერის, ხრეშოვანი თიხისაგან დამზადებული.

16. კვარცის მრგვალი ფორმის მძივი, სიგრძივ გახვრეტილი, გატეხილი (ტაბ. V).

თხრილი, სიღრმე — 25—50 სმ.

17. სალესები რიყის ქვის, მოგრძო ოვალური ფორმის, ერთი პატარა, მეორე მოზრდილი, ორმხრივ გახვრეტილი, სიგრძე — 14 სმ. 9,2 სმ. ხვრელის — d—1,3 სმ, 0,7 სმ (ტაბ. V).

18. კვირისტავი თიხის, თავწაკვეთილი კონუსის ფორმის, სიგრძივ დაღარული; სიმაღლე — 4 სმ.

19. თიხის ჭურჭლის ნატეხები, აქედან ერთი ყურმილიანი ჭურჭლისა, შავი ფერის, ორი მურა ფერისაა, ერთი პირგადაშლილი, ყელჩაღარული, მეორე კი მრგვალგანივკვეთიანი ყურის ფრაგმენტს წარმოადგენს.

20. სამაჯური ბრინჯაოსი, ოვალურგანივკვეთიანი, დეფორმირებული, სადა ზედაპირით (ტაბ. V).

21. კირკალი ბრინჯაოსი, ღერო გატეხილი, 3 ც. ყველა ნაკლული. ორი ვერცხლისაა, ბოლოსაკენ ძალზე გაწვრილებული, ალბათ, გველის სტილიზაცია, დეფორმირებული.

22. ბრინჯაოს მილაკი ფირფიტის მოკეცვის გზით მიღებული. გვერდები განივრად მსუბუქად აქვს დაღარული.

23. საკინძის თავი ბრინჯაოსი, სიმეტრიულად განლაგებული სამი განზე გაზიდული ფოლაქისებური კოპით შემკული (ტაბ. V).

24. ბრინჯაოს 2 საკიდი ცხოველის (ცხვარი?) სტილიზებული გამოსახულება. ემჩნევა ჩახვეული რქების კვალი. ზურგის მხრიდან ჰქონია ყუნწიც რომელიც ერთ მათგანს მოტეხილი აქვს.

25. რკინის გაურკვეველი ნივთი.

26. რკინის ნივთი გაურკვეველი დანიშნულების. შემორჩენი-

ლია ოვალური მოყვანილობის სატარე, რაც გვაფიქრებინებს, რომ საქმე ძალზე დეფორმირებულ ცულთან გვაქვს (ტაბ. IV). აქვეა რკინის რამდენიმე ნატეხი, რომლებშიც გამოირჩევა რამდენიმე იარაღი.

25ა. ისრისპირი რკინის, მასრიანი, მასრა წვერმოტეხილი და რომბისებურპირიანი, შუაში მკვეთრი ქედით დათხელებული პირით. სიგრძე 7,1 სმ (ტაბ. IV).

26. ბ. დანისპირის ნატეხი, ცალპირლესილი შუაში შესქელებული; რკინის ცულის ყუის ნატეხი, ოვალური სატარით, ოთხწახნაგა ტანით.

26. გ. შუბისპირის მთლიანი მასრა, მასზე მიჟანგული გაურკვეველი ნივთით.

27. ჭურჭლის პირის ნატეხი, პირგადმოკეცილი, ბრტყელი, განივკვეთში სამწახნაგა, ღია მოყავისფრო, ხრეშ და კვარცნარევი თიხისაგან დამზადებული.

28. პინცეტი ბრინჯაოსი პატარა ზომის, დამზადებული ერთი სქელი ფირფიტის მოკეცვის გზით, ზედაპირი ჭდეებით და გადაბმული სპირალით არის ორნამენტირებული (ტაბ. V).

29. საკინძის ფრაგმენტი ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი და მრგვალი თავით. თავის ქვეშ ღეროზე სიმეტრიულად განლაგებული 4 შვერილი, კოპი ამკობს, რომლებსაც ბოლოები ჩამომტვრეული აქვს. ერთ-ერთ კოპზე მიჟანგულია გაურკვეველი გამოსახულება (ფრინველი?), შემორჩენილია მოგრძო ნისკარტი, მაღალი ყელი, მრგვალი თავი.

30. ბრინჯაოს კირკალი, ოთხკუთხა განივკვეთიანი ღეროგრეხილი თავისკენ რომბისებურად გაბრტყელებული. თავი მრგვალგანივკვეთიანი კაკვით ბოლოვდება. მასზე რამდენიმე სიგრძივი ხაზი და წერტილების მწკრივია დატანილი (ტაბ. V).

31. ბრინჯაოს სამაჯური თავებგადასული, მრგვალგანივკვეთიანი, თავისკენ რომბისებურად გაბრტყელებული, შემკული მოკლე ჭდეებით და რგოლებით, შესაძლოა გველის თავის სტილიზაციას წარმოადგენს (ტაბ. V).

32. ბრინჯაოს სხვადასხვა სამაჯურის ფრაგმენტები. აქედან ერთი ბრტყელია, ფართო, ორნამენტირებული გადაბმული სპირალებით (ტაბ. V). ერთი ფრაგმენტი შედარებით მასიურია.

33. მძივები სხვადასხვა მასალის, ქარვის 1 ც., ოთხკუთხა ფორმის, ცალ მხარეს ორფერდა (ტაბ. V), ზურგისაკენ ბრტყელი და

მრგვალი ფორმის კვარცისაგან დამზადებული. ცეცხლში ყოფნისაგან შავზედაპირიანი, შიგნით თეთრი, ზედაპირდამსკდარი.

34. სალესები რიყის ქვის, ერთი პატარა ოთხწახნაგაგანივკვეთიანი, მეორე მოგრძო, ოთხკუთხა ფორმის, ბრტყელი. თავთან გახვრეტილი. სიგრძე — 10,4 სმ. 5,2 სმ. ნახვრეტის d — 0,6 0,4 სმ (ტაბ. IV).

35. რკინის ცული, გატეხილი. აქვს მოგრძო, წვერისაკენ თანდათან შევიწროებული სწორი ტანი, ოვალური სატარე, მოგრძო მრგვალგანივკვეთიანი, ზემოდან დაბრტყელებული, ოდნავ მორკალული ყუა (ტაბ. IV).

36. ცხოველის ფიგურა ბრინჯაოსი. აქვს მაღალი, წინ გაშვერილი ყელი, მოგრძო წაწვეტებული ცხვირი, გრძელი, ზემოდან გახვრეტილი ყუნწიანი ტანი, განზე გატანილი 4 ფეხი. კუდი და ყურები მომტვრეულია (ტაბ. V).

37. ბრინჯაოს ძეწკვი, შედგენილი მრგვალგანივკვეთიანი მავთულის თავგახსნილი პატარა ოვალური რგოლების გადამბის გზით. შესაძლოა მასთან კავშირშია ანალოგიური მავთულის სპირალური ბრტყელი ხვია (დუგმის ნაწილი).

38. სამაჯური ბრინჯაოსი (2 ც.) მრგვალგანივკვეთიანი, თავგახსნილი, ერთი მათგანი ბოლოვდება რომბისებური, გაფართოებული თავით, რომელიც შემკულია რადიალურად მიმართული ღრმა ჭდეებით და თავთან მსუბუქი 4 რელიეფური ზოლით (ტაბ. V). მეორე თავთან შებრტყელებულია და გაფართოებული. თავზე ორი რგოლი და მსუბუქი ჭდეები ამკობს.

39. საკინძი ბრინჯაოსი, 2ც ., მრგვალგანივკვეთიანი, სიგრძე — 6,5 სმ. 5,6 სმ. ორი ცალია წვერნაკლული. არის ერთი საკინძის თავი. მისი ღერო წახნაგოვანია, თავი ლუსმნისებურად შებრტყელებული. სიგრძე — 2,5 სმ (ტაბ. V).

40. მძივები სხვადასხვაა, ქარვის ბრტყელი, ძალზე დაშლილი (ტაბ. V) და კვარცის 2 ბურთულისებრი.

41. რკინის ნივთები უფორმო, ცეცხლში ყოფნისაგან დეფორმირებული, მათში გამოიყოფა ძალზე დეფორმირებული, ცალპირლესილი დანისპირი, ყუნწიანი, წყვილი მანჭვალით; შუბისპირის მასრის ნაწილი. აქვეა რკინის მახვილის (აკინაკის)) სწორი ტარი ძელაკისებური თავით (ტაბ. IV).

42. რიყის ქვის სალესები მოგრძო სწორკუთხა ფორმის, თავთან გახვრეტილი, მრგვალგანივკვეთიანი, 2 ც. და ოთხკუთხაგანივკვე-

თიანი 2 ცალი. სიგრძე — 13 სმ. 8,2 სმ., 6,8 სმ. ნახვრეტის d — 0,5—0,6 სმ (ტაბ. IV).

43. რკინის ცულის ნატეხი. ყუა მოტეხილია. აქვს სწორი ტანი, მსუბუქად მორკალური სოლური პირი, ოვალურში სატარე, მრგვალგანივკვეთიანი მაღალი ყუა. შემორჩენილი სიგრძე — 14,8 სმ (ტაბ. IV).

44. ქილისებური ჭურჭლის ნატეხი, ჩაღარული ყელით, პირგადაშლილი, ცილინდრულტანიანი, აგურისფერი წვრილმარცვლოვანი თიხისაგან დამზადებული.

44ა. ჩალისფერი ფრაგმენტი ,ორნამენტირებული წვრილი ხაზებით.

45. საწაფი (?) თიხის, შავი ფერის, ბირთვისებური, ცალ მხარეს ბრტყელი, სიგრძივ გახვრეტილი.

46. მძივები სარდიონის (3 ც) და კვარციტის (I ც.) ბირთვისებური ფორმის (ტაბ. V).

47. ბრინჯაოს კირკალის ფრაგმენტი, აქვს გრეხილი ღერო, მოგრძო შებრტყელებული და მკვეთრად გამოყოფილი რომბისებური თავი. იგი ორნამენტირებულია სიგრძივი წყვილი ხაზებით, რომელთა შორის გადაბმული სპირალების რიგია დატანილი. ნაპირები დაკენჭილი აქვს. თავი მრგვალგანივკვეთიანი კაკვით ბოლოვდება.

48. სამაჯურის ფრაგმენტი თავშესქელებული, ორნამენტირებული თევზიფხური ორნამენტით, ირიბი ჭდეებით და წრეებით (ტაბ. V).

48 ა. საყურე ვერცხლის, მრგვალი ფორმის, თავგახსნილი და გაბრტყელებული, წერტილების მწკრივებით შემკული. d — 1,3 სმ.

49. ხელადა თიხის, ყურმილიანი, მონაცრისფრო, წვრილმარცვლოვანი თიხისაგან დამზადებული. აქვს მაღალი ცილინდრული, მსუბუქად დაღარული ყელი, განიერი მხარი, სფერული მუცელი, ბრტყელი ძირი. პირის ქვეშ და მხარზე ოვალურგანივკვეთიანი მილიანი ყურია მიძერწილი. მხარი ტალღოვანი, ნაკაწრი ორნამენტით არის შემკული. ჩ — 10,8 სმ. მუცლის d — 8,5 სმ. ძირის d — 4,2 სმ. (ტაბ. III).

50. მძივები სარდიონის ბიკონუსური (5 ც) და სფერული (2 ც) ფორმის, დამზადებულია ღია თაფლისფერი მასალისაგან. აქვეა მოთეთრო კვარციტის 1 მძივი გვერდშებრტყელებული სფერული ფორმის (ტაბ. V).

М. В. БАРАМИДЗЕ

МЕРХЕУЛЬСКИЙ МОГИЛЬНИК

Резюме

Археологические материалы Западной Грузии, особенно Абхазии, издавно привлекали внимание как специалистов, так и любителей старины. Но их интересы обычно ограничивались архитектурными памятниками христианского времени. Дело доходило до того, что часть ученых отрицала существование на территории Абхазии памятников доантичного периода.

После установления советской власти в Грузии положение в корне изменилось. Уже первые работы А. А. Лукина, В. И. Стражева показали, что на территории Абхазии имеются археологические памятники и доантичного времени. Уже первые исследования М. М. Иващенко, Б. А. Куфтина, Л. Н. Соловьева, А. А. Иессена и др. выявили эти памятники. В них даны первые обобщения по археологии доантичного периода Абхазии.

В последующие годы в Абхазии много и плодотворно работали М. М. Трапш, О. М. Джапаридзе, А. Н. Каландадзе, А. М. Апакидзе, Н. З. Бердзенишвили, Г. Ф. Гобеджишвили, В. В. Бжания, Г. К. Шамба, Ю. Н. Воронов и другие, которые выявили и исследовали ряд археологических памятников, принадлежащих разным этапам развития человеческого общества.

Следует отметить, что археологическим памятникам Абхазии во всех специальных работах по археологии Западной Грузии отводится довольно большое место (Д. Л. Коридзе, О. Д. Лордкипанидзе, Т. К. Микеладзе, Ал. Т. Рамишвили, Л. С. Сахарова и др.). Эти материалы привлекаются и в обобщающих работах историков Грузии (Г. Ал. Меликишвили, М. П. Инадзе, З. В. Анчабадзе, Ш. Д. Ипалипа и др.).

Даже такое краткое перечисление авторов, показывает какой интерес вызывают материалы Абхазии среди специалистов. В настоящее время на территории Абхазской АССР

выявлено около 800 археологических объектов разных периодов. Среди них преобладают памятники эпохи поздней бронзы-раннего железа и раннеантичного периода. Несмотря на такое обилие памятников этого времени не все вопросы истории освещены равномерно. Много разногласий в вопросе датировки отдельных памятников и разных комплексов, погребального обряда и типа погребений и др. Поэтому понятен тот интерес, который вызывает каждый новый изученный памятник, позволяющий осветить некоторые вопросы культуры. С этой точки зрения особый интерес представляет могильник в с. Мерхеули Гульрипшского района, который был обнаружен в 1969 г. разведывательным отрядом (начальник отряда М. В. Барамидзе) Причерноморской археологической экспедиции (руководитель экспедиции Н. З. Бердзенишвили).

Мерхеульский могильник расположен в 300 м к югу от центра села, на левом холмистом берегу р. Мачара, в местности «Лакада» (табл. II—I). Высота холма над уровнем реки 60—70 м. Во время полевых работ в 1969 г. был частично разрушен верхний слой могильника. Были собраны обломки керамики, фрагменты бронзовых гривен и браслетов, оселки и др. Так как могильнику грозило полное уничтожение земляными работами, экспедиция решила провести на нем разведывательные раскопки. Было заложено 7 шурфов (табл. 1). Шурфы №№ 1—6 не дали материала. Материалы добыты лишь в центральном раскопе. Выяснилось, что могильник занимает лишь западную часть холма площадью 40 м² (табл. 1).

Стратиграфический разрез раскопа дает следующую картину: I. Гумусный слой — 10 см; II. Серовато-бурая глина с культурными остатками — 0,4—0,5 м; III. Желтая глина — грунт (табл. 1). Археологические материалы встречались в первых двух слоях в перемешанном виде. Непотревоженным оказался лишь нижний горизонт II слоя мощностью 10—15 см. Как в перемешанном, так и в непотревоженном слое кости покойников и инвентарь встречаются бессистемно в расчлененном виде (таб. II-$_{2,3}$) и носят следы частичной кремации. Поэтому выделить отдельные индивиды и комплексы оказалось невозможным.

Такая картина характерна для памятников с обрядом вторичного захоронения. Этот обряд засвидетельствован в грунтовых погребениях, дольменах, кромлехах и оссуариях Абхазии, а также в памятниках Западной Грузии: каменном склепе Брили, подковообразном рве Палури, на могильниках Нигвзиани, Мухурча и др. Таким образом, сведения античных авторов (Аполоний Родосский, Нимфадор Сиракуз-

ский, Николай Дамасскский, Клавдий Элиян) о существовании обряда вторичного захоронения среди населения Колхиды, подтверждается археологическими материалами. Подтверждает это и этнографическая действительность Западной Грузии.

Рассмотрение обряда захоронения Мерхеульского могильника и сопоставление его с другими могильниками Западной Грузии дает возможность установить существование нескольких видов захоронения на территории современной Абхазии (вторичное захоронение с частичной кремацией, полная кремация, ингумация). Эти обряды в некоторых случаях встречаются на одном и том же могильнике, а погребения с разным обрядом содержат идентичный инвентарь. Этот факт возможно объясняется родовыми различиями внутри одной этнической группы. В некоторых случаях в обряде захоронения определенное значение имел и пол покойника. Именно такой родовой усыпальницей следует считать и Мерхеульский могильник ввиду его малого размера.

Археологический материал добытый на Мерхеульском могильнике немногочисленный и подразделяется на 3 группы: керамика, оружие и украшения.

Керамика Мерхеульского могильника (табл. III) малочисленна. В основном она представлена фрагментами сосудов малого размера. По цвету она черная, серая или красная, изготовлена на гончарном круге из мелкозернистой глины с примесью песка и слюды. Орнаментирована линейным, волнистым или елочными узорами и рельефными валиками. Орнаментация в сравнении с материалами предшествующего периода однообразная. Богато орнаментированная шевронами, фестонами, гребенчатым штампом керамика поздней бронзы с середины I тысячелетия до н. э. уступает место более однообразной по орнаменту керамике. Происходит как будто деградация керамического производства. Чем объяснить этот факт, трудно сказать. Более поздние сосуды почти без исключения изготовлены на гончарном круге, что является основой серийного производства. При серийном же производстве украшению сосудов особое внимание не уделяется. Для серийного производства характерно и многообразие форм изделий, что, к сожалению, не удалось уловить в материалах Мерхеули, т. к. обнаруженная здесь керамика слишком малочисленна и фрагментарна. Мы имеем лишь хорошо сохранившийся один сосуд. Это кувшинчик со сливом (таб. III-49), типичная форма для кольхской корамики, встречающаяся лишь в комплексах с VI в. до н. э. и позднее. К этому же периоду относится и по-

явление мисок с плоским венчиком (таб. III-12), орнаментированного гребенчатым штампом.

Оружие Мерхеульского могильника изготовлено из железа и представлено кинжалами, топорами, ножами и наконечником стрелы. Все они носят следы огня, деформированы и восстановить точную форму невозможно.

Кинжалы Мерхеули представлены двумя экземплярами (табл. IV-8). Их следует отнести к ранним экземплярам скифских акинаков, бытующих на территории Закавказья лишь со второй половины VII в. и VI в. до н. э. Тот факт, что эти кинжалы не находят прототипов в материалах Грузии, а также здесь не встречаются их более развитые формы, говорит в пользу предположения их распространения в скифскую культуру из Передней Азии через Закавказье.

Железные топоры Мерхеули представлены тремя экземплярами (таб. VI—35, 43) и относятся к хорошо известному типу секир, бытующих в скифской культуре VI—V в.в. до н. э. В Грузии аналогичные топоры встречаются десятками, и что самое главное, и в более ранних комплексах. В частности, на могильниках Брили, Тли и Палури можно выделить комплексы, которые датируются не позднее VII в. до н. э. Этот факт, а также определенное типологическое сходство с колхскими бронзовыми топорами, говорит в пользу предположения о возникновении этого оружия на территории горной части Западной Грузии. Это подтверждается и обилием находок этих оружий в этой полосе. Возможно скифские племена, двигаясь из Передней Азии к Северному Причерноморью переняли эту форму по дороге. Именно к этому периоду относится появление этого оружия на территории Скифии.

К этому же времени относятся и железные, слегка согнутые ножи (таб. IV-8а), наконечники копья и стрелы (табл. IV-26). Этот последний характеризуется ромбическим острием и открытой втулкой. Аналогичные стрелы встречаются в материалах Гуадиху, Куланурхва, Сухумская гора, Нигвзиани и возможно являются особым, западным типом стрел.

Большинство археологического материала Мерхеульского могильника представлено украшениями (таб. V). Все они носят сильные следы огня и деформированы.

Браслеты Мерхеули сгруппированы в два типа. К первому относятся браслеты с ромбической или четырехугольной головкой (табл. V-12, 14, 38, 48), характерные для локального района Абхазии в середине I тысячелетия до н. э. Характерными для всей Западной Грузии являются браслеты второй группы — узкие, пластинчатые украшенные спиралями, елочным узором и точечным орнаментом (таб. V-32).

Также на два типа подразделяются и бронзовые шейные гривны. Первый тип толстопроволочный, спирально завернутыми головками типичная форма для колхидо-кобанской бронзы. Последние находки из Западной Грузии свидетельствуют, что они бытуют довольно долго, вплоть до середины I тысячелетия до н. э. Второй тип гривен (табл. V-7, 30) характеризуется витым стержнем и плоской ромбовидной головкой с крючком. Их распространение в основном совпадает северными районами Западной Грузии.

Привески-амулети представлены 4 экземплярами и схематически изображают быка, змею и барана (табл. V-11, 36).

Остальные украшения — бронзовые кольца, булавки (табл. V-23, 39), серьги (табл. V-13), цепочки, пинцеты (таб. V-28) и др. типологически хорошо связываются с материалами середины I тысячелетия до н. э.

Бусы Мерхеульского могильника изготовлены из сердолика, кварцита и янтаря. Сердоликовые бусы шаровидной или биконусовидной формы (табл. V-16, 46, 50), кварцитовые — круглые, а янтарная бусина (табл. V-33) четырехугольная с одной стороны плоская, с другой — двускатая.

На могильнике обнаружены и предметы домашнего обихода. Это оселки (табл. IV) пряслица (табл. III — 18), обломки зернотерок (табл. IV-11) и др. Эти последние более характерны для материалов поселений, но изредка встречаются и на могильниках.

Даже такой краткий обзор добытых материалов показывает, какой многообразный и интересный погребальный инвентарь был найден во время раскопок Мерхеульского могильника. Основной инвентарь (скифский акинак, топоры, шейные гривни, браслеты с ромбовидными головками, сердоликовые шаровидные бусы, глиняный кувшинчик со сливом и др.) характерен для середины I тысячелетия до н. э. и поэтому Мерхеульский могильник должен быть датирован VI в. до н. э. Возможно, что время бытования могильника захватывает и начало V в. до н. э. Малая площадь могильника показывает, что дело имеем с рядовой усыпальницей с своеобразным ритуалом. Весь добытый материал точностью повторяет западногрузинские изделия и свидетельствует о том, что в середине I тысячелетия до н. э. территории Абхазии, как органическая часть, входила в состав колхской культуры. Некоторые особенности материала, например, браслеты с ромбической и конусной головками, возможно указывают о локальном варианте этой территории в изучаемую эпоху. Факт отсутствия импорта на могильнике, можно объяснить тем, что этой территории не коснулся процесс урбанизации.

M. BARAMIDZE

THE TOMB IN MERKHEULI

Summary

In 1969 a group of an archaeological expedition (the head of the expedition, candidate of historical sciences N. Z. Berdzenishvili) discovered an interesting monument in the village Merkheuli. Evidently on the left-bank hilly terrace of the river Matshara, during plantage works was destroyed cultural layer and human bones and archaeclogical material were scattered on the surface of the earth.

The expedition with the aim of revealing the essence of the monument carried out reconnoitring excavations.

It's established that the tomb was situated in the west side of the hill and occupied the area about 40 square metre.

Here and there the thickness of the cultural layer reaches 0,5 metre, fragments of human bones and funeral stock are unsystematically scattered and do not allow to marc out separate complexes.

It is possible, that it is the tribal tomb with a secondary burrial of the deceased. In the extracted archaeological material the majority are arms and decoration.

There it great variety of bronze decoration: bracelets, necklaces, pincers, ear-rings, statuettes of animals and birds, beads (of sard, amber, quartz). Silver ear-rings are to be found as well. The arms are made only of iron.

Among them must be mentioned daggers of various types, tipes of spears and arrow-heads with the open bush, crescent-shaped knives, axes, etc.

Comparatively scanty is pottery. Vessels with the tubular hand occupy a particular place. There is a great number of steels made of river shingle. The main part of the archaeological material and burrial ritual is characteristic of the territory of Abkhazia in the middle of the first millenium B. C. Evidently, the Merkheuli tomb must be dated to the sixth century B. C.

ტექსტში მიღებული შემოკლებები

თსუ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
მსაა — მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის.
სსმმ — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე.
ЗООИД — Записки Одесского общества истории и древностей.
ИАК — Известия археологической комиссии.
ИКОИА — Известия Кавказского общества истории и архитектуры.
ИАНО — Известия Абхазского научного общества.
ГАИМК — Государственная академия истории материальной культуры.
КСИИМК — Краткие сообщения института истории материальной культуры.
МАК — Материалы по археологии Кавказа.
МИА — Материалы и исследования по археологии СССР.
МЭР — Материалы по этнографии России.
ОАК — Отчеты археологической комиссии.
СА — Советская археология.
СМОМПК — Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа.
ТГИМ Армении — Труды государственного исторического музея Армении.
ТОИПКГЕ — Труды отдела истории первобытной культуры государственного эрмитажа.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I. მერხეულის სამაროვნის გეგმა და ჭრილი.
ტაბ. II. 1 — სამაროვნის საერთო ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან. 2, 3 — სამაროვნის უძრავი ფენა.
ტაბ. III. თიხის ჭურჭელი სამაროვნიდან.
ტაბ. IV. რკინის იარაღი და სალესები მერხეულიდან.
ტაბ. V. მერხეულის სამაროვნის სამკაული.
ტაბ. VI. ბალურის „საძვლე". 1—4 — სამარხი № 64; 5—9 — სამარხი № 48; — 10. რკინის ცული; 11—14 — სამარხი № 46; 15—24 — სამარხი № 43.
ტაბ. VII. ბალურის „საძვლე". 1 — სამარხი № 24; 2 — სამარხი № 10.
ტაბ. VIII. ნიგვზიანის სამაროვანი, რკინის იარაღის ძირითადი ტიპები № 12 სამარხიდან.

ОПИСАНИЕ ТАБЛИЦ

Таб. I. Мерхеульский могильник, план раскопок и разрезы.

Табл. II. Мерхеульский могильник. 1 — Вид могильника с северо-запада. 2,3 — Нижний, непотревоженный слой могильника.

Таб. III. Керамика Мерхеульского могильника.

Таб. IV. Железное оружие и оселки Мерхеули.

Таб. V. Украшения.

Таб. VI. Полурское «Садзвле». 1—4 — Инвентарь погребения № 64; 5—9 — Инвентарь погребения № 48; 10.—Железный топор; 11—14—Инвентарь погребения № 46; 15—24 — Инвентарь погребения № 43.

Таб. VII. Полурское «Садзвле». 1 —Инвентарь погребения № 24; 2—Инвентарь погребения № 10.

Таб. VIII. Нигвзианский могильник, основные типы железных орудий из погребения № 12.

ცხრილები

ТАБЛИЦЫ

I



მერხეულის სამარ-
ხანი /გეგმა და
ჭრილები/

მ 1:100

ჭრილი 1-1

ჭრილი 2-2

პირობითი ნიშნები

ყორღოვანი ფენა

ზომავდ-ქონაცრისფერ თიხნარი

მოყვითალო თიხნარი. ტრუნტი

II

1



2



3

III

3

12

10

10

10



10

3

18



3



49

0

10


41
26
8
26a
8a
43
35
26b
2
42
1
7
34
42
42
17
9
24
9
42
5
11

V




1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24

VII



2



1


1
2
3
4
5
6
7
8
9

შინაარსი

წინასიტყვაობა 3

თავი I

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიურ ძეგლთა შესწავლის ისტორიისათვის აფხაზეთის ტერიტორიაზე 5

თავი II

მერხულის სამაროვანი და დამარხვის წესების ზოგიერთი თავისებურებანი დასავლეთ საქართველოში 12

თავი III

მერხეულის სამაროვნის არქეოლოგიური მონაპოვრის ტიპოლოგიური შესწავლისათვის 28

იარაღი 34

სამკაული 48

სალესი ქვები 62

კვირისტავი 63

თავი IV

მერხეულის სამაროვნის დათარიღება და ადგილი კოლხურ კულტურაში 64

დანართი

მერხეულის სამაროვნის არქეოლოგიური მონაპოვრის კატალოგი . . 70

ტექსტში მიღებული შემოკლებები 82

ტაბულების აღწერილობა 83

ტაბულები

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი თ. მიქელაძე
გამომცემლობის რედაქტორი ლ. ჯვებენავა
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
კორექტორი გ. გრძელიშვილი

გადაეცა წარმოებას 26. 5. 77; ხელმოწერილია დასაბეჭდად
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 5.03;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.75;
უე 00485; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 2316;
ფასი 75 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

Барамидзе Малхаз Бенедиктович

МЕРХЕУЛЬСКИЙ МОГИЛЬНИК

(на грузинском языке)

«МЕЦНИЕРЕБА»
1977